

ლიტერატურული გაზეთი



№6 (262) 27 მარტი - 9 აპრილი 2020

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ქეთი გზირიშვილი

ტოტაში

ისეთი შემხვდა გზები,
ვერ ვუყვები ვერავის.
სიზმრებში ჩასახლდა ყველა,
ვინც რამ იცოდა მათ შესახებ
და თუ ჩავაკითხე,
თმაზე მისვამს ხელს.
ერთმა მეუფემ,
ვისზეც ქვეყნის თვალი იყო მიპყრობილი,
ასეთი რამ თქვა:

„ექვი მაქვს, რატომ მერგო ეს გამოცდა,
მაგრამ რაკი მერგო, უნდა მივიღო“.
მას მერე ვფიქრობდი ჩემს ეჭვზე,
რომელსაც უფრო კითხვა ჰქვია.
თვალეში აფეთქებულ წერტილებზე,
ძილის საშუალებას რომ არ მაძლევს,
პასუხებზე,

რომლებიც არასდროს დაუბრუნებიათ,
კითხვებზე, რომლებიც არასდროს დაუსვამთ.
თითქოს მხოლოდ ხის ტოტი ვიყავი,
ხმელი,
ტკაცუნა.

ტოტებს არასდროს ელაპარაკებიან.

მათ თავისი დანიშნულება აქვთ:

ათბობენ,

საყრდენად გამოიყენებიან,

ან — გაჭყლეტილი კარალიოკის ამოსაფხვკად
ფეხსაცმლის ძირიდან.

იშვიათად კი, რომელიღაც მგზავრი ტოტს,

რომელსაც ეყრდნობოდა,

გორაკზე არჭობს და ღრუბლებს ერევა.

გაზაფხულზე შეიძლება ალვის ნერგი დადგეს იქ,

სადაც არასდროს უხარია ალვას,

ხოლო სიზმრებში თავზე ხელს უსვამდნენ

ქარსაცავები.

ანდრო ბუაჩიძე

სადარბაზო

სოლოლაკში, ჩემი ყოფილი ოცდამეცხრამეტე
სკოლის პირდაპირ, ერთი დიდი სადარბაზოა. ამ
სადარბაზოში ბებია ელენეს ძმა ოთარ რჩეულიშ-
ვილი ცხოვრობდა — ძია ოთარი, როგორც მას ვე-
ძახდით. ძია ოთართან ჯერ კიდევ მანამდე დავყავ-
დი ბებიას, ვიდრე სკოლაში შემეყვანდნენ. ამ ნახ-
ევრადბნელ, უზარმაზარ სადარბაზოში შესვლა
ყოველთვის იდუმალ შიშს, ძრწოლას და ამქვეყნი-
ური ყოფიერების აუხსნელობის განცდას მიღვი-
ძებდა. მაღალჭერიანი და ფართო სადარბაზოს
მარცხენა კუთხეში, კიბის ქვემოთ დღის სინათლით
განათებული მენაღის ჯიხური იყო. ჯიხურს ოთახი
უფრო ეთქმოდა, რადგან კარგა მოზრდილ ფართს
მოიცავდა. მენაღეც ყოველთვის იქ იჯდა, მთელი
არსებით საქმეში ჩანთქმული, ტაბურეტზე ჩამომ-
ჯდარი, წინსაფარაფარებული სქელი კაცი. ჯიხ-
ურის შესასვლელთან, შიგ სადარბაზოში, მენაღის
დიდი მოტოროლერი იყო შეყენებული, რაც კიდევ
უფრო უცნაურ იერს სძენდა სადარბაზოს. ბურუ-
სით მოცულ მარჯვენა მხარეს კიბე იწყებოდა და
ამ კიბის საფეხურებზე ზემოდან მკრთალი დღის
სინათლე იღვრებოდა. თუკი კიბეზე შემდგარი ააპ-
ყრობდი მზერას, დაინახავდი გამჭვირვალე მინის
ჭერს, საიდანაც უხვად იღვრებოდა სინათლე და
პირველ სართულამდეც აღწევდა.

VI-VII



X-XI

ბექა ქურხული

თვალდაკარგული
ყივჩალის
ჩანაწერები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

GANGSTER PARADISE

დიდი და საშინელი ამბები ხდებოდა სიზმარეთ-
ში. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო ძნელდებოდა
ამ მისტიკური დროის კარიბჭეში გადასვლა-გად-
მოსვლა, წლებს სულ უფრო მრავალფეროვანი და
დაუნდობელი დარდი და კაეშანი მოჰქონდა. ყოვე-
ლი მოძრაობა, უბრალო გატოკება, თავად საკუ-
თარი სხეულიც კი, ლამის ფიზიკურ ტკივილს აყ-
ენებდა, სიკვდილამდე ეზარებოდა ყველაფერი. და
კიდევ უფრო უარესი — ეშინოდა!.. ასაკში შესვ-
ლასთან ერთად, უსამართლოდ დასჯილი პატარა
ბავშვის წრფელი და დიდი გულისტკივილით აც-
ნობიერებდა, რომ სინამდვილეში მთელი მისი ცხ-
ოვრება, დაბადებიდან მოყოლებული, ერთი დიდი
სტრესი, აუტანელი ტკივილის თმენა და განუწ-
ყვეტელი საფრთხის შეგრძნება იყო. ამან ისე აუ-
ლეხა ნერვები და სული, როგორც ვენახის სასხ-
ლავი დანა, ძაფივით დაწვრილებული და პირბას-
რი, ჰაერსაც რომ ჭრის, ვიდრე ამდენი ლესვისგან
იმ ჰაერივით უხილავი არ გახდებდა და არ გაქრებდა.
ნერვები გაცვდა, გაილია და გაქრა. დროის სე-
ლასთან ერთად იმის გაცნობიერება, რომ თითქ-
მის მთელმა ცხოვრებამ ამ ჯოჯოხეთურ ტკივი-
ლებში გაიარა, გიორგისთვის უფრო გულდასან-
ყვეტი და მტკივნეული იყო, ვიდრე თავად ტკივი-
ლები. უკვე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში არ
ტოვებდა მურტალი უსამართლობისა და გამოუ-
ვალი უნუგეშობის შეგრძნება — „რატომ, ტოო?..
ვის ცინიკურ და სასტიკ კანონზომიერებას ვემორ-
ჩილებით? რას გვერჩიან თუ რას გვერჩის? ვინ გვე-
კაიფება ასე მწარედ?.. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?
რატომ? როგორ? საიდან? რა აზრი აქვს?.. ვინ მო-
გვავლინა სადღაც უკიდევანო, ცივ, ბნელ კოსმო-
სში ჩაკარგულ მარცვალზე, მტვრის ნაწილაკზე,
ამ უცნაურ, სულელურ ექსპერიმენტულ ლაბორა-
ტორიაში? ექსპერიმენტული დედამინა, ექსპერ-
იმენტალური სკოლა, მართლა რა უბედურებაა
ამდენი ექსპერიმენტი?..“

რეჟრენი
გალაკტიონის არქივიდან

1940

რაც შეეხება ოგიუსტ კონტს, იმათი მთელი სამეზობლო არსებობს, ტიტე და ბუვარი. ერთმანეთს შეთანხმებულნი, ეს სიზიფები მონობისა — თერთმეტი წელი გადის, რაც ინერენ, ინერენ, ინერენ (გადაინერონ).

1949

და მთელი რიგი პოეტებისაგან, ამ მონობის სიზიფებისაგან, რომლებიც, აბა, რამდენი ხანია, ერთმანეთისაგან ინერენ, ინერენ, ინერენ, — იმ დროს, როდესაც პუშკინი სდებდა ხელშეკრულებას არაგვთან.

1951

ჩვენში საკმაოდ ძლიერია მიმტაცებელთა რიცხვი. ისინი სულ უბრალოდ ინერენ, ინერენ, ინერენ. გადაინერა ერთმა, გადაინერა მეორემ, გადაინერა მესამემ და... უკვე ნაიშალა ხსოვნა...

1955

მწერალთა კავშირში შვიდი განყოფილებაა:
1. მწერალთა კავშირი.
2. მწერალთა კავშირი.
3. მწერალთა კავშირი.
4. გამომწერელთა კავშირი.
5. მიმომწერელთა კავშირი.
6. ჩამომწერელთა კავშირი.
7. მწერთა კავშირი.

ტიონი

არქივში რუსული ამოვიკითხე და გადმოვაქართულე:
— ოდესღაც მან წაიკითხა ლორდ ბაირონის პოემა „წყვიდადი“, მაგრამ ეს იყო ძალიან დიდხნის წინათ და მთელი გენიალობა ამ ენითგამოთქმელი ძლევამოსილი სიმღერისა წყვიდადის შესახებ, სამყაროს დიდი დაბნელების შესახებ, მას მოეჩვენა საშინელებად, რომელიც უნდა გამოიციხულიყო კაცობრიობის როგორც ანწყომი, ასევე მომავალში. „იქნებ ეს მხოლოდ ფანტაზიაა პოეტისა, რათა შეგვაშინოს ან წინასწარმეტყველად მოგვეცლინოს პოეტი, რომელმაც მომავალი (ესე იგი ანწყომი) გამოიცინო?“ — ასე ფიქრობდა ახალგაზრდა ტიონი.
„წყვიდადი“ ხანგრძლივი ლექსია და არა პოემა და გალაკტიონმა თარგმნა კიდევ 1941 წელს პირველი ოთხი სტრიქონი ტურგენივის რუსული თარგმანიდან („მე დამესიზმრა მწარე სიზმარი, მაგრამ მთლად როდი იყო სიზმარი“), მაგრამ აღარ გააგრძელა და აღარ დაასრულა. ამ ჩანაწერმა კი გალაკტიონის კიდევ ერთი ზედმეტი სახელი შემოგვინახა — ტიონი.

ბნელა?

1935 წელს „პარიზულ ჩანაწერებში“ პაციფისტური ლირიკა დაასათაურა — „ნიეტრალიზების შესახებ“:
— ჰაერი, რომლითაც მანამდე, სანამ მსოფლიო 1914 წელს გონებას არ დაკარგავდა, იყო არენა მხოლოდ ტოროლების ყირამალა ტრიალისა და მერცხლების ბანაობის... კარგი იყო ის დრო, ყოველგვარ ანგარიშებს ჩვენ ვწყვეტდით ხმელეთზე და წყალზე, ჰაერში კი ესკადრილებად მხოლოდ წეროები ეწყობოდნენ და მის სიჩუმეს არ აყრუებდა ყუმბართმზიდავების „ანგლოსის“ გრიალი. ეხლა კი, აღმაზებიანი ცა უნებურად გვეჭყვება... და ერთი სახელმწიფო უგზავნის ნოტას მეორეს: „რა საბუთის ძალით ეჩხირება ჩვენს ტერიტორიას თქვენი ცისარტყელა?“
ოცი წლის შემდეგ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის ცა მოინმინდა, დემონური მესხიერების პატრონმა, როგორც ნოდარ ტაბიძემ გავგაცნო, სიტყვა სიტყვით გაიხსენა უკანასკნელი ხაზგასმული ფრაზა, ერთადერთი სარიტომო ორმარცვალა ჩანაწერა და თავის საყვარელ ექვსმარცვლოვან ჩარჩოში ჩასვა:
რა საბუთის ძალით
ეჩხირება — (ბნელა?) —

ჩვენს ტერიტორიას
თქვენი ცისარტყელა?

გალაკტიონ ტაბიძე —
გალაკტიონ ტაბიძის

არქივში ერთსტროფიანი მაღალი შაირი აღმოჩნდა — „გალაკტიონ ტაბიძის“. ავტორის სახელი და გვარი გარკვევით იკითხება — შალვა ნუცუბიძე. არადა, ნითელი და ლურჯი მელნით და ფანქრით აქტიურად ნასწორები ტექსტი აბათილებს ავტორის ვინაობას. შალვა ნუცუბიძე არა მარტო თარგმნიდა, არამედ წერდა კიდევ ლექსებს, მაგრამ ფერადი ვარიაციები ამჟღავნებენ, რომ ავტორი ადრესატია:



ვახტანგ ჯავახიძე

ისევ გალაკტიონი

ინტერმედიები „უცნობის“ მეშვიდე გამოცემისათვის

რა გიხდება მშვენიერი
ულვამი და წვერის ტვერი,
განა კი გვეყავს შენისთანა
რუსთაველის შემდეგ ბერი?
რუსთაველის დამონმება ფსევდო-ნუცუბიძის ავტორობას დაადასტურებდა, მაგრამ გალაკტიონმა ნარუმატებლად იეშმაკა. დახვეწილი ვარიანტი რომ გადაეთეთრებინა, იქნებ დაეჯერებინა კიდევ ნამკითხველი.

.....
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
და ახლა, როგორც კი მავანი წამოიწყებს:
— პირველ რიგში...
უმაღლესი გალაკტიონის რეფრენი წამომავონდება:
— უპირველეს ყოვლისა!

ზარეზს ზარეზი და
ზარეზი ზარეზს

ჩვენ ერთხელ უკვე დავანწყვილეთ გალაკტიონის „თქვენთა მშვენიერ წამნამთა ქოხი“ და ჯეიმზ ჯოისის „წამნამთა მესერიდან იცქირებოდა“.
ახლა უნდა შევადართო გალაკტიონის „გრგვინვით ებრძოდენ ზარებს ზარები“ (1918 წელი) და ჯოისის „ზარები ზარებით უხმობენ ზარებს“ (1922 წელი).
ერთხელ „ულისეს“ ერთ-ერთ მთარგმნელს, რომელიც პენელოპეს ეპიზოდს აზუსტებდა, ჯოისი გაეხუმრა:
— ყველაფერი რომ ახლავე განგიმართო, უკვდავებას დაეკარგავ. ამ ეპიზოდში იმდენი ენიგმა და გამოცანა ჩაედო, რომ პროფესორებსაც კი საუკუნეები დასჭირდებოდათ იმის გასარკვევად, თუ რა ვიგულისხმე. ეს კი ერთადერთი საშუალებაა საკუთარი უკვდავების დასაზღვევად.
— ოცნება, ნახაზი საგანთა უარით. — გალაკტიონის ამ და ასეთსავე დამიფრულ სტრიქონებს რომ ვკითხულობ, ჯოისის ეს ვითომ ხუმრობა მახსენდება: ცხადია, უკვდავებას მსგავსი მეტაფორები აზღვევენ.

დიკენსის გმირებით

დიკენსი გალაკტიონის რჩეულ ავტორთა შორის უნდა დავასახელოთ:
— აქ ვკითხულობდი დიკენსს. — დიკენსის გმირებით მიყვარდა ცეცხლთან ჩაფიქრება. — მიყვარდა, როგორც დიკენსის გმირებს, ცეცხლთან დღისის სმა და გაფიქრება. — როგორც უყვარდათ დიკენსის გმირებს. — ავიღებ ხელში ისევე დიკენსს. — ვარჩევდი დიკენსს. — დაეხურავ დიკენსს.
და კიდევ — 1929 წლის 1 თებერვლის დღიური: ოცდათექვსმეტი წლის გალაკტიონს მშობლიური ქვეყნის ნაზლის ხის ოდაში გვიან გაეღვიძა, ვინაიდან გათენებამდის კითხულობდა დიკენსის რომანს „დიდი იმედები“. გაეღვიძა და ფანჯრის მინაზე მზის არილი შენიშნა. ფანჯარასთან მიიჭრა და მზის სხივების ანარეკლს

თავდავინყებით დაუწყო კოცნა. მოულოდნელად დედა შემოვიდა ისე, რომ შვილმა ვერ შეამჩნია. გალაკტიონს შემოხედა დედის ხმა შემოესმა: „გადირიე, შვილო? რა მოგივიდა?“ — და გალაკტიონმა დედას დანაშაულზე წასწრებულვით უპასუხა: „დიდი იმედები“, „დიდი იმედები“, დედა, „დიდი იმედები“!
„დიდი იმედები“ დიკენსის ერთ-ერთი ბოლო რომანთაგანია: ესაა ღარიბი ობოლი ბიჭის პიპის ამბავი, რომელიც საკუთარ დასთან და სიძე მჭედელ ჯოსთან ერთად ცხოვრობდა. ობოლი მოულოდნელად გამდიდრდა, მაგრამ ჯოს სამჭედლო და ბუხარი არასოდეს ავიწყდება. პიპი დაეუფლება ქონებას კაცისა, რომელიც არ ისურვებს, გამოეცნაუროს. პიპის მფარველობს მოხუცი ლედი, რომლის აღზრდილი ესტელაც შეუყვარდება. და უცებ იმედები გაუცრუვდება, როდესაც მისი მწყალობელი აღმოჩნდება კატორღელი ხევიში, რომელსაც ბავშვობისას შემთხვევით დაეხმარა. პიპი გაკოტრდება, ესტელა სხვაზე გათხოვდება და ობოლი მშობლიურ კერას უბრუნდება — ნაცნობ ბუხარსა და სამჭედლოს:
— ლამაზობით ხშირად მეღვიძებოდა და ერთი ფიქრი მანვალბდა: ალბათ უკეთესი და უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, მის ხევაშს რომ არ შევხედროდი საერთოდ, სახლში დავრჩენილიყავი და მშვიდად მეცხოვრა ჯოსთან ერთად. ძალიან ხშირად მარტო ვიჯექი ბუხართან, ცეცხლს ჩავცქეროდი და ვფიქრობდი: რაც გინდა თქვი და, ქვეყნად არ არსებობს ჩვენი სამჭედლოს ცეცხლზე და ჩვენი სამზარეულოს ცეცხლზე უკეთესი ცეცხლი.
ასე მთავრდება დიკენსის რომანი.
ასე ფიქრობდა დიკენსის გმირი.
და ასე უყვარდა გალაკტიონს დიკენსის გმირვით ცეცხლთან ჩაფიქრება.

რა უყვართ ფრანგებს?

1936 წელს გალაკტიონმა გაიხსენა:
— შორით ვერსალი მოსჩანს ცისფერი, როსმე ის ჩემი იყო ზმანება.
სიყმაწვილის ჟამს წაიოცნება:
— პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტი გალაკტიონ ტაბიძე.
1917 წელს ძმას წერილი გაუგზავნა მოსკოვიდან:
— ენკენისთვიდან შევეუდგები ფრანგულის, გერმანულის და ინგლისურის შესწავლას უნივერსიტეტში.
1923 წლის უბის ნიგნაკში ჩაინიშნა:
— ფრანგული ხვალისად.
1935 წელს პარიზში ალექსეი ტოლსტოი გაესაუბრა:
— თქვენ იცით ფრანგული ენა, გალაკტიონ? — მკითხა ალექსეი ტოლსტოიმ.
— შესაძლოა, თვითონ ფრანგმა არ იცოდეს კარგად ფრანგული ენა. — უუპასუხე.
— კარგი! მაგრამ ფრანგებს არ უყვართ, როცა ცუდი ფრანგულით ესაუბრებიან.
გალაკტიონმა იცოდა ცუდი ფრანგული და ძალიან კარგი რუსული, იმდენად კარგი, რომ სიყმაწვილისას დიღმის წინაშეც კი აღმოჩნდა, ქართულად ეწერა თუ რუსულად ლექსები და შემდეგ რუსულად რუსულ-ქართულ ლექსებს ხშირად რითმავდა სახალისოდ.
ერთხელ ბოდიში მოიხადა:
— რა ვქნა, რუსულ შკოლაში ვსწავლობდი და ასე შემარჯვებო.
და — ასეთი აბსოლუტური სმენის პატრონი — ზოგჯერ თითქოს რუსულად აზროვნებდა და ქართულად წერდა.
არადა, ამკარად სჯობდა, კარგი ფრანგული ესწავლა და რუსული საერთოდ არ სცოდნოდა.

რუსულში მახვილი ძლიერია, ფრანგულში სუსტი და ქართულშიც სუსტი. გალაკტიონი კი ალაგ-ალაგ ისე რითმავდა, თითქოს ქართული მახვილი ძლიერი ყოფილიყოს, თითქოს ავიწყებოდა, ქართულად რომ წერდა. ეს ამკარავდება არათანაბარმარცვლოვანთა გარიტმის შემთხვევაში, განსაკუთრებით — ორ და სამმარცვლოვანთა დანწყვილებისას.
ამ მხრივ თვით „არტისტული ყვავილებიც“ არაა გამოჩენილი. ეს მეორე კრებული 1915-1918 წლებში დაინერა. ამ ოთხი წლის დიდი ნაწილი გალაკტიონმა რუსეთში გაატარა. უპირატესად რუსულ ნიგნებს კითხულობდა, ცოლსაც რუსულად ეს-

უპირველესი, უპირველესად,
უპირველეს ყოვლისა!

საბამ განმარტა:
— უპირველესი ოთხსა დანიშნავს: უსაკუთრესსა და საკუთარსა; მეორედ ბუნებით უპირველესსა, ვითარცა ცხოველი

აუბრებოდა და, რაც მთავარია, ფრანგულ პოეზიას რუსულად გაცენო. რუსებმა არა მარტო ჩვენი ტერიტორია დაიპყრეს. პოეტს ნოსტალგია მოეძალა და რამდენიმე წლის შემდეგ ლექსი დაწერა: ილაპარაკეთ, გვევადრებით... ოლონდ ქართულად... ოლონდ ქართულად ილაპარაკეთ...

აკოცა და მაკოცა

1988 წელს, როდესაც „უცნობი“ ცალკე წიგნად გამოიცა, თბილისის 55-ე სკოლის დირექტორმა ოთარ ლომიძემ დამირეკა: ნავიკითხე „უცნობი“ და ისე მომეწონა, კითხვა რომ დავასრულე, წიგნს ვაკოცეო. ამაზე სასიამოვნო კომპლიმენტი არ მახსოვს.

2020 წლის 11 იანვარს ყაზბეგის პროსპექტზე „საქართველოს ბანკის“ ფილიალში მივედი, სადაც ყოველთვიურად კომუნალური მომსახურების გადასახადებს ვიხდი. მე ბანკომატის მოხმარება ვერ ვისწავლე. ბანკომატთან ყოველთვის დგას ბანკის თანამშრომელი გოგონა, რომელიც შეხმარება. შაბათი დღე იყო და ფილიალში არცერთი თანამშრომელი არ აღმოჩნდა. შემოდით და მოქალაქენი და სამ ბანკომატთან საქმიანობდნენ. იქვე მაკაცს ვთხოვე დახმარება და მან უარი მითხრა. ჩვენი საუბარი გაიგონა მეზობელ ბანკომატთან შეყვანულმა ქალიშვილმა და შემომთავაზა: დამელოდეთ და მე დაგეხმარებითო. დაველოდე და დამეხმარა. ოთხივე გადასახადი რომ გადამიხადა და ქვითრები დამიბრუნა, მკითხა, თქვენ მწერალი ვახტანგ ჯავახიძე ბრძანდებითო? დიახ-მეთქი, ვუპასუხე. უცებ მომიახლოვდა, მაკოცა, შებრუნდა და გაიქცა. ამაზე სასიამოვნო ჰონორარი არ მახსოვს.

მე მალე 88 წლის გავხდები, უცნობი ქალიშვილი უსათოდ 22 წლის იქნებოდა. 1953 წლის 1 ნოემბერს გალაკტიონი უნივერსიტეტში მივიწვიეთ. სტუდენტი პოეტები ლექსებით მივესალმეთ და ყველას შუბლზე გვაკოცა. ნახევარი საუკუნის შემდეგ, 2003 წელს, გამახსენდა:

ვინ ადიდებდა „არგოსა“, ვინ — მარტინსა და მანგოსა, ვინ აღმერთებდა მარგოსა, ვინ მათე გაამარკოზა. მე ვაქებ ზოდიაქოსა, არ ვაბზრიალებ მათოსა. მზე პირს იბანს და მკვიწყებს ათასგვარ ნიკო-მაკოსა, მე პირს არ ვიბან: მე ერთხელ გალაკტიონმა მაკოცა.



„პრემია“ და პრემიები

1998 წლის მაისში რუსთაველის პრემიების კომიტეტმა ჩემს „უცნობს“ უარი უთხრა — რამდენიმე ხმა დამაკლდა. თითქოს უჩვეულო არაფერი მომხდარა. უჩვეულო და მოულოდნელი აღმოჩნდა პროტესტი, რომელიც ამ შემთხვევას მოჰყვა და რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება პრემიების მატიახეში. ლაურეატების სია 26 მაისს გამოქვეყნდა, 27 მაისს კი საქართველოს რადიომ გამოაცხადა: — ძალიან სამწუხაროა, რომ ვახტანგ ჯავახიძეს პრემია არ მისცესო, — და ნიშნად თანაგრძობისა გამოსცა ჩემი რამდენიმე ლექსის ჩანაწერი, 30 მაისს კი გაიმეორა ადრე ჩანერგილი ერთსაათიანი საუბარი ჩემთან. იმავე მეორე დღეს „დილის გაზეთში“ დაიბეჭდა ჯანსუღ ლვინჯილიას გამოხმაურება: — მოხდა დიდი უსამართლობა. ყოველად წარმოუდგენელია, რომ პრემიის გარეშე დარჩა ვახტანგ ჯავახიძის „უცნობი“, რომელიც ევროპის დონეზეა დაწერილი... ჩემთვის ფაქტობრივად გალაკტიონის შემოქმედება სამარადისოდ მოვლილია, რადგან თუკი რამ ნიუანსია დიდი ხელოვანის ცხოვრებაში ან მის შემოქმედებაში სამზარეულოში, ამ წიგნში წარმოდგენილია ძალიან დახვეწილი ფორმით... ვისაც ხელი მოუბრუნდა და ნაშალა, მათ ნამუსხე იყოს, მათი დანაშაულია. ივნისს გაზეთ „მერიდიანში“ ზაზა აბა-

შიძემ პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილება შეაფასა: — ფაქტია, რუსთაველის პრემიები მაინც ჩანსოებით ნაწილდება, ოლონდ, ეტყობა, აქ ისეთი ელასტიური მექანიზმი მუშაობს, რომ ვერავის გამოიჭერ... ვინც რა უნდა თქვასო, ნისქვილმა კი თქვასო — რუსთაველის პრემია კიდევ ერთხელ დაფქვეს სახელმწიფო პრემიების დასანამცეცებელ ნისქვილში. 25 ივნისს გაზეთმა „თბილისმა“ გამოაქვეყნა მიხეილ ქელიძის „მონოლოგი — სიმართლე ბორკილივით მიძიმეა“: — არ შემიძლია გავჩუმდე და არ ვთქვა იმ უსამართლობაზე, რაც ახლახან მოხდა მწერალთა კავშირში. ნიჭიერ მწერალს, თავით ფეხამდე ინტელიგენტს, ვახტანგ ჯავახიძეს გალაკტიონისადმი მიძღვნილ უნიკალურ წიგნში „უცნობი“ უარი უთხრეს რუსთაველის პრემიაზე... თავმდაბლობა და მოკრძალება არასოდეს ფასობდა საქართველოში, მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ჯავახიძის „უცნობის“ მსგავსი წიგნი საუკუნეში ერთხელ იწერება. 1999 წლის 2 თებერვალს ფრიდონ ხალვაშია წიგნი მაჩუქა და წამინერა: — ჩემო ვახტანგ, შენი „უცნობი“ ყოველგვარ პროზას და ლექსსაც მირჩევნია. რა არაკაცურად და უნამუსოდ მოექცნენ. 2001 წელს რუსთაველის პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ მურმან ლებანიძემ საგულისხმო წერილში „პასუხად ოპონენტებს, რომლებიც ქვევს ისვრიან“ გულისტვივით აღნიშნა: — შესანიშნავი პოეტი ვახტანგ ჯავახიძე გულსატკეპნად დაგვეჩაგრა. — შეთქმულებას ემსხვერპლა ჯავახიძის „უცნობი“, როდესაც ეს შესანიშნავი წიგნი, რუსთაველის პრემიაზე წარდგენილი, უდგომოდ გააშავეს! — თეიმურაზ დიაშვილის ეს შენიშვნა გაზეთ „კალმახის“ დაიბეჭდა 2005 წელს. პრემიების მინიჭების ათი წლის შემდეგ, 2008 წლის 4 ნოემბერს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ვილენ მარდაღიშვილმა გაიხსენა: — ვახტანგ ჯავახიძე წარადგინეს რუსთაველის პრემიაზე, მაგრამ მთელმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ იცის, როგორ უსინდისოდ „გააშავეს“ იგი. თერთმეტი წლის შემდეგ კი, 2009 წლის 9 მარტს, ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ მორიგ ნომერში სოსო ჭუმბურიძემ მიანიშნა: — გივი ძნელადის ხუმრობა მახსენდება ერთ-ერთი პროზაიკოსის მისამართით თქმული — რუსთაველის პრემია კი მიიღო, მაგრამ ლაურეატი მაინც ვერ გახდაო. ვახტანგ ჯავახიძეზე პირიქით ითქმის — ვისაც პოეზიის რამე გაეგება, ყველაათვის ლაურეატია. 1998 წლის 26 მაისიდან ჩემი ტელეფონი გააქტიურდა და გააქტიურდა და გააქტიურდა: დამირეკა გურამ დოჩანაშვილმა: — მე ბევრმა მითხრა, ვახტანგ ჯავახიძის „უცნობმა“ ჩვენ წმინდა ტაძარში შეგვიყვანაო. დამირეკა ლაშა თაბუკაშვილმა: — ასეთი უსამართლობა ჩვენში ამჟამად არც ძალიან მოულოდნელიაო. დამირეკა გურამ გოგიაშვილმა: — წარმოუდგენელი უსამართლობა მოხდა. ყველაზე ღირსეული კანდიდატი იყავი. მსგავს წიგნს ვერავინ დაწერსო. დამირეკა დოდო ჭუმბურიძემ: — ბატონო ვახტანგ, თქვენ ჩემთვის დიდხანია, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ბრძანდებითო. დამირეკა ზაალ ბოტკოველმა: — ჩემთვის შენა ხარ რუსთაველის პრემიის ლაურეატიო. დამირეკა ხუტა ყუფარაძემ: — თენგიზ კიკალიშვილმა ერთი ამბავი ატეხა, ვახტანგს რატომ არ მისცეს პრემიაო. შენ რატომ არაფერს აკეთებო. დამირეკა სრულიად უცნობმა ქალბატონმა: — ბატონო ვახტანგ, ძალიან გთხოვთ, გულს ნუ გაიტეხთ, ჩვენი სიყვარული გერჩით მაღალი ეშელონების ჯილდოსო. მწერალთა კავშირის ფოიეში ჭაბუა ამირეჯიბი შემომხვდა. წინ დამიდგა და თვალებში შემომაჩერდა. მერე მხრებზე ხელი შემომხვია და მაკოცა. სიტყვა არ უთქვამს. ლაპარაკი უჭირს, ისედაც გასაგები იყო ყველაფერი. პირადად მოსმენილები და გაგონილებიც დავიმახსოვრე:

— იმათი დედაც, ვინც რუსთაველის პრემია „უცნობს“ წაართვა (ვახუშტი კოტეტიშვილი). — რუსთაველის პრემია — შენ კი არა — გალაკტიონს არ მისცეს (პაატა კოდუაშვილი). — ძალიან გვატკინეს გული, ჩვენს „უცნობს“ რომ პრემია არ მისცეს. ეს წიგნი მხოლოდ თქვენი არ გეგონათ, ეს ჩვენი წიგნია (თამილა ლასხიშვილი). — ჩვენ პირად შეურაცხყოფად მივიჩინეთ ის ფაქტი, რომ „უცნობი“ რუსთაველის პრემიის გარეშე დატოვეს (ნანა ცინცაძე). — გალაკტიონი მეორედ მოკლეს“ — ეს მკვებე შეძახილი მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილისაგან მოვისმინე 1998 წლის 11 აგვისტოს: ხუტა ყუფარაძემ გალაკტიონის სალონში გალაკტიონის პატრიოტები შეკრიბა და საწუგემო სუფრა გამიშალა. პრემიაზე რომ წარმადგინეს, ჩემს უფროს მეგობარს მურმან ლებანიძეს გულწრფელად გავენდე: მივიღებ პრემიას, ძალიან გამიხარდება, და თუ ვერ მივიღებ, ძალიან არ მეწყინება-მეთქი. მაშინ გამომცემლობაში ერთ ოთახში ვისხედით მე და შოთა იაშვილი — დირექტორის მოადგილე. შოთამ რამდენიმე დღის შემდეგ გამიხილა: მთელი კვირა გაკვირდები და გაოგნებული ვარ, არაფერი რომ არ გეტყობაო. მე იგივე გავუმეორე, რომ ორივე შედეგისთვის წინასწარ ვიყავი შემზადებული. ისე, პრემია რომ მიმელო, ამდენ კომპლიმენტს ნამდვილად ვერ დავიმსახურებდი, თუმცა, არც ისეთი მიამიტი ვარ, ასეთი ქათინაურები ოდენ პირად ღირსებად მივიჩნეო. — რუსთაველის პრემიას ის მკაცრი რეაქცია გერჩიოს, ყიურის გადაწყვეტილება რომ გამოიწვიოს. — მითხრა ჯანსუღ ჩარკვიანმა და გამახსენდა: ერთხელ ბატონ პავლე ინგოროყვას შევახსენე: თქვენ რომ მწერალთა კავშირმა აკადემიაში წარადგინათ და უარი გითხრეს, ეს ფაქტი უფრო მნიშვნელოვანია-მეთქი და ბატონი პავლე დამეთანხმა. ბოდიშს ვიხდი თამამი შედარებისთვის, მაგრამ, მგონი, ჩემს პრემიასაც იგივე ბედი ენია: წლები გადის და „უცნობი“ აგროვებს და აჭარბებს იმ ხმებს, რომლებიც კომიტეტის წევრებმა ვერ გაიმეტეს ოცდაორი წლის წინათ. * 2014 წლის 15 აპრილს სამხატვრო აკადემიაში ვესტუმრე გოგი წერეთელს, რომელმაც „უცნობის“ მეხუთე გამოცემა გამოფორმა გრაფიკულად. გოგიმ გაიხსენა 1998 წლის რუსთაველის პრემიების მინიჭების პროცესი (იგი პრემიების კომისიის წევრი იყო), როდესაც მე 19 ხმა მივიღე, ჩემმა კონკურენტმა კი — 28 (გამსვლელი იყო 23 ხმა). შედეგების გამოცხადების შემდეგ გაცხადებულ და გაბრაზებულ მურმან ლებანიძეს კომისიის 32 წევრისთვის განუცხადებია: დღეს თქვენ დანაშაული ჩაიდინეთ და ამიერიდან ველარ გენდობითო. ამის შესახებ მურმანს ჩემთვის არაფერი უთქვამს: ეტყობა, ეუხერხულებოდა და ფარული კენჭისყრის ჩატარების შემდეგ კარგახანს აღარ დაურეკავს, აღარც მე შეგხმინებთვიარ, რათა უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამ-

ვეყენებინა. პრემიების კომისიის 35 წევრი კი დაითხოვა და ახალი შემადგენლობა შეკრიბა — 15 კაცი. * 2012 წელს ქართული პოეზიისა და გალაკტიონოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის რუსთაველის პრემია მშობლიურ ქუთაისში გადმოცა საქართველოს პრეზიდენტმა და სოციალურ ქსელში უცნობი გულშემატკივარი გამოჩნდა: „ბოლოს და ბოლოს სამართალმა პური ჭამაო“. ადრე, 2008 წელს, „უცნობის“ მეოთხე გამოცემას თბილისის საკრებულოს პრემია „გალა“ მიენიჭა — როგორც „სამაგიდო წიგნს“. 2011 წელს „ქართული ლიტერატურისა და გალაკტიონოლოგიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“ ლიტერატურული პრემია „საბა“ გადმოცემა. 2012 წელს საგურამოში — „ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“ გადმოცეს ილიას მედალი. 2016 წელს „ინტელექტმა“ გამოსცა ჩემი ხანგრძლივი ლექსი ანუ მინი-პოემა „ელეგია“, რომელმაც მომავალ 2017 წელს სამი ჯილდო დაიმსახურა: მწერალთა სახლის პრემია „ლიტერა“, თბილისი ბანკის პრემია „საბა“ და თბილისის საკრებულოს პრემია „თბილისი“. „საბას“ განმეორებითი გადმოცემისას ყიურის ხუთი წევრს ხუთი მაღლობა გადაევუხადე, შორთ ლისტში ჩემთან ერთად გასულ ხუთივე კოლეგას მოეუბოდიშე და განვაცხადე: — „უცნობი“ რომ დავეწერე, ბესიკ ხარანაულს წავკითხე და ბესიკმა მითხრა: ამიერიდან შენ იქნები ერთადერთი წიგნის „უცნობის“ ავტორი და შენს ლექსებს დაივინებენო. ამიტომ დღევანდელი „საბა“ ჩემთვის ნიშნავს გალაკტიონის მიერ რეპრესირებული ჩემი ლექსების რეაბილიტაციას და იგი განსაკუთრებით მეძვირფასება, რადგან მოვიპოვე — არა გალაკტიონის — არამედ საკუთარი მეუღლის პროტექციით. „ელეგიის“ გამოქვეყნებისთანავე ბათუმის ერთ-ერთი ქუჩის კედელზე წაანერეს სტრიქონი-რეფრენი მინი-პოემიდან. ამავე წარწერით გამოცემლობა „ინტელექტმა“ თბილისის წიგნის ფესტივალზე საწიგნო ჩანთები გამოიტანა. იგივე რეფრენი გამონდა ჩოხატაურელი მოსწავლეების ზურგ-ჩანთებზე: გირეკავენ და სახლში არა ხარ და არამარტო სახლში არა ხარ. ერთი წლის შემდეგ კი მე თვითონ გამოვხმარე ჩემსავე რეფრენს — „დამირეკეს და დავეწერე“: თუმცა აღარ მაკლდა ფულები და ხშირად ვიყავ მთვრალი, არცერთი მიმართულებით არ გამქცივია თვალი. ეს იყო ოდი თამამი, რომელსაც აკლდა ტაში, ჩემი ყველაზე ლამაზი სახლში მელოდა მაშინ. დღეს თითქოს პიტიახში ვარ, თბილისის პიტიახში, მირეკავენ და სახლში ვარ და არამარტო სახლში.





ვახტანგ ჯავახიძე ისევ



ნაბერალა —

მოსავლის აღების შემდეგ მოპოვებულები

I

*

კარგად გამოკვეთა, ვინაც გამოკვეთა, ყოველ სამოგვეთა ჯილა — ნიკორწმინდა.

*

წვიმების ნანა, წვიმების ნანა, განალე დანა-შაულის კარი.

*

„გვიშველეთ და ჰარიქა და გადაიქცა ბარიკადა“.

*

მთვარე ანათებს. ყვირილით, კვეხნით მეუბნებიან ქვაფენილს ჰგვიან, მეგი! ხომ სჯობდა, გვეცხოვრა ქვეყნად ან უფრო ადრე, ან ცოტა გვიან?

*

მარადღამს კვლავ იშრიალეთ, ვაშლოვანო და მუხურო, როდემდის, მითხარ, როდემდე სულხდომის სეირს ვუყურო?

სამგორი

გორი და მერე როგორი, არა ერთ-გორი, ორ-გორი და არა შორი რამ გორი — არამედ მთელი სამგორი.

*

ველად მწვანობს ბალახი, აღარ მტერობს მთა-ბარი, მას მოაქვს ყაბალახი, შენ — თეთრი თავსაფარი.

*

ვერ მივალწიე სასურველ მიზანს, გარს შემომერტყა სიცივის რკალი, რასაც მოსისხლე მტერი ვერ გიზამს, იმას კეკელა დაგმართებს ქალი.

*

ღვინის სმის დროს შერთულ ცოლის ხმამ გაამოს, მოგილხინოს, შენს ქორწილში არას გკადრებს, შენს ქელეხში დალევს ღვინოს.

*

ვინც ვერ აფასებს გულიკოს, მისი სახელი კრულ იყოს, გისურვებ ეს ქობულეთი სულ ასე მოქარგულიყოს!..

*

ეთერსა და მარგარიტას, ჯოკონდასა და ლაურას — ცხოვრება მწარით წარიტანს, ჟამი დაასვეს ბაურას.

აუბა

თოვლი 2 აგვისტოს

გადა-ბუბა-ბიბინება. გადა-ბუბა-იფინება. სიო-ბუბა-სიონზედა. კავკა-ბუბა-სიონზედა. თოვდა-ბუბა-ზედიზედა დედა-ბუბა-მინაზედა.

*

მოდის ტრაქტორი, როგორც ტრექტორი,

მოაქვს ტრიქტორი, მოაქვს ტროქტორი. ვნერ ვინმე ხორგი და ინსტრუქტორი.

*

არის რალაც ალაზნის ვედრებაში — გვიანი, მას ვერასდროს ვერ ახსნის თვალი ვედრებიანი.

*

სხვა ხევი გადიჩებება, ერთი რომ წაუფიკაო, შენი კი ხელის შეხება ვერ შერჩათ, ძაუფიკაუ.

*

გაისმოდა ტყეში „რერო“, ლალიმ შეამჩნია ღერო მშვენიერზე მშვენიერი იფნის.

*

მოსჩანს მთები სვანეთის — ლანდები ერთმანეთის.

*

„გაუმარჯოს ერთობას, ხელში მომცემ ხელთოფას!“.

II

*

და დარიალის დახშული კარი გაიღებოდა უცხო იმედით.

*

ძვლებით მოთესილი მიწა არის ყანა საკვირველი.

*

ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო.

*

ზამთარს თავისი გამოჰყავს სოლო, როს ოთხი დროის არის კვარტეტი.

*

მისი ცხოვრება იცვლის ცხენებს ყოველ სადგურზე.

*

მთვარის ჩრდილი ყვითელ ხავსზე წამოწვა.

*

ჩიტმა შექმნა რიჟრაჟი.

*

„სახლი გადაყავრე, ან თუ გამოკირე?“.

*

შოთა, შენ დახვევ ერთხელ კარები.

*

შენ იძინე პანა ხანას.

*

ნუ გეშინის ქარისა და თოვლისა!

*

ო, გამახსენდი, ყველაფერო, არ მეშინია!

III

— სად თინათინი და სად ბოვარი? — სად შენადა, სად შეინშენადა? — ბარიტონი კარგი კაცი უნდა იყოს. — მაგრამ ლოცვებს არ მოჰყავთ დარი მზიანი. — მგონი, გაზაფხულდა! — ყველგან შემოდგომაა. — ღრუბელი დამძიმდა. — სწვიმდა. — იქნება ქარი თუ არა? — ქარია და ეს არი! — პირამიდალური ალვის ხეები. — ვარსკვლავთა ახალი არხიპელაგი. — მშვენიერბანი უდაბნოთანი. — გამარჯობა, უდაბნო, შენი! — სარკეების მელანქოლია. — სარკე ყინულთა შუშაბანდისა. — ისტორია მერცხლების, ბედურების, ფუტკრების. — სანყალი, მინგრეულ-მონგრეული გორის ატამი. — ერთი სანყალი მანეთი. — ნაღდი — მაგრამ უმანეთო. — ეეჰ! ის დრო იყო, თორემ ეხლა არც სალაში ვარგა და არც პურმარილი. — მოდის ფოლადის ცხენი — აქა-იქ ლობეზე, სარზე კიდევ დარჩენილ ცხენის თავთან. — ლიბრეტო რატაციონის მანქანისა. — სიკვდილი ზის ჰაეროპლანში.

— აყვადებიან ზარბაზნები. — ხმაჩახლეჩილი ქვემეხები. ნახნავი მინა მოთესილია ცხედრებით. — დაიღვარა მრავალი მელანი, ხანდახან სისხლიც. — არსენა უფრო ადრე იქნა მოკლული. მას ნაკითხული არ ჰქონდა „კომუნისტური მანიფესტი“. — დალილი რკინა მოარჩინა სამისო მალამოთი. — თავისი სინდისი გაისტუმრა თვითონ. — ადამიანს, რომელსაც არაფერი ქვეყნად არა სჯერა, არც არაფერი დაეჯერება. — ეპისკოპ(ბოზი) არს ყოვლის მხრით მკობელი. — აღარ აქვს სტანცია შენს ლაპარაკს? — „ჩქარა ღომი, თორემ პროლეტარიატი ღელავს!“. — ღომი ინდაურის საჭმელია. — „გაუმარჯოს ინდაურებს!“.

IV

— მამაჩემს დარჩა იშვიათი წიგნთსაცავი... ამ წიგნთსაცავის წყალობით მე ვიცოდი ბევრი ისეთი რამ, რაც სიზმრადაც არ მოელანდებოდათ ჩემს მასწავლებლებს. — გალაკტიონოლოგიის ინსტიტუტი. — გალაკტიონ ტაბიძის საშაირო ლექსები. — ლექსის ქიმიური შემადგენლობა. — თეთრი ლექსისა და დატეხილი უწყობო ლექსის დამარცხება (არ ვრცელდება). — დაბრუნება უბრალოებასთან. — დიდი პოეტი არასდროს არ არი ისე მართალი ცამდე.

— საქმე მიდის ჯგიროდ. — მაინტერესებს იაკობ ნიკოლაძის მარმარილო. — პანლური არ მეტყინება, მეწყინება. — ყველაფერი ისე კეთდება, რომ შესაძლებელია გავირდე. — ედგარ პო. გრიგოლი დიდი ვირია. მარიამ ორახელაშვილი კარგი ქალია. ეინშტეინი. — ჯავახიშვილი ჩემს დანახვაზე გადარბის მეორე ქუჩაზე. — ჯავახიშვილი ყოველთვის მართო და უკანა რიგში ზის, თითქოს ვილაცას ეპარებაო. — კაიკასურდია (ჩვეულებრივად პირველ რიგში. პა-პიროსს წევს. ხშირ-ხშირად იხედება უკან). — სომხეთისკენ! თქვენ მიდისხართ ძველ სომხეთში. ახალ სომხეთში რად გინდათ წასვლა, აგერაა ყველა საქართველოში, ტფილისში. — სოხუმი. დოჭვირი: ვასნავლიდი ცხრანლედში. ნა-ვუკითხე „ლურჯა ცხენები“. ერთი მეგრელი მოწაფე მე-კითხება: გალაკტიონ ტაბიძე კარგი ცხენოსანი არისო. — ცხენი რომ მოიპარო, პატენი, მესმის, შეჯდები და ნახვალ. მარა ამ კამეჩს და ცხვარს რომ იპარავ, სად მიდისხარ იმით? — ერთნი კლავენ კაცთ. მეორენი ცდილობენ, როგორმე გააცოცხლონ იგინი. ერთნი თელავენ ვარდთ, მაგრამ უფრო მეტი მათ აცოცხლებენ ხელახლა (რგავენ). მე კი გადავშლი გეგელს.

V

— აბაშელი. ხა-ხა-ხა. — ლეონიძე. ვახ! ვახ! ვახ! — მაშაშვილი. უი! უი! — ალიომ მიითვისა რითმები. — მიხა. ხა.ხა. — შალვა. ხა! ხა! ხა! — კვესელავა? ა? — პანტოლა, პანტელეიმონ პანტელა. — ქე-ქე-ქე-შიძე-მინიშვილი ნიკოლა. — ჭიალაია — ჭიარულა — მოშენი-კი!!! — კოტე იეზუიტი. — დემეტრანე. — ჩაჩავა ხან ავა, ხან ჩავა. — პოლიკარპე კაკაბაძე. პოლი-კაკა. — ტიციან ტაბიძე. — ოლია ოკუჯავო. — გ. ტაბიძე — ტაბოურა. — სოხუმი. Ночь ошидок. აილახუარაქუარეხა. შეც-დომების ღამე. — და-და-და! ბო-ბო-ბო! — ბე-ბე, ბუდრუგუნ. — ტუმ-ბა-ტუმბა — ნაუნაუ. ნაუ. ნაუ. — რიტა, ტა, ტა, ტა, ტა, ტა. — იმე! იმე! იმე! — ჰიყ! ჰიყ! — ჰაიდა! ჰაიდა! — ჰავაააი!!! — ყაირა! თ! ი! — რაზე-რეზა-რაზა-რასთვის? — ჰაჯან, ჰანუმ! — ჯანჯუხ! არაჰ! — ვააჰეარანინა. — ვარახუნ!

პერტიკალური ლირიკა

*	*	*	*
პინამ	იამ	მინამ	მურამ
მინას,	მზიას,	ნინას,	გურამს,
მინამ	მზიამ	ნინამ	გურამ
პინას	იას	მინას	მურას
ქინა-	სია	ბინა	უთხრა:
ქინა	მია-	მიუ-	მურა,
უძღვნი	სია.	ჩინა.	ურა,
შინა.			ურა!
	*	*	
ქორი	ლელე-ლელე,		
მიაქვს	ტყე-ტყე,		
ქარს,	ეზულბულე		
ქარი	დღე-დღე.		
მიაქვს	უღელ-უღელ		
ქორს,	წევდე,		
გორი	დევდე, ტევდე,		
ლიახვს,	ლევდე.		
მტკვარს,	ეჯედე,		
მტკვარი	ცედე,		
ლიახვს,	ადღეგრძელე		
გორს.	ლელე.		



ქეთი გზირიშვილი

კოეზია

მან უჩინარი ქვაბული აირჩია,
მას მხოლოდ გამვლელი შეესწრნენ,
მისი მოსვლა მხოლოდ შორსმჭვრეტელებმა იგრძნეს,
მისი შეეშინდათ და ჩახმახზე შეაყენეს ირონია,
მეოცნებებს თავისი ეგონათ,
ნარცისებს თავები ეგონათ,
მდიდრებმა სამკაულად აქციეს,
ღარიბებმა — გილდისი ნიშნად,
ის კი,
ღამეში დაჯდა და ღამიდან აღდგა
და ნათელი,
რაც საბავშვო ბოტასების ლანჩებით
უციმციმებდა ტერფებზე,
მეგზურად დაუტოვა
შტორში მოყოლილ მენავეს.

არასდროს შემეძლო საკუთარი თავის პრეზენტაცია,
გნებავთ, წარდგენა, გნებავთ, ჩვენება.
გულწრფელად მიკვირდა იმ ძალის,
რომლითაც ახერხებდნენ და ქმნიდნენ საკუთარ თავებს,
აშენებდნენ და ღებავდნენ და სახლდებოდნენ
ფართო მოედნებზე.
ჩემი სახლი კი ნაჭუჭი იყო,
და ჩემი დგომა კუთხეში ზურგიით,
ან ვინმეს მხრების უკან დამალვა —
უცვლელი წესი:
თვალში არავის მოვხვედროდი,
ზედმეტი კითხვა არ დაესვათ,
ბევრს ერთად არ შემოეხედა,
ბევრს ერთად არ მოესმინა,
სინათლეზე არ მოსდომებოდათ ჩემი თვალიერება.
ბნელ კუთხეში ძნელია ნახო
და ძნელია უსმინო,
რადგან ხმაც უძალოდ ისმის,
გამწყდარი ბგერები აღწევს ყურამდე,
ან სიჩუმე აღწევს ყურამდე
და მიგრძენია იმედგაცრუება შემდეგ კითხვაში,
იმედგაცრუება მდევარ მზერაში,
ზურგი დამინახავს.
დამინახავს, როგორ მტოვებდნენ ისინი,
ვისი დაკარგვაც ჩემთვის
ვერწარდგენილი თავის დაკარგვას ნიშნავდა,
კიდევ ერთ ნაბიჯს კუთხისაკენ,
უფრო დაგორგლილ ჩემს ტანს,
მკერდზე აკრულ მუხლებს.
მხოლოდ ზოგიერთმა,
მხოლოდ ძალიან ცოტა ზოგიერთმა,
მგონი გუმანით,
მგონი კარგი სმენის წყალობით,
იქნებ მეთევზის დამთმენი ჟინით
შეძლო სიბნელეს ჩაცქერებოდა —
თუ შეაჩვიე ერთხელ მზერა,
მერე ხომ არჩევ საგნებს ღამეში.
არ ვიცი, გული თუ მტკიოდა ჩაშლილ პრეზენტაციებზე.
რაც ვერ იცვლება, მასზე დარდსაც
უმალ გაურბი ძილის გვირაბით,
სანამ საუნჯეს გამოგიჩენს მგზავრების ღმერთი:
სანამ პირველად არ მოგიხდება,
აღტაცება დაიმსახურო,
სანამ ტკივილი მაშინაც კი მოგიჭერს გულზე,
როცა დაკარგვის მიზეზი არ გაქვს,
სანამ შიში არ დააღებს ხახას,
სანამ შიშის დაპურებას არ გადაწყვეტ,
სანამ შიშის დასაპურებლად თავს არ დათესავ,

რომ მოიმკა,
რომ ერთხელ მაინც ცხოვრებაში მოიმკა
შუქი მზენაკლულ სახეზე.

გაგმა

ისინი მოდიან გეგმებით,
უკვე დაწყობილი მოსაზრებებით ჩვენ შესახებ,
ჩვენ ვართ მათი მოლოდინების ნიადაგი,
მათი წარმოდგენით უკვე დამუშავებული,
გაფხვიერებული და სასუქშეტიანილი.
მათ მხოლოდ ევალეზათ, მოიტანონ თავისი გეგმები
და მიმოაბნიონ ველზე,
რომელსაც კარგად ანათებს მზე
და ანოტიებს მდინარე;
ჩამოსხდნენ ჩეროში და
მიეცნენ ოცნებას ამოზინებულ შედეგებზე.
და ამ დროს,
ეს ერთი ქცევა მინა,
ეს განოყიერებული სიზმარი თუ ყამირად ექცათ,
თუ აღმოჩნდა, რომ ველს თავისი ყვავილები ჰყავს,
თავისი თავგები დაურბის სხეულზე
და მწყრები რთავენ
ფერადი კვერცხებით მის კუნჭულებს,
საიდანლაც გამოაჩენენ უხეშ ჭვინტს
ყვავილების გასათელად,

თავგებს ქვას დაუშენენ და
მწყრისთვის თოფს გადმოიღებენ მხრიდან.
მერე კრებენ საკუთარ გეგმებს,
ანყოზენ მოსიარულე მუზეუმის ჩემოდანში
და ადგებიან გზას ახალი ველისკენ ისე,
თითქოს დედამინა მრგვალი არ იყოს.

გაცილვის

ჩვენ რატომ არ ვემშვიდობებით დღეს შაშვივით,
რომელიც ახლა ჩემი ფანჯრის წინ მდურის,
რატომ არ ვუხდით მადლობას.
ის შესაძლოა არაფრით იყო გამორჩეული,
იქნებ გვტკენდა კიდევ,
მაგრამ გადის.
რატომ არ ვმღერით ძილის წინ ჩვენს თავებს,
ვინც ვიხილეთ მზის ამოსვლა,
დავიმგზავრეთ სინათლე
და ერთმანეთი დავინახეთ მისი წყალობით.
რატომ არ ვაცილებთ ამ დღეს ჩვენს წარსულში,
საიდანაც შეგვახსენებს თავს,
ან არც,
რადგან დავკარგეთ ცოდნა გაცილების და მიღების,
რაც, ჩვენგან განსხვავებით,
არ დავინწყებია ჩიტს —
მას ჰყოფნის სიყვარული,
რომ იჯდეს მზის ნაზარდ ტოტზე
და ადიდოს ის, რაც ნამდვილია —
დღე,
სანამ ილუზიად ქცეულა.

გაცვლა

არავის დატოვება მიცდია ჩემთან.
ყველას თავისუფალი არჩევანი ჰქონდა —
იმდენ ხანს დარჩენილიყო, რამდენიც ენდომებოდა.
მხოლოდ ერთადერთხელ მომიხდა,
ვინც ყველასავით თვითონ მოვიდა,
არ წასულიყო.
ეს ისეთი შიშია —
ზუსტად იცოდე,
როდის გასკდება დედამინა
და ყველა დღეს მთელი გრძნობით ეძლეოდე, —
რამე არ დაგჩრქვს გულიდან ამოსაბარტყი.
და ბოლოს მიხვდე,
ამ შიშის გადალახვა დაგეო
სიცოცხლის გაგრძელების პირობად.
თუნდაც ახლა გაგსკდომია მინა,
ერთხელ ხომ მაინც ჩახვალ იქ.
და ნელა,
და მონწყევით,
უშვებ და დგები,
რომ აუცილებლად შეგხვდნენ ადამიანები.
ხან ერთი და იგივე ადამიანები
სხვადასხვა სახით.
შენ გეცოდინება, რომ მათ უკვე შეხვდი და ახლაც,
კიდევ ერთხელ,
საჭირო გახდა სიტყვების გაცვლა,
სისხლის ან ოფლის გაცვლა,
გულისჯიბში ჩაკერებული,
მხოლოდ ერთმანეთისთვის წამოღებული
ლუკმის გატეხა.

არ იცი, სადამდე მიდიხარ,
მაგრამ იცი:
ყველა იმდენ ხანს რჩება ჩვენთან,
რამდენიც საჭიროა.
და ვიდრე ცის ქვეშ:
არასდროს არავის ჩაეჭიდო.
არასდროს არავინ ჩაიჭიდო.

უბრალოდ, გაცვალე და ისწავლე.
რადგან ჩვენ მარტო ამისთვის მოვდივართ
ვისწავლოთ თავი.

გაღება

ვინმეს კარგად ყოფნისთვის რომ ცუდად ხარ,
იქნებ ეს არის ბედნიერება.
აბა, წარმოიდგინე,
რამდენი ადამიანის კარგად ყოფნის მიზეზი გახდი.
რამდენი ილიმის,
რამდენმა ოცნება აიხდინა,
სიტკბო მიიღო,
თვალები აენთო,
ფერადი სიზმარი ნახა,
სტატუსი შეიცვალა.
როგორ უნდა მოგიბრუნდეს სიტყვა, რომ უბედური ხარ.
უნდა ინათო ამდენი აყვავებული ნაფხურისგან,
რომელიც წასვლისას დატოვე.
დახედე შენს ჯადოსნურ ფეხებს და მოეფერე,
მოირკალე და დახუჭე თვალები.
ერთი სიზმარი მაინც იქნება შენთვის,
იძულებით ძილში.

ჭადარზე შერჩენილი ფოთოლი
იანვრის ბოლოსაც ეჭიდება ტოტს.
ის ჰგავს დაბალზამებულ ყურს კოლბაში,
თუმცა მისი კოლბა ვრცელია,
სადაც ქრის ქარი და
მოდის წვიმა.
მართალია უძალო,
მაგრამ მზე ინთება,
ან ყუნწთან ახლოს
კლანჭს ადგამს ჩიტი.
აქ მხოლოდ ერთი გრძელი დღე ფრიალებს,
ან ერთი გრძელი ღამე —
გააჩნია, საიდან შეეხედავთ,
სად ვდგავართ ჩვენ.
არავინ იცის,
კვირტის ადგილს იკავებს თუ არა,
იქნებ მისი ბარიერია,
ან ცარიელი ილუზია —
გააჩნია, სად ვდგავართ ჩვენ.
მაგრამ,
რაც არ უნდა იყოს,
ის არსებობს —
გამოსახულება:
ფერი
კონტური
ფერი
კონტური
და ცოტა ძალა.

სარეველას არალი

რაკი სუყველა მე მჯობია გზად გარდი-გარდმო,
რაკი შორია ეს მინდვრები, ეს ცა, ეს ტვერი,
აქ მხოლოდ თოვლი ჩამოივლის ფიქრით, რომ დადოს
და სანამ მინას შეეხება, იცამტვერება.
მე ასე ქვაზე უმნიშვნელო, სხვაზე უგვანო,
ყველაზე ბოლო, ბოლოს წინაც არა, გარეულ
ბალახის ფესვი გამოვდექი, სევდას ვუგანე
და ამ მინდვრებში გავიშლები გადასარეველად.

ღრუბლები

თუ ჩვენ მანამდე ვხედავთ,
ვიდრე აღვიქვამთ,
იქნებ იმ წამის მეასედებში
ხდება ის, რაც ნათელია,
იმდენად ნათელი,
რომ თვალს ვხუჭავთ და
გვრჩება ეს ჩვეულებრივი ღრუბლები.

ფიფქაბი. რაფსოდია.

ჩვენ
მინიდან მოსულები
ჩვენ ღრუბლებში
ჩვენ მთებისკენ
ჩვენ ველებისკენ
ჩვენ ხეებისკენ
ჩვენ სახურავებისკენ
ჩვენ მოედნებისკენ
ჩვენ ხელისგულებისკენ
ჩვენ ფეხქვეშ
ჩვენ ვეცემით მიწაზე
მის მაგივრად
ვინც ხელს აუკანკალებლად
გვიმეებს.



დასაწყისი პირველ გვერდზე

ეს ბურუსითა და მორთულვარე ბინდით მოცული სადარბაზო იყო და ასეთი იყო სოლოლაკის სხვა სადარბაზოებიც. ვინ ცხოვრობდა ამ სადარბაზოების შიგნით, ვინ იყვნენ ისინი, თითქოს არავინ იცოდა. ეს უცნაური გვირაბები, ნახევრადბნელი გასასვლელი ადამიანთა ბედისა თუ უბედობის შემსწრე იყო და მაინც პირქუშ უთქმელობას ამჟღავნებდა. ეს ყოფიერების მიჯნა იყო, პირადი თუ ინტიმური ცხოვრების ზღურბლი, რომელიც არ უნდა გქონოდა, ვინაიდან ტოტალიტარულ სახელმწიფოში ცხოვრობდი. კიბეს რომ აათავებდნენ, მეორე სართულზე გრძელი დერეფანი უნდა გაგველო, ბოლოს კი მაღალ კართან ჩერდებოდნენ. ზარი გაიკარუნებდა და გიღებდნენ კარს. შედიოდი ოთახში და ხედავდი, რომ აქ სულ სხვა გარემო იყო, ადამიანური და ახლობელი. სიუცხოვე, ანუ სადარბაზო უკან გრჩებოდა. სადარბაზო იყო ზამთარში სუსხიანი და ზაფხულში გრილი სივრცე, სადაც ადრე შინსახკომელები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ. მათი ხმა ექოს გამოსცემდა და მათ იცოდნენ, რომ ამ ბურუსში ან შემოკავებულ ბნელ სივრცეში მოძრაობა შეუზღუდველი იყო. შინსახკომელები და ხშირად თვითონ ლავრენტი ბერიაც თავიანთი ამაზრზენი, შემოტკეცილი, მაღალი და პრიალა ჩექმებით ამნაირი სადარბაზოების საფეხურებზე დაბიჯებდნენ და ამ შედრმაველი ნიჟარის ნიაღში მომლოდინე ადამიანებს ეჭვს, შიშსა და ძრწოლას აღუძრავდნენ. იქნებ ამიტომაც იყო ამ სადარბაზოებში დაძრული ჩქამი, ხმა, ექო შიშის მომგვრელი? ყოფიერების ეს მიჯნა, ჩამყუდროებული ბინების ეს სამიში ზღურბლი სარკოფაგივით დუმდა. მაშინაც კი, როცა შინსახკომის მუშაკებს დაპატიმრებული ადამიანი ჩამოჰყავდათ კიბეზე, სხვას არაფერი არ უნდა გაეგო, ჩუმი ქვეთინი ან ნერვიული ჩურჩული სადარბაზოს კედლებს უნდა შთაენთქა. იქნებ ამიტომ იყო ეს კედლები და მთლიანად ეს სივრცე ერთდროულად ავისმომასწავებელიც და მდუმარეც? ეს ღია სივრცე იყო არამარტო შინსახკომელებისთვის, არამედ ყველა იმ ბნელი ადამიანისთვის, ვინც იქ ნასალამოვებს ან შუალამისას შემოეხეტებოდა. აქ შემოკავებულ ფართზე უფრო იოლი გახლდათ ავიზრახვების ახდენა, ვიდრე გარეთ. ზოგჯერ სადარბაზოში ძაღლები ან სახურავის კატები იკეთებდნენ დროებით საბუდარს, მაგრამ მათ დიდი ხნით ყოფნა არ ეწერათ, რადგან სახლის უჩინარი ბინადრები დაუნდობლად სდევნიდნენ ქუჩაში.

ნასალამოვებს სქელკედლებიანი ბინების სადარბაზოების შიგნით მწუხრი გროვებოდა. ეს გარინდების ხანგრძლივი ნუთი იყო, როცა დღეს ღამე მოსდევდა. სწორედ ამ მონაკვეთში მიყვარდა სადარბაზოში შესვლა და მცირე ხნით შეყოვნება, ჩამქსმოდან შორიდან შემოღწეული ქალაქის ხმები და გვრძნობი დროს, დროის დინებას. ეს ჯერ კიდევ მაშინ იყო, როცა სკოლიდან გამოვიდოდი და შინისკენ ვეშურებოდი. ცხადია, მაშინ ბავშვი ვიყავი, მაგრამ დროის შეგრძნება უკვე მქონდა და ამიტომაც ვჩერდებოდი სადარბაზოში. მხოლოდ ეგ იყო, იმ განცდას, რომელიც იმხანად მეუფლებოდა, დროის დინებას ან ყოველდღიურობიდან გასვლას ვერ დავარქმევდი, ეს უფრო მოგვიანებით მოხდა. ახლა კი, როცა ყოფილი მახარადის და ახლანდელი ქიქოძის ქუჩაზე ჩავივლი და ცოტა ხნით შევყოვნდები ამ სადარბაზოში, დროის დინების შეგრძნებასთან ერთად განვლილი ცხოვრების, ღრმა ნაღველისა და ადრინდელ მარადისობასთან შეხების გრძნობა მეუფლება. თითქოს ექოსავით გაისმის ყოველივე იმის ხმა, რაც წავიდა და აღარ დაბრუნდება. ამ სახლში უკვე აღარც ძია ოთარი ცხოვრობს და არც სხვა ძველი მობინადრეები, სადარბაზოში მენაღვეც აღარ ზის, თუმცა მწუხრი საღამოხანს ისევ გროვდება. მასთან შეხება კი უკვე აღარ მინდა, რადგან ისედაც ცხადია, ძალიან ბევრი დრო გავიდა.

ეს სადარბაზო მაინც განსხვავებული იყო სოლოლაკის სხვა სადარბაზოებისგან; ამ სადარბაზოს სინათლის გამტარი სქელი მინის ჭერი ჰქონდა. ეს ანიჭებდა მას ირეალურ ელფერს და მისტიკური სინათლის ფლუიდებით მოსავდა. როგორც ჩანს, სქელი მინის ჭერი იყო ის ოპტიკური პრიზ-

მა, რომელშიც გადამტყდარი დღის შუქი სადარბაზოს მთელ სივრცეს ავსებდა. თუმცა აქ აკუსტიკაც უცნაური იყო. კიბის საფეხურებზე გაუფრებული ფეხისხმა საიდანლაც ექოს გამოსცემდა და, როცა მარტო ადიოდი კიბეზე, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდა, რომ მარტო არ იყავი და ვიდაც იყო შენს სიახლოვეს. თუ ვინმეს ესაუბრებოდი, ხმა საიდანლაც ზემოდან ჩამოდიოდა. ამიტომაც აქ ყოფნა ბავშვობიდანვე შიშსაც მგვრიდა და სიხარულსაც და იმასაც ვგრძნობდი, უფროსები ყოველივე ამას საერთოდ ვერ ამჩნევდნენ.

მე, ბებია და ბაბუა ძია ოთართან მივდიოდით და ეს იყო ხალხმრავალი წვეულებების დრო. და ახლა, როცა ისინი ჩემთან აღარ არიან და აღარ არის ძია ოთარიც, ხშირად მესიზმრება, როგორ შევივივართ მის სახლში. იქ სტუმრიანობაა. ფართო ქვის აივანზეც, რომელიც ოდნავ ზემოდან

ნამდვილად მოხდა თუ დამესიზმრა. ძია ოთარის ფოტოსურათებს ვათვალიერებ. ეს, რა თქმა უნდა, ცხადია და არა სიზმარი. ეს სურათები მანამდეა გადაღებული, ვიდრე ის მეორე მსოფლიო ომში წავიდოდა. ერთ-ერთ სურათში მას თავისი პატარა დისშვილი ანუ დედაჩემი ჰყავს ხელში აყვანილი. თვალმისაცემია მისი ამაყი და ვაჟკაცური სახე, მაღალი ფიგურა, ძლიერი მკლავები, დიდი მუშტები და თვალეები. ამ ფოტოზე გამოგნებულია მისი მზერა, მისი თვალეები. ეს არის უაღრესად მგრძობიარე ადამიანის სახე, ნაღველშეპარული და სათნო, უმნიკველო გამომეტყველება. ასეთი სიღბო შეუთავსებელი იყო მის ფიზიკურ სიძლიერესა და მაგარ ხასიათთანაც. ის ფეთქებადი იყო უსამართლობასთან ან უდიერ ადამიანებთან შეჯახებისას; რისხვა ერეოდა, ცინიკურ გამომეტყველებას მკაცრი იერი ცვლიდა და იმ უდიერსა თუ

შხამიანი წვეთი, დაუნდობელი და თავგამეტებული ხდებოდა და სამიზნეს უანგარიშო ძალის რისხვას ატყებდა. ოთარის ახლობლები ასეთ არაერთ შემთხვევას იხსენებდნენ. ვთქვათ, მეც კარგად მახსოვს ელექტროდენის მუშაკები ეგრეთ წოდებული ინკასატორები რომ დადიოდნენ ბინებში. ისინი ავტორიტარული რეჟიმის გროტესკულ სახეებს წარმოადგენდნენ, ესე იგი, თვითონ ზომავი მეტად თავხედები ყველასგან უსიტყვო მორჩილებას მოითხოვდნენ. არც იყო გასაკვირი, ვინაიდან ეს შინსახკომის ბიუროკრატიული აპარატის ჭანჭიკები ყოველთვის ბოროტად იყენებდნენ თავიანთ უზადრუკ უფლებებს, ოღონდ ეგ იყო, ზოგიერთი არა უბრალოდ უაზრო სიმკაცრეს, არამედ სისასტიკესაც ავლენდა. და აი, ერთი ასეთი ბიუროკრატიული პერსონა რჩეულიშვილების სახლსაც აკითხავდა. ერთხელაც მივი-



ანდრო ბუაჩიძე
სადარბაზო

ოთარ რჩეულიშვილის ხსოვნას

დაჰყურებს მოპირდაპირე მხარეს ასვეტილ ჩემი სკოლის ალაყაფის კარებს, სტუმრებს მოუყრიათ თავი. ისინი საუბრობენ, ზოგიერთი სუფრის სამზადისში მონაწილეობს — ღვინოს ასხამს; სიზმარში რაღაც უცნაურად, ხმადაბლა საუბრობენ სტუმრებს, მერე დიდი ჭლის ქვეშ სხედან გაშლილ გრძელ სუფრასთან, ბოლოს კი, როცა უკვე ყველაფერი მთავრდება, ხმამაღლა მოსაუბრენი ჩადიან უშველებელი სადარბაზოს ფართო საფეხურებზე. ეს თითქოს სპექტაკლია, რომელიც დამთავრდა. უკანასკნელმა ექიმ გაიულერა დაბნელებულ, ნათურებით განათებულ სადარბაზოში და ადრინდელი სიჩუმე ჩამოწვა. მეც ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ვტოვებ სახლს, სადარბაზოს და დამის ქუჩებს მივუყვები. ჩვენც ხომ სოლოლაკში ვცხოვრობთ, შინისაკენ მივდივართ, ჯერ მახარადის ქუჩას გავყვებით, მერე ლერმონტოვის ქუჩას ავივლით, გადავალთ ჯაფარიძეზე, ბოლოს კი ჩვენს, დავითაშვილის ანუ ამდღელების ქუჩას ავუყვებით. ბინდი უკვე გაქრა და ქუჩის ნათურებს სიმკვეთრე მოემატა. როგორც იქნა, მოვალნივით სახლამდე. შინ შესვლას ვაპირებ. სიზმარში მრავალჯერ შევყვინებულვარ ჩემი სახლის ფანჯრებთან. ვდგავარ და შევყურებ ჩვენი დიდი ბინის ფანჯრებს და მახსენდება, რომ დიდიხანა უკვე ამ სახლში აღარ ვცხოვრობთ (ჩვენ იქიდან მართლაც ადრევე გადავიდით), აქ სხვები ცხოვრობენ. და მაინც, უნდა შევიდეთ ამ სახლში, უნდა გავიარო ოთახები, სადაც სხვები დაბინავებულან და მაინც უნდა შევალნიო იმ ერთ ოთახში, სადაც ჩემი კუთვნილი სივრცეა მოქცეული. მწარე სიზმარია...

სიზმარი და სინამდვილე ერთმანეთს შეუერთდა, მათი განცალკევება აღარც მიცდია. წარსული ხომ სიზმარს ჰგავს. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ესა თუ ის ამბავი

უზრდელს მისი მოუზომელი ძალით მოქნეული მუშტი ხვდებოდა ალენილ სახეში. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო. ძია ოთარს — პირმითქმელ კაცს უკანდახევა არ სჩვეოდა. არადა, ცხოვრება ხან სად გადაისვრიდა და ხან სად, ხან ვის გადაჰყრიდა და ხან ვის. მამაჩემმა პირველად რომ ნახა რუსთაველის პროსპექტზე, ქუთ მტვირთავებს ეჩხუბებოდა. იმ დროს ის ოცდათოთხმეტი წლის იყო. მახსოვს მამაჩემის გაკვირვებული სახე, წლები რომ გამოთვალა და თქვა: „ხედავ შენ, თურმე მაშინ ოთარი ოცდათოთხმეტი წლის ბიჭი იყო“. ეს მართალი გახლდათ. მაშინაც და მერეც ძია ოთარს ბიჭური იერი ჰქონდა, უფრო სწორად, ძარღვიანი, ვაჟკაცური. როგორც ვთქვი, ცხოვრების ზვირთები ხან სად გარიყავდა და ხან სად, მაგრამ ყველგან ერთნაირი იყო — შეუვალი, ნინრსაუმხდარი, ღირსებაზეუფლახავი. მან იცოდა, რომ ბრბოში თქვეფილ ადამიანებს გადაცდომა ახასიათებდათ, ხან რას მოიმოქმედებდნენ და ხან რას. მათგან არც აგრესიული ქმედება იყო მოულოდნელი და არც უადგილო ბილწიტყვაობა. ოთარი ახლობლების მიმართაც ისეთივე შეუნყნარებული იყო, როგორც უცხოთა მიმართ. უჩუმრად ჩადენილ უსინდისობას თუ თავხედურ გამოხდომას ერთნაირად პასუხობდა — არა მომბაზრებული მორალის კითხვით, არამედ მოქნეული ხელით, გასილაქებით ან მუშტის დარტყმით. ასეთ დროს ადამიანები ან მძლავრი აღნაგობის კაცის წინაშე პიგმეებად იქცეოდნენ, არამხოლოდ ფიზიკურ, არამედ მორალურ, ზნეობრივ პიგმეებად. ისინი ძალიან ხშირად იმსახურებდნენ მუშტს და მუჯლუგუნს, რაც უებარი წამოღობით მოქმედებდა. ეს ასე იყო. ძია ოთარი ვერ იტანდა ქედმაღალ და ავადმუშ და მოკიდებულებს და სადაც არ უნდა შესწრებოდა ასეთ რამეს, ყველგან თავის ნებას ავლენდა, ხოლო თუ უშუალოდ მას შეეხებოდა პიგმეების ბრბოდან გადმოსროლილი თუნდაც ერთი

და და ფანჯრიდანვე შენიშნეს, მისი მონგრეული ფიგურა როგორ აისვეტა ალაყაფის კართან. კარს მე გავაღებო, უთქვამს ხმადაბლა ოთარს და ადგილიდან დაძრულა. როგორც ჩანს, ინკასატორი უკვე ნიშანში ჰყავდა ამოღებული. შინაურებს მათი საუბარი არ გაუგიათ, ვინაიდან წინკარი ქვედა სართულზე გახლდათ. ცოტა ხნის შემდეგ კი ფანჯრიდან რომ გადაიხედეს, ფეხათრეული ინკასატორი შენიშნეს — გაოგნებულსა და გაბოროტებულს გატეხილი ცხვირიდან სისხლი მოსწვეთავდა. არ ვიცი, ამას რა მოჰყვა, ეს მონაყოლი კი შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ასეთი მოგონებები მრავლად იყო.

ძია ოთარს მოთმინება არ ღალატობდა, უბრალოდ, გუმანით გრძნობდა, რომ ყოველგვარ ზღვარს გადაცდენას სადაც წერტილი უნდა დასმოდა... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას მეორე უკიდურესობაც სჩვეოდა. იმ სავალალო წლებში, ომამდე და ომის მერეც თბილისშიც და ქალაქგარეთაც ათასნაირი ინფექცია მძვინვარებდა. ამიტომ ოთარს, როგორც ჯერ სრულიად ახალგაზრდა ექიმ-ინფექციონისტს, ზოგჯერ ქვეყნის მთელი ტერიტორიის გადაკვეთა უწევდა, ავადმყოფადე რომ მიეღნია. დროდადრო ისეთ მიუვალ ადგილებში უხდებოდა მისვლა, რომ იქიდან უკან დაბრუნება არცთუ იოლი იყო. მიუვალ სოფელში თუ უბრალოდ, მივარდნილ სამოსახლოში, ჭანჭრობებსა და ღარტაფებში ვინმე საბრალე სულთმობრძავი ნუთებს ითვლიდა და ჯერ კიდევ ეიმედებოდა საამქვეყნო არსებობა. ამიტომაც ოთარი იქ აუცილებლად უნდა მისულიყო. ბენზე ეკიდა ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ ჯერ კიდევ ბენზე ეკიდა, ჯერ კიდევ არ იყო ჩანთქმული და ვინცის კლოაკაში. და ოთარიც მიდიოდა, მისწრაფოდა იმ უცხო, უცნობი, იქნებ უდიერი და უმსგავსი, მაგრამ მაინც ბედსმინდობილი ადამიანის გადასარჩენად, მიდიოდა მატარებლით, საბარგო მანქანით, ცხენით, ფეხ-

ით, რათა მომავლადვისთვის დროზე მიესწრო. ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი ადამიანი ჰყავდა გადარჩენილი. ის იმათ მიმართაც ხისტი და პირშითქმელი იყო, ვინც მისგან შეეშალა მოელოდა, მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო, არ შეეძლო უაზრო მათემატიკა, ემპატიობა და სიტყვების უმისამართოდ ფანტაზია. როცა ავადმყოფის სიცოცხლე ბუნებრივად, მწარე სიტყვა უფრო ჭრიდა. ამის მერე კი ოთარი ტოვებდა მიუვალ სანახებს, ლეშქაშებს, ჭანჭრობებს, ზოგჯერ უდაბნოს სიცოცხლესა და რეტელ ქვიშრობებს და გულსავსე მოდიოდა იმ რწმენით, რომ კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე გამოსტაცა სიკვდილს.

და მაინც თვალები, ფოტოსურათზე აღბეჭდილი ძია ოთარის, უკვე მონივრული ჭაბუკის თვალები მავონდებდა. სურათიც ხელთა მარჯვ. ამ მზერაში ჯერ კიდევ არ არის ჩაბუდებული ეჭვი, უნდობლობა, სიმკაცრე, შეუვალლობა. ეს მზერა გახსნილია და მიმღებია გარედან მომლოდინე დინებების. თვალზე შინაგანი სამყაროს სიღრმეები დაძრული სინათლე გამოფენილი. ზუსტად არ ვიცი, ეს სურათი როდის არის გადაღებული, მანამდე, ვიდრე ოთარის უფროსი ძმა, შალიკოს მოკლავდნენ, თუ მისი სიკვდილის შემდეგ.

შალიკო ბებიაჩემის და ძია ოთარის ძმა იყო, რომელიც ვერაგულად მოკლეს. „ვერაგულად მოკლული შალიკო რჩეულიშვილი“ — ასე ეწერა პატარა ობედიისკივით აღმართულ საფლავის ქვას ვაკის სასაფლაოზე. ეს წარწერა ყოველთვის მაკვირვებდა, რადგან ბავშვობაში არ მესმოდა მნიშვნელობა სიტყვისა „ვერაგულად“ და, როცა მისხნიდნენ, მაინც ვერ ვიგებდი, ალბათ იმიტომ, რომ ჯერ არ გადავყვრიდი ნამდვილ ვერაგობას.

შალიკო მოკლეს. უბედურება მეხვივით დაეცა ვანო რჩეულიშვილის ოჯახს. ისინი ვაზისუბნიდან უკვე თბილისში იყვნენ გადმოსულები. შალიკოს ამაყი თავდაჭერა, ძალა და ვაჟკაცობა თანდათან იპყრობდა თბილისის უბნებს. თბილისში ვაჟკაცობის თავისებური კულტი იყო დამკვიდრებული. ეს კულტი ქუჩაში ტრიალებდა და სხვადასხვა უბანში ვრცელდებოდა. ოციანი წლების მინურულს შალვა რჩეულიშვილმა სახელი იმით გაითქვა, რომ ცნობილი მოჭიდავე, მეტსახელად „მოდინახე“, „ნახალოველი“ ფალავანი მისსავე უბანში, „ხუდადოვის საჭიდაოზე“ დაამარცხა.

საჭიდაო მოედანი უკვე ბნელი ქუჩა აღარ იყო, სადაც დანებთა და იარაღით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს „შაგები“ და „ნასროკალები“. შალიკოს არც მათი რიდი ჰქონია, ყველას იმას მიაგებდა, ვინც რისი ღირსი იყო. ალბათ ამანაც განაპირობა მისი საბოლოო ტრაგიკული ხვედრი. მანამდე კი 1928 წლის ივნისში, როგორც გაზეთები იუნყებოდნენ, „საქართველოს რიგით პირველ ფალავანობაზე ქართულ ჭიდაობაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა 20 წლის თბილისელი შალვა რჩეულიშვილი“. ეს შეჯიბრი, ევროპისა და რუსეთის მსგავსად, თბილისის ცირკის არენაზე გაიმართა.

ფოტოსურათზე ერთად არიან გადაღებულიები — ბებიაჩემი ელენე, შალიკო, ნიკო (მუცლის ტიფმა იმსხვერპლა), ელიზბარი და ოთარი, შუაში კი მათი დედა, დიდდა კატო ზის. დიდდა კატოს წმინდანის სახე აქვს. კატო ჯორჯაძე მორწმუნე ქალია. მან კარგად იცის, რომ ცხოვრება ტანჯვა და ტანჯვა აკეთილშობილებს ადამიანს. მის სახეს ეს ნიშანი ატყობს — ღრმა ტკივილის და ჭირთათმენის. მას ირგვლივ მცირე-ენლოვანი შვილები უსხედან, ჯერ არ დამდგარა განსაცდელის ჟამი, ჯერ არ დაუკარგავს შვილები, მაგრამ მისი სახე უკვე ამჟღავნებს ფარულ იარაღს.

უყურებ სურათს და ხედავ, ძია ოთარის სიჭაბუკისდროინდელ ფოტოზე აღბეჭდილი თვალები ალიკვალის კატოს თვალებია, შალიკოს თვალებიც კატოს თვალებია. სულიერადაც დედას დამსგავსებთან შვილები. ამ უტყვი ბუნების ვაჟკაცების მზერაში დედის მღელვარე სულია განფენილი, საიდანაც კაცთა უმსგავსობის გამო გაჩენილი ნუხილიც გამოსჭვივის.

შალიკო მოკლეს, მოკლეს ოცდაერთი წლის უღამაზესი ჭაბუკი. კარი რომ

გააღეს, ორი კაცი იდგა. ერთ-ერთი ის იყო — მკვლელი — ოსი ბინო. თებერვალში რომ იცის, ისე ციოდა. ქვაფენილებზე თოვლი იდო. შინ არ შემოსულან, შალიკო თან გაიყოლეს და წავიდნენ.

მაშინ ჩვენები მტკვრის პირას ცხოვრობდნენ და ისინიც იქვე გავიდნენ სალაპარაკოდ. რა ილაპარაკეს, არავინ იცის. როგორც მერე ითქვა, იმ ორსაც და სხვებსაც რაღაც უმსგავსობა, სავარაუდოდ, ქურდობა ჩაედინათ, რაც შემთხვევით გაეგო შალიკოს და შეეცხადებინა. ამიტომაც მოვიდნენ — კვალის ნაშლა სურდათ. ალბათ აღიზიანებდათ ამ კაცის მომეტებულობის თვისუფლება. თანაც შალიკო იმხანად თავისუფალ ჭიდაობაში აბსოლუტური ჩემპიონი გახდა და ესეც შურს აღუძრავდათ. მშვიდად ესაუბრებოდნენ და როცა გამვლელთაგან მოფარებულ ადგილს მიუახლოვდნენ, ოსი ბინო ოდნავ ჩამორჩა



მოსაუბრეებს, ფინური დასაკეცი დანა გახსნა და შალიკოს მიპარვით, ზურგიდან გულის არეში ჩაარტყა. ეტყობა, დანამ შალიკოს ღრმად გაუარა გულში, რადგან ძალია უეცრადვე დაკარგა და ამ ორმა ნაძირალამ ძალანართმულს მტკვარში გადაგდება დაუპირა, მაგრამ ბედისწერამ განწირული ჭაბუკი ოდნავ დაინდო — უცაბედად ნაცნობი ქალი გამოჩნდა და ამის შემსწრემ ყვირილი მორთო. ყვირილზე ოსი ბინო ადგილიდან მოწყდა და გაიქცა. მტკვარში გაუჩინარებას გადარჩენილი შალიკო იმ მეორემ და გზად შემოყრილმა ქალმა მიხაილოვის საავადმყოფოში წაიყვანეს. სამი დღის შემდეგ შალიკო დაიღუპა. დედამისის, კატოს შეკითხვაზე, ის მაინც მითხარი, ვინ გაგიმეტა მოსაკლავადო, არ უპასუხა, მხოლოდ ეს თქვა, გამოვალ და თვითონვე მივაგებ მისაგებს.

შალიკოს დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მოგროვდა. ეს იყო აღმფიქვანი თუ პროტესტი ყოვლად აბსურდული მკვლელობის გამო და ამავე დროს პატივისმცემა უღამაზესი ვაჟკაცისადმი. მოკლულის მეგობრებმა ფიცი დადეს, მკვლელისთვის სამაგიერო მიეზღოთ. მანამდე კი მკვლელი დააპატიმრეს. ეს მოხდა 1929 წელს.

ვიდრე სოლოლაკიდან გადავიდოდით, ხშირად მიწვედა ძია ოთარის სადარბაზოსთან ჩავლა, რადგან ჩემი ოცდამეცხრამეტე სკოლა ზუსტად ამ სადარბაზოს პირდაპირ მდებარეობდა. სოლოლაკიდან გადასვლის შემდეგაც არაერთხელ ამივლია იმავე ქუჩაზე და შევსულვარ ამ სადარბაზოში. რაც უფრო გადიოდა დრო, მით უფრო მიმძაფრდებოდა ჟამთა დინების შეგრძნება. ვიდექი ამ სადარბაზოს სინყნარეში და თითქოს ხელით ვეხებოდი გარდასული ადამიანების აჩრდილებს. ზოგი მათგანი სურათებში მყავდა ნანახი, ზოგი კი მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მე თვითონვე შევესწარი. სოლოლაკი თითქმის ყველას გვაერთიანებდა და ეს სკოლაც, ადრე მეთოთხმეტე და ნოღებულის, მრავალთა ხსოვნას იტევდა. ამ სკოლაში სწავლობდნენ დედაჩემი და მამაჩემი, მათ ფაქტობრივად აქცინეს ერთმანეთი. აქ სწავლობდა მამაჩემის ძმა ანრი, რომელიც აქვე დაასმინა ერთ-ერთმა თანაკლასელმა,

როცა მან „რკინის სახკომის“ ეყოფის სურათი ნაკუნებად აქცია. ეს იყო პროტესტი 1938 წელს მამის ნაუცბათევი და აბსურდული დაპატიმრების გამო. ანრი გადაასახლეს. ამ სკოლაში სხვა ადამიანებიც სწავლობდნენ, მამაჩემისა და დედაჩემის მეგობრები, რომელთა აჩრდილებიც ამ სადარბაზოშივე ხშირად ჩემ თვალწინ ლივლივებდა... სურათებში ნანახი შალიკოს სახეც წარმომიდგებოდა ხოლმე და მახსენდებოდა, როგორ დავეყავი აღდგომა-დღეს ბებიაჩემს ვაკის სასაფლაოზე. ვერის სასაფლაოს მსგავსად ეს სასაფლაოც ქალაქის ვაგრძელზე იყო, თითქმის მუზეუმს ჰგავდა, რომელიც ქალაქში მომხდარ სხვადასხვა შემთხვევას იკრებდა და ინახავდა. პირველად აქ ვნახე ლადო ქოქიაშვილის საფლავი: მაღალ პოსტამენტზე მერაბ ბერძენიშვილის მიერ გამოძენილი ბიუსტი იყო შემდგარი. ლადოც მოკლეს და

მისმა სიკვდილმაც მთელი თბილისი აღამფოთა, რადგან ისიც არამარტო კეთილშობილი, არამედ უაღრესად ლამაზი ჭაბუკი იყო. მახსოვს ანზორ სალუქვაძის ლაღოსადმი მიძღვნილი ლექსი:

*ვიცი, შენ სხვა ხარ,
შენ არა ხარ სანჩეს მეხია,
შენი გულმკერდი
სხვა ქიმერებს გადაეხია,
შენ არ გატყვია მოზერის რქები
პერანგზე ორგან,
არც არასოდეს არ ყოფილა
ჩვენში კორიდა!
შენთან სიკვდილი სხვა მხარიდან,
სხვა დღეს მოვიდა!*

ამბობდნენ, რომ დაჭრილი ლადო გურამ რჩეულიშვილმა წაიყვანა საავადმყოფოში. ვაკის სასაფლაოზე გზის პირას იყო თვითონ გურამის საფლავიც — მინაზე განფენილი ქვის სვეტი და ამ ქვაზე ამოტვიფრული ცხენზე ამხედრებული ჭაბუკი გაშლილი ეტრატით ხელში. მხედრის მიღმა უსასრულო სივრცე ჩანდა, უნაპირო მარადისობა. გურამი ელენეს და ოთარის ბიძაშვილის, ძია მიშას ვაჟიშვილი იყო. ამიტომ აქაც დიდხანს ვჩერდებოდით. გურამის დაღუპისთანავე ძია ოთარი გაგრაში გაეშურა და იქ სხვებთან ერთად კატერით ზღვაში იყო გასული მის მოსაძებნად. მოგვიანებით არაერთხელ გაუხსენებია ის საბედისწერო დღეები.

მერე უკვე შალიკოს საფლავისკენ მივდიოდით. აღდგომას ხალხის ტევა არ იყო. გავარღვევდით ამ მოძრავ მასას, გადავუხვევდით მარჯვნივ და ფერდობზე ვეშევიბოდით. შორს კიდევ მოჩანდა ერთი ფერდობი და იქაც ჭიანჭველებივით ირეოდა ხალხი. ეს მართლაც ქრისტიანული დღესასწაული იყო, რომლის მონაწილე ვიც ვიყავი. ჭირისუფლები უჩვეულოდ ფუსფუსებდნენ. საფლავებზე ნითელი კვერცხები და ათასნაირი სანოვავე ეწყო. ჩვენი მისვლისას უკვე ხმამაღალი საუბარი გაისმოდა, დიდი ბოცებიდან ისხმებოდა და იღვრებოდა ღვინო. მე და ბებიაჩემი ვეშევიბოდით ფერდობზე და ვხედავდით ნაცნობ საფლავთან შეკრებილ ახლობლებს. აქვე ტრიალებდა ძია ოთარი. ის ყველაფრის მოთავე და შემსრულებელი იყო, რაც საადგომო რიტუალს ეხებოდა. ქალები საფლავს ასუფთავებდნენ, სანთლებს ან-

თებდნენ და პატარა კუთხეს აწყობდნენ, სადაც შესანდობარი უნდა თქმულიყო. ყველაზე მეტად ის მიკვირდა, რომ ისინი გულმოდგინედ ასუფთავებდნენ იმ ქვასაც, რომელზეც საბედისწერო წარწერა იყო ამოკვეთილი — „ვერაგულად მოკლული შალიკო რჩეულიშვილი“.

ახლა ძია ოთარიც იქ არის დაკრძალული. ისე მოხდა, რომ მისმა დედამ, კატომ და კატოს შვილებმა, როგორც ეს ძველ ფოტოსურათზეა აღბეჭდილი, იქაც ერთად მოიყარეს თავი და ალბათ იქაც ის აწუხებთ, რაც ამჟვეყნად აწუხებდათ — და რაც ქვაზე ამოაკვეთინეს — „ვერაგულად მოკლული შალიკო რჩეულიშვილი“. ოთარს მკლავზე უფროსი ძმის სახელი ჰქონდა ამოსვირინგებული.

ვაკის სასაფლაო ჩემთვის იმთავითვე საკრალურ ადგილად იქცა. ზაფხულობით საფლავებს შორის დატანებულ ვიწრო გზას დავადგებოდი და მივყვებოდი. ეს თითქოს ყოფიერების მეორე მხარე იყო, მეორე ქალაქი. ნაძვები და კვიპაროსები თავის ჩამოქუჩებულ ჩრდილებს აფენდნენ და უჩვეულო მყუდროებას ქმნიდნენ. აქედან უკვე გაკრფილიყვნენ ადამიანები, რომელთაც ბრმა შემთხვევათა გამოისობით მოურჩენელი იარა ჰქონდა მიყენებული. რჩებოდა ლანდშაფტი — ქვაში ნაკვეთი სახე და წარწერა. რჩებოდნენ მეზოვის ცოცხით და აქანდაზით შეჭურვილი დამსუფთველები ქალები, რომლებიც ისე საქმიანად და შინაურულად მიმოდიოდნენ საფლავებს შორის, თითქოს აქ ჩვეულებრივი, ყოველგვარ საკრალურობას მოკლებული ადგილი ყოფილიყო. არადა, სალამო რომ მოაწევდა, აქაურობა უფრო მეტ მყუდროებას იძენდა. რომელიღაც კვიპაროსის კენწეროზე თრიალეთის ტყეებიდან მოფრენილი საოცარი ჩიტი გალობდა. ეს იყო ბრმა ბედისწერასთან, ამოკებათა ამოკებასთან და საერთოდ მსწრაფლწარმავლობასთან შერიგების ადგილსამყოფელი. ვაკის სასაფლაოზე არცთუ ისე ხშირად მოდიოდნენ ადამიანები, მაგრამ მათი ცხოვრების მძიმე ღუზა მუდმივად აქ იყო ღრმად ჩაშვებული — მათივე სიზმრების გამჭვრავლე ფსკერზე.

აქ არ იყო ღამის ნათურები, ამიტომ შეღამებისა აქაურობას თალხი საბურველი შუმწინველად ეფენებოდა. შორიახლოს წყნეთისკენ მიმავალი ბაგების ტრასიდან ჰაერში გაბნეული ღამის სინათლე აღწევდა. გრძელი სხივი რომელიღაც მეტალის წარწერაზე აბრწყვილდებოდა, მაშინვე ასხლტებოდა და ახლა სხვაგან გაბრწყინდებოდა. ამ სასაფლაოზე იყო ძველი, ძალიან ძველი და ამავე დროს ახლად გათხრილი ან უკვე სამუდამოდ დავიწყებული საფლავები. მაგრამ მათ ყველას ერთნაირი საბურველი ებურა, ღამის თალხი საბურველი. ღამე გადავივლიდა და მოვიდოდა დღე, მერე საღამო მოაწევდა და ასე იცვლებოდა ყველაფერი დაუსრულვლად, თუმცა აქაურობისთვის ეს სულერთი იყო, რადგან უკვე მარადისობა ჩამომდგარიყო. აქვე განისვენებდა შოთა ჩანტლაძე, რომლის თეთრ ბიუსტს ღამით მთვარის ბასრი შუქი ეცემოდა. მის ერთ ლექსში ვაკის სასაფლაოს მიმწუხრია აღბეჭდილი:

*სადღაც ფერი გადიარს,
სადღაც ღამე დაობდა,
ჩემი თეთრი გაღია
რა უდროოდ დაობლდა,
ჩემი თეთრი გაღია
მოდის სასაფლაოდან.*

ორმოცდაერთ წლამდე ოთარი რუსეთში სავალდებულო სამხედრო სამსახურში იყო გამომცხვებული, საიდანაც პირდაპირ ფრონტზე გაგზავნეს. აქედან იწყება მისი ხანგრძლივი ოდისეა ვეროპის გზებზე, არა მარტო შუა ევროპაში, არამედ აღმოსავლეთ ევროპასა და უკრაინაშიც. ეს, რა თქმა უნდა, სხვა მოთხრობის თემაა, მაგრამ აქ მაინც რაღაც უნდა ითქვას. დიდდა კატომ ორი ვაჟიშვილი დაკარგა — შალიკო და ნიკო, ორი კი ფრონტზე გაგზავნა — ელიზბარი და ოთარი. ორივე უვნებლად დაბრუნდა. მხოლოდ ფრონტზე ყოფნის გარკვეულ პერიოდში მეტად საჭოჭმანო ვითარება შეიქმნა: ოთარი მოულოდნელად გაუჩინარდა. ის არც ცოცხლებში ეწერა და არც მკვდრებში.



ნინა სამხარაძე

მასო

ბოლოს როდის გიშველე, ღმერთო.
მეზადურის ბადესავით
დახვერტილ ხელეზა ჩემო ღმერთო.
საშველს ნუ ეძებ,
ჩემთან შველა არის უშვილო.
მე გარდაცვლილი მათხოვარი
მახოს ხელეზი
ვნახე და მანდარინს მივამსგავსე
იმ ღამეს მთვარე,
ყველა თამბაქოს სუნს გრძნობდა,
მე კი ფორთოხლის,
ჩემი ბავშვობის სურნელი აქვს
მის ბინძურ მკლავებს.
ჯერ კიდევ გუშინ
მოპარული ვაშლები მომცა,
შენ როგორც აძლევე ნირვაობით
შენს წილ ხორცს, მისხალს,
და მრავლდებიან შენ წილ სისხლხორცად,
მამა ხარ მათი, სისხლი და ხატი.
ჩვენ კი რა გვექნა,
უმამურად დარჩენილ ბავშვებს
მუხლებდამტვრეულს ქუჩის ბოლოს
მე მყავდა მახო,
სიმინდისფერი თითები და
უხეში წვერით,
როცა ახალ წელს სხვა ბავშვები
საჩუქრებს ჭამდნენ,
ჩემი ბედობა მახო იყო
თამბაქოს სუნით
გაჟღენთილი მანდარინებით.
უკვე დიდობას ვაკითხავდი
გზის ბოლოს ქვაზე
თამბაქოთი და მიყურებდა,
როგორც დარგულ იმ ერთადერთ ხეს,
ცხოვრებაში რომ უნდა დარგა
და ისე მოკვდა.
და ასე მოკვდა.
მანდარინი მეგონა მთვარე.
ჩემი სისხლი ყარს ფორთოხლის სუნად
და ჩემში ახლა ნუ ეძებ საშველს,
რადგან აქ შველა არის უშვილო
ანუ ერთხელ და მერე მორჩა, როგორც სიკვდილი.

ნარილავის ციკლი

1
მკვდარი ბიჭები სამყაროს ცვლიან.
არ მინდა მოკვდე.
შენი ჩრდილების გოლიათებს
ალარ აქვთ ძალა,
ეს შიში არის პატარა და ისეთი ნორჩი,
არ მინდა მორჩე,
თუნდაც სამყარო გამოუცვლელ
ტკივილად დარჩეს.
არ მინდა ვჭამდე
ქვეს და სისხლი მდიოდეს თმიდან,
როგორც იმ ქალებს,
ავტორები რელსებს რომ ვუნწყობთ.
ურჩხულებს ღვიძავთ,
შენზე დიდებს, შენზე მრისხანეს,
გადაყლაპულ ჩემ ქვეყანას
ალბობენ ნერწყვში,
და ვერ იქნება ველარავინ ისე მდიდარი,
როგორც მე შენით —
შენ თუ ისუნთქებ სულ და მარტივად,
შენ თუ იქნები ისე ნამდვილი,
ალბინოს მინდვრებს რომ დააწვე
ფიქრად და ხინჯად.
შენი სული, შენს ჩრდილზე დიდია
ახლა,
შენი თითები ჯებირი ზღვების,
მთების და ჩემი,

მე მინდა ვიყო აღმართებზე ყველა
ის დალლა,
სადაც ჩერდები...
სადაც წყალს სვამ და ხელახლა დგები,
რომ გააგრძელო ნერწყვიანი
სამშობლოს ძებნა.
ურჩხულებს ღვიძავთ.
და ჩემი გული ყოველ ღამე
სარკოფაგდება...
სადა ხარ ახლა...
დღეს სამშობლო ჩემი დარდი,
შენ და ეს წვიმა —
სუნი რომ ყველგან ერთი აქვს და
გემო ნეკერჩხლის...

2
ჩემი გრძნობები სიკვდილზე შორს
გრძნობენ სიცოცხლეს,
მანც იმავე ტოტებიდან დაიწყე მოჭრა,
სადაც ჩიტივით მისხალ-მისხალ
ვზიდე სიტყვები. ვაშენე ბუდე.
ვაშენე ჩემი მთის ყვავილის
ნატანჯი სული.
დაბადებიდან შენამდე რომ
გავზარდე თმებით შეკრული კონა,
ყველა იმ ქალის სიცოცხლეს უდრის,
ვინც მიმტვრევს ტოტებს,
ვინც მიჭრის ხეებს,
რადგან დიდი ვარ, როგორც სამყარო.
ჩვილის გულივით ვიყავი ნორჩი
და პოეტურად ამპარტავანი.
ისე დამთავრდი,
პო.. ისე მორჩი,
ჯერ მოხუცივით დაპატარავდი,
შემდეგ ნატკენი მუხლებივით
საერთოდ გაქრი.
გულშიც კი ვეღარ გიტოვებ ხინჯად.
შენი ხელები ჯებირებად აღარ ვარგია,
შენი მოჭრილი ტოტებიდან
ჩიტები ცვივა,
სისხლიანი და დაფლეთილი
ცვივა ჩიტები.
ალარ ვარგია არცერთი მძიმე,
სადაც მოჭრილი ნერტილი დავსვი.
ალარც ვიბნევი.
ურჩხულებს ღვიძავთ,
გახსოვდეს, რომ ურჩხულებს ღვიძავთ.
შენი ცხოვრების მიღწევებში
ყველაზე დიდი აი ეს არის,
მე რომ მიყვარდი —
სამყაროს ხელას.
და ის ტოტები, რომ მიჭრიდი,
ჩეხდი და სტკენდი.
აი ეს არის, რაც უნდა მეთქვა,
რომ პლანეტა ვარ, შენ რომ დაკარგე,
პოეზია ვარ, შენ რომ დაკარგე,
ემოცია ვარ, შენ რომ დაკარგე,
სიყვარული ვარ, ერთხელ რომ მოდის.
შენ კი — დასმული ნერტილების ერთობლიობა.

3
ვერ შემეშველე, არა ვარ მჩატე,
დახუნძლულ ხეებს ბავშვზე მეტად
სტკივით მუხლები,
რადგან ნაქცევა არ შეუძლიათ.
იარებია ეს ჩემი სახე
და ყველაფერი, რაც შიგნით ფეთქავს,
ხმება და ჭკნება.
ხვალ იქნებ მოვკვდე
და გავიტოვო ატმის ხედ შენში,
ან იქნებ ცოცხალს გადამექცე
გახსნილ პერანგზე..
არ ვიცი ახლა რას აქვს აზრი,
ნერილს თუ მძიმეს,
დუმბილს თუ წერას,

ყველაზე სუფთა რაც შემომჩრი,
უნდა მიყვარდე.
არა ვარ მჩატე, ვერ შემეშველე,
მტკივა ტერფები.
უმამურობას, უბავშვობას
მოვართვე ზურგით,
და ეს ხელები შეუხებლად
გრძნობენ ურჩხულებს
და ეს თითები კანის ქვეშაც
იხედებიან.
ვერ შემეფარებ,
მუხლებიდან მცვივა მტრედები,
კედლის კუთხეში ჩემებურად იმუხლებიან.
ვერ შემეფერებ,
მძიმე არის ჩემი ეს მხარე,
მძიმეა ჩემში უგვირგვინო
ბრონეულები.
მე პოეტი ვარ,
ვერ გადაგდებ მეორე მხარეს,
სანამ ბოლომდე სისხლისფრად არ
მოვითხუნები,
სანამ არ დაგწერ ისე კარგად, რომ
უკვდავს გაქცევი,
სანამ არ გტანჯავ ისე მძიმედ, რომ
ქრისტეს გავდე,
ამიტომ, როგორც ქალი, ისე
გემშვიდობები.
მშვიდად და წყნარად,
რომ არ გატკინო შენი წილი ბედნიერება,
რომ არ გაგსვარო პოეტების ზიარებაში.

4
იმ ყვავილებს კრეფ,
რომლის სუნიც ვაზამდე ქრება,
შენ ისევ ისე უსულო ხარ,
როგორც საგანი,
მუცლიდან დამყვა ყველაფერზე
წინასწარ ლელვა,
მერე ნელ-ნელა ერთმანეთზე
გადავამრავლე..
ვაზიდან იღებ დამჭკნარ ყვავილს,
მე რა უნდა ვთქვა თებერვლის იამ,
ან რაზე უნდა გელაპარაკო,
მათზე ნადირობ, ვისი ხორციც
უვარგისია.
სიტყვები ყრია,
დღეები ყრია,
თვეები ყრია,
მე დავიგრძელე ყურზე საყურე
და ეს ღიმილი ყველგან დავფანტე.
ისევ ჭრი ხეებს,
მაგრამ მათი ალი არ გათბობს,
მათი ტოტები კანის ქვეშ ვერ იხედებიან.

თუ ვერ გაცურავ, ზღვა დააშრე! —
გადი ნაპირზე.
მკვდარი თევზების სიბრალული არ
მოგცემს ნიჩბებს...
(შენი სხეული არ ადარდებს არცერთ
მეზადურს).

თუ შენ სუნთქვას შეუძლია
ორთქლოს მინები,
შენი ხელები შეხებისას
თუ კიდევ თბება,
შემიყვარებდი, ესე იგი შემეყვარებდი.
თუ ვერ ეშვები სამშობლოზე
შფოთვას და ლელვას,
შემიყვარებდი ნალალატევს, დაჭრილს,
და მოკლულს
გამამთელებდი.
ის მზის სხივი ვარ, შეხედვისას
თვალებს რომ ხუჭავ,
მაგრამ გიზიდავს სითბოსა და
სინათლის გემო.
შენ რომ გესმოდეს შენი გულის
მარჯვნიდან ფეთქვა,
ჩამიხუტებდი, მისი ხმა რომ
ახლოდან გეგრძნო.
ახლა რიგზე არის ყველაფერი,
ისევ რიგია უსამელო,
მე როდის მიწვეს შემეყვარო
უსახლკარო და უსამშობლო.
ჯებირებივით შენი მკლავები
თავისში მმარხავს, წყალივით ძლიერს,
ცეცხლივით სასრულს.
დამარხულია ის ყველაფერი,
რაც ახლა არ გსურს,
ის, რაც დასრულდა.
და თუ შენს ხელებს შეუძლია
ორთქლით გათბობა,
შემეყვარებდი, ესე იგი შემეყვარებდი,
თებერვალვით მოკლეს,
ფუჭი დროისგან მოჭმულს.



პაპუნა ფირცხალაიშვილი

კაცი აჰოვდა

შენ იწყებ — „ღმერთი არ გვიტოვებს ბოლო არჩევანს“, არ გეთანხმები, ვერ იტან და მაინც გასწავლი; არ შეიძლება კაცისა და ღმერთის გარჩევა მხოლოდ ხელებით, მხოლოდ ჯვარცმით, მხოლოდ აღსავლის

კარებში დგომით, ან სიმსუქნით, ანდა მანქანის მარკით, კედლებით, ნიგნებით ან Guns N' Roses, ბოლო აღბრუნებით, ვისაც უნდა იმას მოუსმენს კაციც და ღმერთიც, არ სჭირდება ამას სანგარი

ან აკუსტიკა. ბოლოს მაინც ღმერთი და კაცი რით განსხვავდება? სისულელე. ყველას ეჭმევა: ვაშლი, ბანანი, ანანასი, მარწყვი. აქაც იმ აზრს ვეჭიდები, რომ შეჩვევა იცის ეჭვებმა,

მერე იზრდება, იბერება, ნელა მოცურავს ტვინიდან, ტანში იფანტება. ღმერთიც კაცისთვის ნელში იხრება, მუხლზე დგება, ისე ლოცულობს, წყალს სვამს, ღვინოს სვამს, უმეტესად წყალი საცივის

უყვარს, ღვინო კი მთავარია არ შეიცავდეს წყალს, და ამ მხრივაც არ გვიზღუდავს რამე არჩევანს, ღმერთის სიმაღლე იზომება ციდან მიწამდე, კაცის პირიქით, ამიტომაც არ ღირს გარჩევა..

ტრიოლიტი N2

თავს გიკრავს მაისის შროშანი, მზეს გინთებს და შენზე ლოცულობს, თუმცა გაზაფხული შორს არის. თავს გიკრავს მაისის შროშანი.

ტრიოლებს მინა და დრო-ჟამი. იქნება ჩემამდეც მოცურო... თავს გიკრავს მაისის შროშანი, მზეს გინთებს და შენზე ლოცულობს.

აქ როგორც მოვხვდი, ბოლოს მახსოვს შენსკენ მოვრბოდი. უკვე არ ვიცი მოლოდინი თუ ისევ მიცავს. წყალი დამიშრა, ხავსი გახმა, ახლა ორმოდან ვცდილობ ამოვძვრე, დავუბრუნდე გვალვიან მიწას.

ფრთხილად მტვრეული, დაბორკილი, ქარით დევნილი, უკან მივდივარ, ერთგულია ძალიან სიციხეც, ასჯერ ცოცხალი, ასჯერ მკვდარი, შარშანდელივით ვინც ახლიდან, უფრო სწორად თავიდან ვინც

ძველი გზის ტკეპნას. ჩემი გული, როგორც ტივტივა, ან როგორც ტივი, მიუყვება დინებას დაღმა, მე კი ყოველთვის ვშორდები და უკან მივდივარ სიცოცხლისაკენ და ერთხელაც მივალნე. ჩახმას

დავაჭერ. შენზე არ ვიფიქრებ, ფიქრებს დრო მოშლის და აღარასდროს მოვინატრებ, რაც ახლა არ მაქვს. უკანასკნელად ჩავვარდები მღვრიე ორმოში, სხეულს ორმოში დაგიტოვებ, სული კი ქარმა

უნდა წაიღოს, შეიერთოს მცირე ნიადად, თორემ ამ გზაზე სიარულით დღითიღე ვინცენ. მივესალმები დიდის ამბით პირველ იანვარს, კალენდარს ბუხარს შევუკეთებ, თავიდან ვინც...

ირაკლი კუნჭულიას

ვიცი, რომ გული მოხატული გაქვს ცუდი სიზმრებით და ნიკოტინით, ერთ დროს ყველაზე ლამაზ ხულიგანს გადაგვალა ტანი ლოდინით.

გადაგვალა სული ლოდინით, და ვერ ისწავლე გროშის შენახვაც, იცლები, მერე ისევ გროვდები, ისევ იცლები, მაინც ხელახლა

გროვდები, ვფიქრობ აზრი ამაში არც ყოფილა და არც ხვალ იქნება, თუმცა ცხოვრება, მაინც ლამაზი, ასე თუ ისე არ გაგიქრება.

ასე თუ ისე მაინც ჩავითრევეს მღვრიე და სწრაფი დროის დინება, ერთხელ თვალები თუ ვერ ავინთეს, ჩამქვრალით არც კი აგეტირება.

ვიცი, რომ გული მოხატული გაქვს ცუდი სიზმრებით და ნიკოტინით, ერთ დროს ყველაზე ლამაზ ხულიგანს გადაგვალა ტანი ლოდინით.

ლობიკური ლაქსი

დღეები ახალ იმედებს ქარგავს, უცვლელი არის ამ დღეთა სიგრძე. წლებია უკვე მეგობრებს ვკარგავ, ვიძენ და ვკარგავ, ვკარგავ და ვიძენ.

ასეა მუდამ, არ არის ისე. და არაფერი არ არის კარგად.

წლებია უკვე მეგობრებს ვიძენ, ვკარგავ და ვიძენ, ვიძენ და ვკარგავ.

დღეს სიყვარულზე აღარ წერენ, ანდა თუ წერენ, გამქრალ სიყვარულს იხსენებენ, რადგან ასეთი გრძობა მუცელში პეპლებს აჩენს და გულში მწერებს, მერე რთულდება, მეც თავიდან ვერ ვათავსებდი:

ფიქრებს, შეგრძნებებს, წარმოდგენებს, წარდგენებს, ლიტინს, გულში საამოს, სულზე ბზარებს. გამსკდარ ჭებრებით ივსება ჩემი სხეული და იგება ხიდი, ათიათასი ბენვის ხიდი, გესაუბრები

ხშირად ჩვენს შვილზე, ამ დღეებში გაჩნდება იგი, გამოვა მზეზე, მზის ქუდი და ტაშის დერეფნით, დავხვდები ქოლგით, სიყვარულით და სავესე ჭიქით, სირთულეებით, ტკივილებით, ბედნიერებით.

ცოლს

როცა გიყურებ მერყევს, ამოუხსნელს ვგრძნობ კავშირს, შენი სიმშვიდე მიყვარს, ჩემი სიგიჟის მსგავსი.

გულს მკერდზე ოდნავ მომცროს უახლესი ჭამს სენი, შენი თვალებით მომწონს ჩემი თვალები შენი.

მხოლოდ ჩვენ ვიცით ორმა, ჩვენსკენ სიზმრად ვინ მორბის, ჩემს სიცოცხლეს აქვს ფორმა დღეს შენი მუცლის ფორმის.

თუ კი აიღებ საქსოვს, შენ გაქვს სიმშვიდის შანსი, შენი სიგიჟეც მახსოვს, ამ სიყვარულის მსგავსი.

მოლოდინი

ვუცდით, მოვა უსათუოდ ხვალ-ზეგ, გაიხარჯავს მგონი მთლიან ანბანს, მხოლოდ აცრა არ ექნება მხარზე, სხვა მხრივ დედას ემსგავსება ალბათ.

მოვა მშვიდი, შეჭმუნული შუბლით, მოვა არეგს მთელს სამყაროს ლამის, დედის მსგავსად ანუ ხატად უფლის, ხასიათით და თვალებით მამის.

გამოვაცალე დასაყრდენი, ახლა ვედარსად ვერ დაისვენებს, ხელისგულზეც აღარ ვატარებ ჩემს გულს. დარდები ერთიანად რომ ჩამეხარშა, აქამდეც ბევრჯერ, გასკდებოდა და თითო-თითოდ ვანვლიდი წვრილად, ვაყოლებდი ხშირად ნათალებს. თუმცა ბორგავს და მთავარ ტკივილს კვლავ თვითონ ითხოვს.

ვუფრთხილდებოდი. მიერთგულა. ახლა შევეშვი. ბევრი ვტკეპნეთ და საბოლოოდ მაინც სხვადასხვა გზები ვარჩიეთ. ფართხალებდა მკერდში, ხელებში. ჩვენ არაერთხელ ერთმანეთი გადავარჩინეთ, ასე ვისწავლეთ სიარული, სისხლის გადასხმა. ბევრჯერ უფსკრულებს მივადექით ცივს და საშინელს.

არ დავიბრალეთ სიხარული. უბედურება შევაკონინეთ და გავრუმდით, მერე, ცოტა ხნით და ყოველ ღამე დაძინება თუ მერთულება მისი ბრალია, მოიფიქრა პატიოსნება და საპყრობილედ გადაიქცა ჩემი ოთახი. გამოვეცალე და შევწყვიტე მისი მოსმენა.

გულწრფელი შენდობა

იქნებ დრო არის აპატიო ამ თავს, ამ დებილს, არაფრის მთქმელს და გამეტებულს, ნიღბიანს, უთმოს... ჩემში მზესავით განათდი და ვერ დაღამდები, გარეთ ღამეა, თუმცა უკვე არაფერს ვუთმობ, ღამეს მივეცი ჩემი დარდი, სევდა, ნუხილი, ახლა კი დროა მოხვიდე და ინათო, გავთბე... ბევრჯერ შემამრო სახეზე და მაინც ვულიმი ბედს და ერთხელაც გამილიმებს. რამდენჯერ დათმე, ვინ იცის. ახლა მოწყენილი უბრალოდ ზიხარ, სვამ და ნებდები, ხან კითხულობ. თუმცა ლექსები არაფერს გმველის და ჩვენს შორის არსებულ ტიხარს ფხაჭნი და ბზარავ... მე კი ამ დროს როგორ გექცევი.



დასაწყისი პირველ გვერდზე

გიო ძილბურანშივე იტანჯებოდა და თვალის გახელა, გვერდის შეცვლა და საკუთარი სუნთქვა ერთნაირად ზარავდა. არა რა, არ არსებობს უფრო დიდი დანაშაული და ბოროტება, ვიდრე ადამიანის ამქვეყნიად მოვლინება. ამ კომპარისთვის, ბითურობისთვის და სიბნელისთვის საკუთარი შეილება, სისხლი და ხორცი როგორ უნდა გაიმეტო? შენ რომ გაგიმეტეს, ისიც საკმარისია. დაბადების დღიდანვე ამდენი ტყვილი, გულიტყენა, წამება, საფრთხე, წყენა, უსამართლობა. ყველაზე საშიშროება კი ის არის, რომ რაც უფრო იზრდები და ვირდები, შენც აღარ აკლებ ხელს — თვალსა და ხელშეა ცხოველები და თავად უარესად იქცევი — იმეტებ, ტყენ, ჩაგრავე, დასცინი, ურტყამ, კლავ, ყველაფერს სწადიხარ და გგონია, რომ სრულიად სამართლიანად იღებ აბაროტს; მტერს სამაგიეროს უხდი და ამით თავს იცავ. არადა, ამ დროს სინამდვილეში მხოლოდ საკუთარ ანარეკლს უქნევ სარკეში მუშტს, დანას თუ ხმალს და ყველაფერი ის რაც ასე გზარავდა — ლაღატი, ორპირობა, ტყუილი, სისასტიკე და ვერაგობა — ორმხრივი ხდება შენი უშუალო მონანილეობით. და ბოლოს სიკვდილი!.. სადმე ბაც ლურჯად, ცივად განათებულ კლინიკაში, ან ხაფანგში მოყოლილი ცხოველივით, პანიკურად აყმუწვლებული სირენების ხმით სავსე სასწრაფო დახმარების მანქანაში, ვინმე დაღლილი და გაბეზრებული ექთნის უხეში ხელით დაფარებული სასუნთქი აპარატის ნიღბის ქვეშ ხრიალით უნდა დალიო სული და სახე გაგიქვავდეს. გამთანგავი ტკივილები, მილეული განწირული ხმით რომ იხევენები გამაყურებელს და ყველაფერი სულერთი ხდება. ამიტომაც გამოუვიდა დანტე ალიგიერის ჯოჯოხეთის აღწერა გაცილებით ეფექტური და შთაბეჭქდავი, ვიდრე — სამოთხის. ცოდვილი, ბედკრული და სამგზის საწყალობელი ადამის ძე სააქაოშივე გაცილებით უკეთესად იცნობს ჯოჯოხეთს, გაცილებით ნათლად, ზუსტად და მძფრად აღიქვამს, ვიდრე ამ ორგულ და თეთრი ღრუბლების იქით მიმქრალ წამოთხეს. ჰოდა, რატო, ტოო, რისთვის ვჩნდებით? წამებისთვის? რომელიც, როგორც გვპირდებიან, შეიძლება სიკვდილის მერეც გაგრძელდეს, რადგან „დაბადებიდან ცოდვილი ხარ...“ რატომ მოვხვდით ამ მარაზში?.. მართლა რა უბედურებაა ეს დაიძინე-გაიღვიძე, შედი ტუალეტში, გამოდი ტუალეტშიდან, საჭმელი... მთელი ცხოვრება საჭმელი რომ უნდა თქველიფო დღეში სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ... თან ყველაფერი — ხორცი, ბოსტნეული, თევზი, ბალახი, ყველაფერი შენ რო უნდა შეჭამო. აღბათ ამიტომაც არის, გაკეთების დროს ადამიანის სხეული ერთი ერთზე რომ ემთხვევა — არა, ვერ მოგართევს, არც ხარისას, ხარი ხორცს არ ჭამს, არც მგლისას, მგელი ბალახს არ ძოვს — არამედ, ღორისას, რომელიც ადამიანივით განურჩევლად ყველაფერს ხეთქავს და ათობლავებს. ამიტომაც ამოაცალეთ, გაუწყნებლეთ და გაუქრეთ ადამიანს ეს ნაღმივით ჩადებული სული და ხელში გაფეშოვებული ღორი შეგრჩებათ — დასაბასტურმებელი სამწვადე და სხვა არაფერი.

ჯერზე ერთი ლიტრა არაყი გადაივლე თავზე, დაჯექი მანქანაზე და გაფრინდი, საჭე ვერ დაიმორჩილე, აასკდი რაღაცას და დაიფშვინი, ყველა ძვალი დაგელენა და წამებით დაიბრიდე. ან ინფარქტი გგლიჯავს ერთხელ, ორჯერ, ვიდრე ცხოველური მიშისგან თვალბეგაფართოებული საკუთარ სისხლს არ დაანთხევ პირიდან და უჭაერობისგან გაგუდული ისევ წამებით არ დაიბრიდები. ამ იდიოტური ლოგიკით შენი ყველაზე დიდი მოყვასი ის პატიოსანი და კეთილშობილი სნაიპერი, ვინც ძვირადღირებულ ტყვიას შემოგივლის შუბლში, დიდსუ-

მის ცხოვრებაში ასეთი კეთილშობილი, პასუხისმგებლობით აღსავსე, სერიოზული მამაკაცი გამოჩნდა — მაგრამ ახლა უცებ, მართლა თავისთვისაც მოულოდნელად, ისეთი კივილი ატეხა და ისეთი შოკი დაემართა, რომ გონს მოსული უხერხულობისგან ქმარ-შვილს თვალბეგაფართოებული ვეღარ უყურებდა და აღარ იცოდა, რომელ ოთახში შექეტილიყო. ქმარიც, მიუხედავად მთელი თავისი კეთილშობილებისა, შეგნებულობისა და სერიოზულობისა, თითქმის მთელი თვე აღარ ელაპარაკებოდა მეუღლეს, მხოლოდ ბავშვებსა და ოჯახურ თემებზე, და პრინციპულად უბრადა მიირთმევდა წარსულში „იმ დამბეზრებულ“ ყურებამდე შეყვარებული ცოლის მომზადებულ საუ-

ბოდა, ხომ არსებობს ეგეთი დღე, შტელია, არაფერი ხდება, შანსი არ იყო, ვერ შონსვენებდა და მაინც რაიმე პონტს ააგდებდა. მაგ პონტებმა დალუპა ბოლოს მაკენაც და ყველა, მაგრამ ეგ ბოლოს იყო. ახლა კი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, სულ სხვადასხვანაირები თავისი ხასიათებითა და გაფრენებით. ზუკას მთელი თავისი თავზეხელაღებული მითხედავად შეეძლო, კვირაობით ჩაკეტილიყო სახლში და ნიგნებთან მჯდარიყო. განსაკუთრებით ფილოსოფია აინტერესებდა და, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად გერმანელი ფილოსოფოსები ევასებოდა. მაკენა რომ გერმანული მანქანების ქებას მოჰყვებოდა და შეუვალი, ავტორიტეტული ტონით აცხადებდა: „გერმანელები ყველაზე მაგარ მანქანებს აკეთებენ“... ზუკა აუცილებლად გაანწყვტინებდა და მრავალმნიშვნელოვნად ჩაურთავდა: „გერმანელები, პირველ რიგში, მაგარ ფილოსოფოსებს და იარაღს აკეთებენ, მაგამი არიან ასეები, თორემ მანქანას ნებისმიერი მეხანიკი გააკეთებს ნებისმიერ ქვეყანაში“... მაკენას პირდაპირ აცოფებდა ზუკას ასეთი აგდებული დამოკიდებულება მისი საყვარელი მანქანებისადმი, პირში მაინცდამაინც ბევრს ვერაფერს უბედავდა, მაგრამ გაიგულებდა თუ არა, ბიჭებს შეუბრუნებოდა და გულიანად მოჰყვებოდა ზუკას თათხვას: „გიჟია ეს ჩემისა, ვერ არი, აფრენს, ბოზიშვილი ვიყო, გაარეკინეს ამ ნიგნებმა და გოთვერანმა ფილოსოფოსებმა, თუ არადა, იარაღს მეხანიკი არ სჭირდება?.. იარაღის გაკეთებას და გამოყენებას მართლა რა უნდა, გამოკრავს ჩახმას ვინმე ზუკასნაირი დარტყმული და მზად არის, დაბრედილია ტიპი!.. შენ მიდი, აბა, „მერსედესის“ და „პორშეს“ მოტორები დაშალე და აანწყვე, „ბეიშევი“ და „აუდი“ გააკეთე... რა გაცილებით, თქვე ჩემი თერამეტიანებო, აი, ზუკასნაირი ტიპები არიან სინამდვილეში ყველაზე საშიშროები, ერთდროულად ნიგნებიც რომ ევასებათ და იარაღიც, მაგარი ადსკი სმესია ეგ, ეგენი აქცევენ მერე ქვეყანას, ინყებენ ომებს და აფეთქებენ ყველაფერს, უსამა ბინ ლადენს სხვა რამეზე კი არა აქვს გარეკილი...“

ბიჭები არხინად იცინოდნენ და სულ ფეხებზე ეკიდათ ჰაიდგერიც და ატომური ბომბიც. მთავარი ის იყო, რო ერთად იყვნენ და მზე ანათებდა. თუ წვიმა, ქარი და სიცივე იყო, მაშინ ხაჩიკას ადგებოდნენ, რომელიც ნებისმიერ ამინდში თავის ძველ გაქუცულ ნითელ დივანზე იყო უცვლელად წამოკოტრილებული, თავის ერთგულ პლედში გამოხვეულიყო, ტელევიზორს უყურებდა და სხვათაშორის უსმენდა მაკენას ორატორულ ტირადებსა და ვირტუოზულ გინებს.

ლამის კომპარულ სიზმრებს თავდალენული და გამოქცეული გიორგაც მიუჯდებოდა გვერდით ბიჭებს, ჯერ ცოტა ხანს ჩუმად უსმენდა და ძილში ქვესკნელის ნაპრალელებიდან გამომცვრალი დემონების გაფერმკრთალებას ელოდა. დღის განმავლობაში, მზის შუქის მოძლიერებასთან ერთად, ბნელი და მრუმე, კუდიანკრული სიზმრები დროებით ქრებოდნენ მომავალ დაბნელებამდე და უკუნ ღამემდე. სამაგიეროდ, მანამდე შეეძლო ეცხოვრა და სული მოეთქვა, თანაც რაც უფრო დიდ ამბებს დაატრიალებდა დღის განმავლობაში, მით უფრო მეტი შანსი ჰქონდა, იქით დაეფრთხო თავისი ნილი და მღევარი ავსულეები. ან არაფხიზელი და გათანგული ძილშივე გასცდნოდა, შეუმჩნევლად გამსხლტარიყო ჰადენის ცხრავე კარში, გადავლებოდა მის ცეცხლოვან ბლოკ-პოსტებს და შემდეგ დილაამდე მშვიდობიანად მიეღწია და ამიტომ შემპარავი ხმით იწყებდა:

— რას ვაკეთებთ? ქვემოთ, „დამალულეებში“, ახალი ბუტკა ჩაუდგამთ.

— ჯიხური, — მაკენა ნებისმიერ შეცდომას, ფაქტობრივს, სულიერს, ლინგვისტურს თუ ქუჩურს, მხოლოდ საკუთარ თავს პატიობდა.


— ჯიხური, — გიომ ცერად ახედა, — ტიგრან გულოიანი ხარ, შეჩემა?..

— ვინ ტიგრანა? — არ მოეწონა მაკენას, — ტიგრანაცა ხარ და ხორენა ოჯანესიანიც...

— ვაი შენს პატრონს და ვაი ჩვენს პატრონს შენს ხელში. ე, მისმინე, ჩემი ფილოლოგი ბიჭი, შენ და შენს ერგემას „ვინი პუხი“ რომ გათხოვეთ, კიდევ არ წაგიკითხავთ, ხო?.. ჰოდა, აი, მაგ „ვინი პუხშია“ ეგ ტიგრანა გულოიანი, — და სანამ შეურაცხყოფილი

ბექა ქურხული
თვალდაკარბული
ყიპჩაღის ჩანაწერები

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან



ლოვნად გაიმეტებს, ფეხზე მდგარსვე შემოგატრიალებს და ჰაერშივე გაგაქრობს, ვიდრე ნაქცევას და მთელს სიგრძეზე გაშლას მოასწრებ. თან ეგ სნაიპერი და შუბლში ძვირადღირებული ტყვია ჯერ უნდა დაიმსახურო, ჩემი ძმა, ეგრე სად არი?.. მაგისთვის რაღაცები უნდა ჩაიღინო, დააშავო, გააკეთო, სახიფათო უნდა შეიქმნა, მოსაკლავი!.. ეგ ტყვია ვილაცა რიგით ნესიერი, კანონმორჩილი და პატიოსანი ცხრა ნომერი არიფისთვის არ არის გათვალისწინებული... პატიოსანი, კანონმორჩილი არიფისთვის ბრონეულის ოყნა, სასწრაფო, უხეში, ავი, მომაკვდავებისგან გაბეზრებული და გადაღლილი ექთანის და ხელოვნური სუნთქვის აპარატია გამონერილი, რომ დვარნიასკა ძალღივით დაგაძინონ, კომპიუტერული დაგაგვიყვანონ, დაელოდონ, როდის შეწყვეტ სუნთქვას, რომ სუდარაში გაგახვიონ, საკაცებზე დაგდონ, გაგაფორმონ და პატრონს ჩაგაბარონ, ისიც, თუ გყავს პატრონი. მართლა რა უბედურებაა?.. ახლა იმ მკვლელები და ნაბიჭვარი სნაიპერებისთვის დამადგმევივინებ ბარემ ძეგლი!.. არადა, ის გოგო მართლა არაფერ შუაში იყო, მეტიც — როცა გაიგებდა, რომ სული განუტევე და იქ გადაბარგდი, სადაც მართალნი განისვენებენ, სულ ერთია რატომ, როგორ და რანაირად — სასწრაფო, კლინიკა თუ სნაიპერი — თავისთვისაც კი მოულოდნელად, ისეთი კივილს ატეხავდა, ისეთი ისტერიკა დაემართებოდა უკვე გათხოვილს და დაბინავებულს, რომ დაფეთებული ბავშვები კუთხეს მიანყდებოდნენ, მისი შეგნებული და ცივილიზებული ქმარი კი მაინც შეურაცხყოფილი ანრიადღებოდა დივანზე. კი, რა თქმა უნდა, იცოდა შენი არსებობა თავის მეგობრებისგანაც და შენი თავზედური გამოხედვაც კარგად ახსოვდა... ახ, როგორ ვაჟკაცურად შეიკავა თავი მაშინ, არ იყო იქ საქმის გარეგნის ადგილი. დაბოლოს, საკუთარი ცოლისგანაც იცოდა, ერთი თბილი და ვნებიანი ოჯახური ღამის შემდეგ, როდესაც სიბნელეში ბავშვებსაც ტკბილად ეძინათ, მხარზე მიკრულმა ყველაფერი მოუყვა. თან გულდასმით თათხავდა „იმას“ და სრულიად გულწრფელად ეუბნებოდა, როგორ ბედნიერია, როგორ გაუმართლა და გადარჩა, რომ იმ „არასრულფასოვანი დევენერატის“ მაგივრად

ზმეს... შენ კიდევ ამ „არასრულფასოვანსა“ და „დევენერატს“, ან უკვე მინაში სამუდამოდ ჩაფლულს, ახლა ზემოდან დაგაბეტონებენ, რომ ემანდ არ ამოხტე, სიცოცხლეშიც ხომ მაგარი მოუსვენარი იყავი?! თან, რაც მთავარია, ორმოცამდე უნდა მოასწრონ, თორემ ღმერთმა ნუ ქნას, რას ამბობ, სირცხვილია...
 „ჰოდა, რა აზრი აქვს?“ — ფიქრობდა გიო, — „რა აზრი აქვს მთელ ამ უნიჭო მასკარადს? რას ვაკეთებთ?.. და რატომ უნდა ავდგე? და ნავიდე სადმე?.. სად ნავიდე?.. და რა საქმე უნდა გავაკეთო?.. რომელი საქმე?.. რატომ?.. რა აზრი აქვს?..“ და მთელ ამ აბაღუბდა ფიქრებში, ყველაზე საშიშელი ის იყო, რომ არაფერი იცვლებოდა. პირიქით, ყველაფერი კატასტროფული სისასტიკით მეორედებოდა, რაღაც კონკრეტული სიზუსტით ტრიალებდა ერთი და იგივე. თავად ეს სასონარკვეთილი, აბსურდული ფიქრებიც კი, ამიტომაც ამ სპირალივით დახვეული და პითონივით მახრობელა ფიქრებისგან დასამალად და როგორმე თავის დასაღწევად გიორგა უცებ, გიჟივით ხტებოდა ლოგინიდან ისე ნეურეიულად და სწრაფად იწყებდა ჩაცმას, თითქოს სიზმრებში ნანახი ყველა კომპარული ზმანება ერთად შეუცვივდა საძინებელში, ცხადმევე დაესხა თავს და გამოეკიდა, თითქოს სიკვდილი შეგაცილებოდა საშინელ და შეუცნობელ საფრთხეს გაურბისო. გიჟივით იცვამდა, უკვე სადაზნაზოს კიბეზე ფეხშემდგარი იკრავდა თასმებს ბათინკებზე, მჭიდროდ, საგულდაგულოდ იკრავდა და ეზოში, მზის შუქზე გაგარდნილი, მხოლოდ მაშინ ამოისუნთქებდა თავისუფლად, როცა თავის რომლიმე უსაქმურ ძმაცას დაინახავდა და არ არსებობდა იმ დროს ამ ქუჩის ბიჭებზე უფრო საიმედო ციხე-სიმაგრე და თავშესაფარი. ამ მხრივ ყველაზე მაგარი ვარიანტი მაკენა იყო. არაფერზე შებმა არ სჭირდებოდა, ერთი თქმა და მზად იყო, ოღონდ სადმე ნაგეყვანა და რამე ჩაგდინათ. ასი ნელი არ აინტერესებდა, სად მიდიდით, რატომ და რას აპირებდით. სხვა საქმე და საზრუნავი სიცოცხლეში არა ჰქონია, ეგეთი პონტის მასტი იყო, ხაჩიკასავით პლედში რომ გაგეხვია და ტელევიზორთან დაგესვა, ერთ დღესაც ვერ გაქაჩავდა, თავისით გაფშვდა ფეხებს. თუ არაფერი ხდე-

და გაოგნებული მაკენა გონს მოვიდოდა, სახანძრო მანქანასავით აკვივდებოდა და გიოს თმაში სწვდებოდა, სასწრაფოდ განაგრძობდა, — ზოდა, იმ ბუტკაში, პარდონ, ჯიხურში, ერთი მსუქანი, საყვარელი ბიძა დაუსვამთ და ხომ არ მივარეკეცოთ, რომ არ მოიწყინოს?.. ხომ არ გავუხსნათ ნისიების მსუქანა რვეული?.. საქმე გამოუჩნდება, გახალისდება. კაცმა კეთილი საქმის კეთება არ უნდა დაიზარო.

— ბიჭო, მაგას ალბათ თვითონ „დამალულებივე“ წენავენ უკვე და გაუტყდებოდა, გვიანდა ახლა შარი, გარჩევები, დანის ტრიალი და ხროვა-ხროვა ფრთხილად სიარული — თქვა ტაპორამ, რომელიც მრისხანე ზედმეტსახელის მიუხედავად ყველაზე კეთილი და მშვიდობიანი ბიჭი იყო მტკვარს გადმოღმა თბილისში და მტკვარის გადაღმა სანაპიროზე აღარ ვიცი.

— რატომაც არ მინდა? პირადი შარის გარეშე ერთი დღეც ნუ მაცხოვროს ღმერთმა, — გიოს თვითონვე მოეწონა თავისივე ნათქვამი და ხმამაღლა გაცეცინა, — თუ არადა, ვოზდუხ ობშჩიი, ძმაო! — მოიშველია ბავშვობისდროინდელი ძველი იდიოტური ქუჩური სენტენცია.

— მაიცა რა, ხო იცი, რო ეგენიც არ არიან საჩუქრები, — თქვა კედელამ, — მაგარი დედაარღნიანი ბრიგადაა, თან ძალღებთანაც სვიაზეები აქვთ, იმ ახვარი გასტონას ბაბუა პროკურორია, ვახტანგა რაზმაძის მოადგილეა, ტო და კიდიათ, სუ რომ ამოგვწყვიტოს, არ დაიჭერენ, პოლიუმომუ გააპარებენ, მოხვეს ევროპაში და იქნება ხოშიანად. ჩვენ კიდეც უნდა ვუყუროთ მინას ქვემოდან. ჯერ ზემოდან როგორი საყურებელია და ახლა ქვემოდან, რათ გინდა?..

— ეე, აჩრემებთ ვინმეს, რო მაგარი ბიჭია და მერე ის ახვარიც იჯერებს, რომ მართლა მაგარია. გასტონა, განჯა, ბასიკა, ის ქურთი სალმანა და ისა, არ გავკარი?.. ერთი მაგათი ძალღობასთან ჩაკორეშებული ბოზი დედაც!..

— ე, ნუ ხარ, ტო, შენ ბესპრედელშიკი და აბიჟინიკი. ყველაზე მაგარი ბიჭი ხარ?.. — მაკენა წელანდელი წყენის აბაროტს უღებდა გიოს, თორემ რომელი პაციფისტი და მშვიდობის მტრედების ამფრენი ეგ იყო?! — გაგეხსნა ეხლა ძველბიჭური კლავანი და დაგეწყო, ვოზდუხ ობშჩიი და პტიცამ ნება ა ბრადიგამ შემიღია და ვოლია!.. მართლა დარმავიო შარი გინდა?

— და მართლა რატომ არ მინდა?.. — გიო ბიჭების აგდებაზე გადავიდა, — მუდაკები ხართ და განძრევა გეზარებათ. „დამალულები“ გაიხადეთ პრობლემა, დაიძალადეთ და მორჩა. ნამო, მოვუწყობ ნაბეგო... თუ არადა, შენ რა განუხებ? — მიუბრუნდა გიო მაკენას და უკანასკნელი მომაკვდინებელი და ყველაზე მტკივნეული არგუმენტი დაუდო, — თუ ხიპიში და დაგნარი დაინყო, არ ინერვიულო, დარჩი ცოტა ხანი შენს ნუცუბიძეზე, ჩვენ მანამდე დაევაგებთ, მოვუგვარებთ და მერე ისეც მოდი და გაგვახალისე. მე უნდა ვიკითხო, ტო, ამ სადარბაზოში ვცხოვრობ.

მაკენა ინდიელი აპაჩების ბელადივით განითლდა სიბრაზისგან. ბიჭებს ძალიან რომ შეანუხებდა ხოლმე თავისი იაზვობით და მახვილგონივრული ირონით, შემოხიზნულს ეძახდნენ — „ნადი რა, ბიჭო, უბანი არა გაქვს, შენს ნუცუბიძეზე იბლატავე.“ ოღონდ ეგ ძალიან იშიათად ხდებოდა, იმიტომ, რომ ნამდვილი აკრძალული იარაღი და წელსქვემოთ დარტყმა იყო მაკენასთვის.

— შარი გინდა, ხო?.. — იკვილა უცებ, მანამდე სიბრაზისგან და აღფრთოვანებისგან სულშეგუბებულმა მაკენამ და ისე მივარდა გიორგას, ბიჭები სიცილით დაიხიცნენ, — რა შარი გინდა, შეჩემისა?.. თან მტყუანები რომ ვიქნებით, კაციშვილი რომ ვერ გავგვამართლებს. აქ ამოუშვებდი, ძმაო?.. მითხარი, ჩვენს გასტრონომში ამოუშვებდი?.. ახლა აქ რომ გაეძრონ, წააღებინებ რამეს?.. გააგულავენ?

— გაინიე იქით, ზედ რას მახტები? — სიცილით კრა ხელი გიომ გაცეცხლებულ მაკენას, — ჩემს პირად სივრცეს ნუ არღვევ, — ეგეთ იდიოტურ ტერმინებს მაკენა ვერ ამოუღებდა, ძაან იბნეოდა და გიო ამით ბოროტად სარგებლობდა, — აქ ამოუშვებდი არა ბებიამაგათის ნაბლა ტრაკებმა! — დაუბრუნდა გიო მაკენასთვის გასაგებ ენას, — მომისმინე და დაიძახსოვრე, ისტორიის აზრზე რომ არა ხარ, ნაბეგები ყოველთვის ეწყობა ზემოდან ქვე-

მოთ და არა ქვემოდან ზემოთ. ჩვენ უნდა ჩავიდეთ, მაგრამ იმათ არ აქვთ აქ ამოსვლის უფლება.

— ხო? — მაკენა დაიბნა, თან ალაღად დაინტერესდა და წელანდელი წყენა უცებ გადავიწყდა. ხაჩიკამ, რომელმაც ბიჭებზე სამეფო მონყალბა მოილო, თავი გაუყადრა, გაისარჯა და ეზომდე ჩავიდა, უტყვად, მაგრამ ყურადღებით გადახედა მოკამათე ბიჭებს, რომლებმაც მისი უმაღლესი ყურადღება დაიმსახურეს, — და ეგ რაპონტია ეგ ქვემოდან ზემოთ და ზემოდან ქვემოთ? რალაცას გვეკაიფება ეს ახვარი, ტრუხას გვიგდებს, ბოიშვილი ვიყო, — ახლა ბიჭებს მიუბრუნდა თანაგრძნობისთვის მაკენა, თან ხელების ქნე-



ით ცდილობდა ზემო ქვემო და მარჯვენა მარცხენას კრიმინალურ ასპექტებში გარკვევას.

— რატოუხა, ფაიხალს გეუბნები, მე შენ რა უნდა გეკაიფო, ეგ შენი მოგონილია. მაგიტომ გეუბნები, ნაიკითხე ეს დედაარღნიანი წიგნები, აი, მაგ „ვინი პუხშიც“ შენ და ერგემას რომ ტყუილად გათხოვეთ და ვერ ნაგაკითხეთ, შავით თერთზე წერია, რომ ეგრეა. თუ ჩემი არ გჯერა, ზუკას კითხე, ძმაო... — მოიშველია გიომ უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორიტეტი.

— აუ არა, ტოოო, შემ ხომ არ უბერავ, ზუკას ნერვები სადა მაქვს? — უარესად აკვივდა მაკენა, გიოს საყელოში ეცა, ლამის ძალით ააგდო ფეხზე და წინ გაიძლოლა, — ნამო, ჰა, აბა, ვნახოთ, სად არის „დამალულები“ ის შენი მსუქანი ბიძა, თუ მარტო შენს ეზოში ხარ დიდ გულზე?.. ზუკაო ტო, ზუკაოლა მაკლდა, ეგ შენზე უარესი ნომრიანი გიჟია, აფსუს, ავლიპა ზურაბიშვილი რა დროს მოკვდა, თორემ თქვენი თემაა, სველი თეთრი ზუნრები და ასათიანის კლინიკის მყუდროება.

— და შენ გგონია, საღ ჭკუაზე ხარ? — მოუღონდელად წყენარად, მშვიდი ხმით ჰკითხა ხაჩიკამ მაკენას, — ერთი საათია, ეხიპიშები, გავეშვათ შარი არ გვინდაო და ახლა სად მისდევ, წინ რომ გაასწარი?..

— ეგ ჩვენი თოფია, ხაჩიკ, რომელმაც უნდა გაისროლოს, — გაუცინა გიორგამ ხაჩიკას. მაკენა კი ხან ერთს უყურებდა, ხან — მეორეს... — რა თოფი, ტო?.. რაებს მოიგონებ ხოლმე — ტიგრანა, თოფი, რას ბაზრობ? — მაკენას ძალიან არ უყვარდა ეგეთი გაურკვეველი ამბები, სადაც თემაში არ იყო.

— რა თოფი? — იკითხა ხაჩიკამაც ისევე წყენარად. ვერ იყვნენ ჩეხოვის თავყანისმცემლები. — ლა თოფია, ლა თოფი? — გასცინა გიომ ორივეს, მერე უცებ დასერიოზულდა, — ისე მართლები ხართ, ეგ თოფი ასი წლის წინ ისროდა. ახლა კი ჩვენს ცივილიზებულ ეპოქაში ასეჩქას თუ მისცე და ჰაერს თუ წაახდენს. ჰა, ნამოხვალთ?..

— არ გეზარებათ? რა თოფი, რა რეკეტი, აი, რას ეძებთ ძმურად? — თქვა ხაჩიკამ, — ცოტა ხალხი გაგვიწყდა ამ დედ-ატირებული თოფებით, მე მაგის მომგონის დედას რო?.. რა არ გასვენებს, ბიჭო,

შენ? — მიმართა გიორგას, — რატომა ხარ ეგერე წერას ატანილი. ვიდრე არ დაგბრიდავენ, არ მოისვენებ? ან ამდენ სისულელეს რისთვის ბაზრობთ, ან ერთმანეთს რისთვის ახვებ სიფათებს?.. არ გეყოთ ამდენი სისხლი და სიკვდილი?.. ვერ ხედავ, რომ მთელი ქვეყანა ხელმოცარულ და დამარცხებულ კლოუნებად ვიქცეით, მშვიერი და დაკარგული მასხარები, რომლებიც ჯამბაზების ფართო შარვლის ჯიბებიდან ერთმანეთს პურის ნამცეცებს ვპარავთ და მტრებზე მეტად ერთმანეთი გვძულს?.. სად მიდიხართ ეხლა? რისთვის უნდა გაამწაროთ ის ვილაც მსუქანი ბიძა, ან ის „დამალულები“ ბიჭები რისთვის უნდა გახვიოთ შარში?.. ან ეს სულელი სად

მიგავს?.. — მაკენასკენ გაიქინა ხაჩიკამ თავი, — მართლა არ გეზარებათ? გიორგი და მაკენა უხმოდ გამობრუნდნენ. ცოტა ხანს დაფიქრებულები მიდიოდნენ, მაგრამ მაკენამ დიდხანს ვერ გაუძლო ფიქრებს და სერიოზულად ყოფნას, თან თავგადასავალი ისქესა და გახალისებული ავადგანდა: — არა რა, ძმაო, ჩვენი ვაჟიკო თქვენთან შედარებით პრემიერ-მინისტრია. ბიჭო, მართლა, ვაჟიკოსთვის ლიმონათები, შოკოლადები და კანფეტები არ დაგვავიწყდეს, თორემ შეგვჭამს. — კარგი, ოღონდ შენს მიუტანე, მე ნანყენი ვარ, — თქვა გიორგამ, — ორჯერ გადაგვადგო მე და ზუკა და გავებუტე. ამ ბოლო დროს სულ წავიდა ხელიდან. — კაი, ტოო, ლადაობ? — არა, რა, ხომ გეუბნები ვაჟიკოს ჭკუისები ხართ ორივე, — ხელიჩაიქინა მაკენამ, — ვაჟიკო კი არა, ნახე, ხაჩიკა როგორ არ გამოგეყვება ბუტკების გასაწენად? ტრაკიც არ ასწია... — ჯიხურების, — შეუსწორა ახლა გიომ.

— ხო, კაი, ჯიხურების, — უკმაყოფილოდ განაგრძო ჯაჯღანი მაკენამ, — როდემდე უნდა ვინახოთ ეგ ჩემისა? მაინცდამაინც დამალულებმა უნდა ნაგვიმწყვიდონ და ჩაგვჩეხონ? მერე ხომ გაინძრევა, მეტიც გზა რომ აღარ ექნება, ხოშიანად რო დაგვასახიჩრებენ?

ხაჩიკას უკან დახევას კაცი ვერ დასწამდებდა და ვირის ჯანიც ჰქონდა, მაგრამ პათოლოგიურად ზარმაცი იყო და მაკენაც მაგას ბუზუნებდა. მისი სიზარმაცე პირდაპირ უკვე უსაგნო და უსაზღვრო კაცთმოყვარეობაში გადადიოდა. ბიჭებს მისთვის სახლში რომ არ ეზიდათ სასმელ-საჭმელი, მართლა შიმშილით მოკვდებოდა, მაგრამ სამშოს ძალიან უყვარდა და სხვანაირად ვერც წარმოედგინათ. მითუ-მეტეს, რომ ხაჩიკა ობოლი იყო და როგორც შეეძლო, ანებივრებდნენ.

იმ დროს ქუჩაში დგომა და ბლატაობა ისეთვე მოდური, ან როგორც ახლა ამბობენ, მეინსტრიმული იყო, როგორც დღეს არასამთავრობო ორგანიზაციები, ათას-ნაირი უფლებების დაცვა, ეგ ზისტენციალური აზროვნება, ნაკოლკები და ლიბერალური ფასეულობები.

საერთოდ, ვისაც საქართველოს მართვა უნდა, პირველ რიგში, ეს მოდა, ანუ მეინსტრიმი, უნდა მართოს, ან იმდენად

მოხერხებული, ვერაგი და გაიძვერა უნდა იყოს, რომ დროულად გამოიქნოს ამ მოდის ცვლილება, მიმდინარეობა და მიმართულება, დროულად აპყვეს და მაშინ ამ უპრინციპო და მედროვე ჯიგარს სამუდამო ხელისუფლება გარანტირებული ექნება. ამ ქვეყანაში შენ შეიძლება, ნახვიდ ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ — სახელმწიფოს, სამშობლოს, ოჯახის, ეკლესიის, რელიგიის, მონარქიის, პროლეტარიატის, თავად-აზნაურობის, გლეხობის, მშობლებისა და შვილების წინააღმდეგ და ყველაფერი მოსულა, ოღონდ ეს იმ მომენტში მოდამი და უმრავლესობის აზრთან თანხვედრაში უნდა იყოს. და ღმერთმა დაიფაროს ყველა, ვინც ამ მისდღეში დაპყრობილ, დაბეგრულ, დაჩაგრულ, დაშინებულ და სხვის ხელში შემყურე სამხრეთულად სნობ ხალხს იმ წუთას გაბატონებულ მოდას დაუპირისპირდება. ნამდვილ ნონკომფისმზე აღარაფერს ვამბობ, უბრალოდ როცა მოდამი ცალ-ცალი ვალინკის ჩაცმა შემოვა, შენ ისევე ძველებურად ბათინკებით იარო, ან თუ ტროტუარზე კირჩხიბით განდაგან სიარული მეინსტრიმული გახდა, შენ კვლავ ჯიბეში ხელბეზანს მალა პირდაპირ გაატასავო. ჰოი, რა ხმაშენყოლილად შეგაჩვენებს სრულიად საქართველოს ერი და ბერი, ხელისუფლება და ოპოზიცია, სოციალური ქსელი თუ ტელევიზია, ყველა, ვისაც ცხოვრებაში არ გაუმართლა და დედამ არ ინდომა. არა, არავითარ შემთხვევაში არ დაეზარებათ შენი ლანძღვა, წყევლა-კრულვა და განკითხვა. აბა, თავისი საქმის კეთებით ხომ არ დაიღლებიან? რა უნდა აკეთონ მას შემდეგ, რაც კარგად შეჭამეს, გამოძინენ და პირჯვარი გადაინერეს, გარდა იმისა, რომ გაიხედ-გამოიხედონ და ერთი კარგად, ქართულ-ხალხურად, მამა-პაპურად და გულდასმით გამოლანძღონ, გაჭორონ და მინაში ჩადონ მოყვასი? ეგ კი არა, თუ მოერიგენ და გაუბედეს, ისეთ სისასტიკითა და მონდომებით ჩაქოლავენ, როგორც იემენელი არაბები ახლად ჩამოგდებულ და მტარვალ თურქ ფაშას. მერე თავისი მსხვერპლის სისხლით დასვრლები, შეშინებულები შეხედავენ ერთმანეთს და დამფრთხალები, კუდამოძუებულები მოცოცხავენ სახლებისკენ დასაშალად. და თუ ვინმეც ის თურქის ფაშა და მისი სიკვდილის ამბავი მოიკითხა, სასწრაფოდ გაბოზდებიან, ერთმანეთს დაასწრებენ მეზობლების დასმენას, ყველა ერთმანეთს ჩაუშვებს და შემკრთალები სასწრაფოდ დაადებენ შიშისგან აცახცახებულ, სისხლიან და დიუბანელ ხელს — ეგ იყო ეგ, მე კი არა, მე... მე, მე არაფერ შუაში ვარო! ნეტ გასპადა, კ სოჟალენიუ, პო სეგოდნიამშრომუ დნიუ, ნაშე მესტო ვოზლე პარაში!.. კარგი, ნუ როგორც არის...

მოკლედ, მტრისას, როცა ქუჩაში დგომა და ძველბიჭობა იყო მეინსტრიმული, შენ კი ამ დროს წესიერი ადამიანი იყავი და საჯარო ბიბლიოთეკაში მიდიდი წიგნის ნასაკითხად. ახლა კი, მას შემდეგ, რაც ჩვენს მზიურ სამშობლოში — აღმოსავლეთ ევროპის გვატემალაში, გენერალ რუბენ სანხურხოს შემარჯვენე სამხედრო დიქტატურა იმავე გენერალ სანხურხოს ახლა მემარცხენე დიქტატურამ შეცვალა, შენს მტერსა და ავად მახსენებელს, თუ ხელში ჟორჟ ბატაის ან ჟან ჟანეს წიგნი არ გიჭირავს და უბანში ძმაკაცს გაუჩერდი დასალაპარაკებლად და ცოტა ყოჩაღად და კაცურად გამოიყურები.

ამასობაში, ამ გადატრიალება-გადმოტრიალებაში, მიტინგების დარბევებში, ნაირ-ნაირ ომებსა თუ ტყვიის სროლაში, აი, ასეთ სასაცილო და პროვინციულ გვატემალად ჩამოყალიბდა ეს ჩვენი ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტოვანი საქართველო და, მგონი, მართლა ძალიან დააკლდა ცენტრალურ ამერიკას, ჩააკვებებდა კაცი სათამაშო ფაზლივით, სადაც ბელიზს, გვატემალას და ჰონდურასს შორის. აქ, მშობლოურ კავკასიაში, მაინც მოგვიძულეს მეზობლებმა. დაჩაგრული ვის უყვარს?.. გვანებებიან აქედან და იქიდან, გვახევენ ტერიტორიებს, თან თუ ხმა ამოვიღეთ, გვეუბნებიან: „ეა, ავე, ისიც ხომ გართმევს და კიდე, ავე, ისიც, რაღა მე მეჩხებები, მარტო მე არ წაგართვა?..“ თუმცა, შეიძლება იქაური ლათინოსი, კოლტანი და მარტევიანი ყოჩაღი ბიჭებისთვისაც კი ტუბილ ლუკმად ვქცეულიყავით ჩვენი მოდური „გუნის“ და „დოლჩე და გაბანას“ ვალინკებით. ხეთეფი?..



გაგრძელება

ხუმრობა და სიცხილი ხომიანი რამეა ამ გაჭირვების უამსაც კი, მაგრამ სერიოზულად, საქართველოს საზოგადოება, მგონი, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა ასეთი პერიფერიული, მიყრუებული, პრიმიტიული და უნიკური. კი, სხვა დროსაც სულ ხათბალაში ვიყავით, მაგრამ ყოველთვის გვყავდა დიდი მოაზროვნეები და მაგარი ხალხი: სულ ადრე რომ თავი დავანებოთ, დავით გურამიშვილიდან მოყოლებული — სულხან-საბა ორბელიანი, პლატონ იოსელიანი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, არჩილ ჯორჯაძე, მიხაკო ნერეთელი, შალვა ამირეჯიბი, რეზო გაბაშვილი, კირიონ II, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი... იმ დედადაფთქებული ბოლშევიკების ხსენებაც არ მინდა, მაგრამ ხომ ეყარნენ, არა?.. უინსტონ ჩერჩილის წერილია, დიდი ბრიტანეთის მეფე გეორგ V გთხოვს, შენი ჭირიმე, შევხვდები, სად ვეახლოო?.. და ეს ბოზი კეკეს ნაბიჭვარი კიდევ პასუხობს — თუ ძმა ხარ, მოიდა, მეზარებაო... მერაბ კოსტავა იყო, სულ იყო მაგარი ხალხი. ცოცხლები, გიჟები, თავზეხელაღებული, უბედურები, დაღუპულები, გამკეთებლები, მაგრამ იყვნენ! ახლა?.. ახლა სულ ერთმანეთში აირია ქუჩა, ოპერა, ბურჟუაზია, ინტელიგენცია, გლეხი და არისტოკრატია, ქურდი და ძაღლი, სოფელი და ქალაქი — გაიხადე ცალ-ცალი კალოში, ჩაიცი ცალ-ცალკე ვალინკი, შეუძვერი ვინმე თანამდებობის პირს დროულად ტრაკში და ჰაიდაა — ელიტაში ხარ. ამ კეთილშობილმა და გულუბრყვილო ევროპელებმაც ვიხივე მოგვისხნეს და ესენიც ეგრევე ტრაკიდან თავგამოუყოფლად გაცვივდნენ და მოედნენ ამ მცოვან და დარბაისელ ევროპას და იმის წარმოდგენაც კი შეზარავს ადამიანს, რამდენ საშინელებას ხედავენ ჩვენში და რას ფიქრობენ ჩვენზე.

ფუიი!.. არა, სულ იმ მონღოლების გაგდებულნი, ბოზიშვილი რუსებისა და უჯიშო, პირუტყვი კომუნისტებისგან ვეჭირს, მაგათ გადმოსდეს კეთრივით ამ ქვეყანას სიზარმაცე, ინდიფერენტულობა, ლაჩრობა, აპათია და დეპრესია, სასტიკი, უღმობელი გულგრილობა, ვერაგობა და ჭორიკობა და გამოასწორე, აბა, ახლა როგორია, შემოაბრუნე ბანანის რესპუბლიკად ქვეული და მორღისა და მეინსტრიმის ანაბარად დარჩენილი ამხელა უიმედო საქართველო.

მაშინ კი, გინდოდა თუ არ გინდოდა, შეგეძლო თუ არ შეგეძლო, მოგწონდა თუ არ მოგწონდა, ქუჩაში უნდა მდგარიყავი და გებანდიტა. გიორგამ და მაკენას მართლა ეხალისებოდათ მთელი ეს აურზაური და მოძრაობა, ხაჩიკას და ზუკას ნაკლებად, თუმცა ყველა დიდი თავგადასავალი, ხიფათი და უბედურება სწორედ ზუკას წამოწყებული იყო, „დამალულებში“ ჩამდგარი ჯიხური და მსუქანი ბიძა კი არა, ისეთ მშვენიერ ლოკალურ ომებს გამოაცხოვრებდა ხოლმე თავის დაზურვებით, თავდასხმითა და თავდაცვით, რომ შენი მოწონებული, მაგრამ ზუკასთვის ეს მაინც თავგადასავალი იყო და არა ქუჩა. ჯერ ხომ ეზოში ცოცხალი თავით უცხოებს არ უშვებდა, არც მილიცია-პოლიციას, არც მხედრონს და არც გვარდიას, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ფილოსოფიისა და ლიტერატურის მოყვარულ ადამიანს შეეფერება, რუსებთან არცერთი ომი არ გამოუტოვებია. კედელა, ტაპირა და დანარჩენები უფრო დალაგებული და ნორმალური იყვნენ და იმთავიდანვე მშვენიერად იცოდნენ, რომ ეზოში დროებით იდგნენ და მომავალში თავისი ცხოვრებისთვის უნდა მიეხედათ. მაგალითად, გიორგას პარალელური კლასელი ცხოვრებული ჟორჟია შავგულიძე საერთოდ დასაბამელი ხდებოდა მშობლიური ექსპერიმენტალური სკოლის ბორჯაბე დგომის გამო — „რა მინდა, ხალხო, აქ, რატომ ვდგავართ ასე უაზროდ, რას ვაკეთებთ, გამაგებინეთ, ან გოგოები დავკატიფოთ კაფეში, ან მართლა ვინჩუბოთ, ან დავხატოთ, აქ რატომ ვდგავართ დაყუდებულები“... თვითონ ლამაზი ბიჭი იყო, გოგოებს მოსწონდათ, თან მაგრად ხატავდა. ვივს სკოლის პაპკაზე 9 აპრილი დაუხატა. წლები ინახავდა, ვიდრე სადღაც არ მიიკარგა. ცხოვრებულ ჭბუქას და მაღალაშვილს ლამის ხელით ეჭირათ — „დაეტიე აქო!..“ თან ყველანი სიცხილი იგუდებოდნენ.

ძალიან უცნაური ბიოგრაფია ჰქონდა საქართველოში ქუჩასა და ქუჩურ ცხოვრებას. უმრავლესობისთვის მართლა თავგადასავალი, მაგარი ბიჭობის ნიშანი და რომანტიკა იყო, მაგრამ როდესაც ამ რომანტიკამ და თავგადასავლებმა მთელი ქვეყანა კუბოებით მოფინა, როდესაც დაინახეს, რომ ქუჩამ თავისი გარჩევებით, ნარკოტიკებითა და ავარიებით სამჯერ მეტი ახალგაზრდა შეინირა, ვიდრე ყველა ომმა ერთად — მაგდენ ხალხს რომ ეომა რუსეთთან ცხინვალსა და აფხაზეთში, სოხუმი კი არა სოჭი და ტუაფზე, ძველი ნიკოფსიაც, აქეთ დარჩებოდათ — ყველა მიხვდა, რომ ქუჩაში არანაირი „აკადემია“,

ბექა ქურხული
თვალდაკარგული
ყივჩალის ჩანაწერები



„რომანტიკა“, „ლიცეუმი“ და „ლირიკა“ არ არსებობდა და რომ სრულიად რეალური და მომაკვდინებელი საფრთხე და იარაღი გახლდათ, მაგრამ უკვე ძალიან გვიანი იყო.

საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ქუჩა, ყომარი, ავარა, და ჯიბგირი ყოველთვის არსებობდა და ცალკე ამბავი და ისტორია იყო. მპარავი ბაღდადეგი ქურდი, თაღლითი, ავაზაკი, ყომარბაზი, ყაჩაღი, არსენა მარაბდეგი, რობინ ჰუდი, კაკო ყაჩაღი, ხოაკინ მურიეტა... მე-19 საუკუნეში საქართველოს უკვე ჰყავდა თავისი კრიმინალური ავტორიტეტი — ცნობილი ყაჩაღი თავადი ნულუკიძე, რომელიც აქაურობას შიშის ზარს სცემდა, ვიდრე მახათას მთაზე არ ჩამოახრჩეს. ნულუკიძის განთქმული სისასტიკის მიუხედავად, რაც, ძირითადად, მკვლელობებში გამოიხატებოდა, კაცის კვლა მეკობრისთვის და ავაზაკისთვისაც უიღბეს ცოდვად ითვლებოდა. „ათი წელი ყაჩაღად ვარ კაცის ცოდვა არ მაძევსა...“ — ამბობდა არსენა, ნულუკიძეს კი კაცის ცოდვა ედო, ადამიანის სისხლი უმძიმებდა ხელებს. ამის მიუხედავად, მისი სიკვდილით დასჯა მაინც გამაოგნებელი ამბავი გამოდგა ქალაქისთვის. მთელი თბილისი რამდენიმე დღე პირველად ნერით შეძრწუნებული აჰყურებდა მახათას მთაზე ანტიქრისტეს ნიშანივით წამომართულ ეშაფოტს და ზედ მოქანავე ცხედრებს. სწორედ ამ ამბავზე დანერა ილია ჭავჭავაძემ თავისი განთქმული მოთხრობა „სახრობილაზე“, რომელშიც ადამიანის სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ მაშინ გააპროტესტა, როცა არა მარტო მისი დღემში ტილიანი და ბნელი რუსეთი იყო სახრწობელებით მოფინილი, არამედ განათლებულ ევროპაშიც საკერავი მანქანებით მუშაობდნენ გილიოტინები, ამერიკაში ლინჩის წესით ერთობოდნენ, სანყალ ზანგებს კი ცერად გამოხედვისთვის თვალებს თხრიდნენ და კასტრირებულებს და მაცხოვარივით ჯვარზე გაკრულელებს ცოცხლად წვავდნენ.

თუმცა ეს ჩამოხრწობილი თავადი ნულუკიძე მაინც გამოჩნდის იყო. ქუჩის ქურდბაცაცები, მანანალები, მაინც ცალკე კასტად რჩებოდნენ და ამ კასტის წევრობით ვერ იამაყებდი, უფრო სამარცხვინოდ ითვლებოდა. ალბათ ამ დამოკიდებულების გამოძახილი იყო, როდესაც

თითქმის ასი წლის შემდეგ, უკვე მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, ერთ-ერთი ძალიან სერიოზული გარჩევის დროს, კუტმა ალბერტამ პირდაპირ მიახალა თავის მოწინააღმდეგეს, რომლის ინტონაციით წარმოთქმული სიტყვა „ქურდი“ და ტონი არ მოეწონა: „ქურდი და მამაძალი შენა ხარ, მე განაბი ვარ, ბიჭოო!..“ „ია ვორ ა ნე კრადუნ, ვორ ვარუეტ ა კრადუნ კრადიოტ“ — ის პონტში. ეგ კი არა, აკაკი წერეთელი იგონებდა — ერთი ვინმე კარგი ოჯახიშვილი იმერელი სხვა ავაზაკებთან ერთად ფოსტას დასცემია და გაუძარცვავს. მის ახლობლებს და ნათესავებს გლოვის ნიშნად თმა-წვერი დაუყენები-

ათ, ანუ მოუშვიათ — „თავი მოგვეჭრა, ქართველმა კაცმა ავაზაკობა ჩაიდინა, ამდენი ფული გაიტაცა, რაღა გვეშველება, რუსები ჩვენზე რას იფიქრებენო“. საერთოდ, ფულზე და ქონებაზე ლაპარაკი, სარფზე და გამორჩენაზე გამოკიდება უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა და ცხოვრებული მეფე-გიორგი XII, როგორც პლატონ იოსელიანი წერდა, ვიდრე მისსავე სახელზე მოჭრილ ვერცხლის აბაზიანს ხელს მოჰკიდებდა, ჯერ ქვიშით ახეხინებდა, მერე ნახშირით და მხოლოდ ამის შემდეგ ორი თითით, ასე პინკად, ფრთხილად და ლამის ზიზღით იღებდა. მოკლედ, ჩვეულებრივი ქართულ-ხალხური სიგიჟეები.

საქართველოში ქურხური ცხოვრების რომანტიზირება, იდეალად ქცევა და ლამის კეთილშობილი, ცისფერსისხლიან არისტოკრატთა საქართველოს უკანასკნელი მეფე-გიორგი XII, როგორც პლატონ იოსელიანი წერდა, ვიდრე მისსავე სახელზე მოჭრილ ვერცხლის აბაზიანს ხელს მოჰკიდებდა, ჯერ ქვიშით ახეხინებდა, მერე ნახშირით და მხოლოდ ამის შემდეგ ორი თითით, ასე პინკად, ფრთხილად და ლამის ზიზღით იღებდა. მოკლედ, ჩვეულებრივი ქართულ-ხალხური სიგიჟეები.

საქართველოში ქურხური ცხოვრების რომანტიზირება, იდეალად ქცევა და ლამის კეთილშობილი, ცისფერსისხლიან არისტოკრატთა საქართველოს უკანასკნელი მეფე-გიორგი XII, როგორც პლატონ იოსელიანი წერდა, ვიდრე მისსავე სახელზე მოჭრილ ვერცხლის აბაზიანს ხელს მოჰკიდებდა, ჯერ ქვიშით ახეხინებდა, მერე ნახშირით და მხოლოდ ამის შემდეგ ორი თითით, ასე პინკად, ფრთხილად და ლამის ზიზღით იღებდა. მოკლედ, ჩვეულებრივი ქართულ-ხალხური სიგიჟეები.

საქართველოში ქურხური ცხოვრების რომანტიზირება, იდეალად ქცევა და ლამის კეთილშობილი, ცისფერსისხლიან არისტოკრატთა საქართველოს უკანასკნელი მეფე-გიორგი XII, როგორც პლატონ იოსელიანი წერდა, ვიდრე მისსავე სახელზე მოჭრილ ვერცხლის აბაზიანს ხელს მოჰკიდებდა, ჯერ ქვიშით ახეხინებდა, მერე ნახშირით და მხოლოდ ამის შემდეგ ორი თითით, ასე პინკად, ფრთხილად და ლამის ზიზღით იღებდა. მოკლედ, ჩვეულებრივი ქართულ-ხალხური სიგიჟეები.

საქართველოში ქურხური ცხოვრების რომანტიზირება, იდეალად ქცევა და ლამის კეთილშობილი, ცისფერსისხლიან არისტოკრატთა საქართველოს უკანასკნელი მეფე-გიორგი XII, როგორც პლატონ იოსელიანი წერდა, ვიდრე მისსავე სახელზე მოჭრილ ვერცხლის აბაზიანს ხელს მოჰკიდებდა, ჯერ ქვიშით ახეხინებდა, მერე ნახშირით და მხოლოდ ამის შემდეგ ორი თითით, ასე პინკად, ფრთხილად და ლამის ზიზღით იღებდა. მოკლედ, ჩვეულებრივი ქართულ-ხალხური სიგიჟეები.

ჯანსაღ და მშვიდი პირანიებივით საშობ და დაუნდობელ შპანას, რომლებიც მათ როგორც საჩუქარს, ნადავლს და მსხვერპლს ისე უყურებდნენ და მხიარული ყიყინით ურბენდნენ გარშემო, ვიდრე გემრიელად გადასასწავლად.

ამ სასტიკ, საბედისწერო ალყაში მოქცეულ, დაბნეულ, თვალბრუნებულ უწყესიერეს ბავშვებს ორი არჩევანი ჰქონდათ — ან ისინი უნდა დაემცირებინა, გაეთელა, გადაეკლო, ბოლოს ჩაეხრამუნებინა და იქვე მიევიწყებინა ამ შპანას, რადგან უკვე მონელბულ საჭმელს არავინ იმასსვოვრებს, მით უმეტეს, ეს ქუჩის ჯურღმულებიდან სანადიროდ გამოსული მხეცები, რომლებმაც არ იცოდნენ, რა იყო შიში და დანდობა, პატივს სცემდნენ მხოლოდ... არა, არაფერსაც სცემდნენ პატივს, უბრალოდ ნადირის საღ და სწორ ინსტინქტს აყოლილები, მხოლოდ რეალური საფრთხის წინაშე იხევდნენ უკან, ან მეორე — ამ სახლში გაზრდილ დედიკოს ნებიერა ბავშვებს უნდა დაედოთ მინაზე ვიოლინო, სასკოლო ნიგუნებიანი ჩანთა, დაევიწყებინათ „ბემბი“, „ვაშლი და შაქარა“, „მელია და მწყერჩიტა“, მოკლული ან ციმბირის ყინვაში გადასახლებული დედის სიბოძა და ხმა, დახვერტილი მამის ცრემლიანი მოლოდინი, ნერვიული დაძაბულობისგან შემოვლილ სახეზე შემხმარი ცრემლები მოეწმინდათ, მკლავებზე ჯერ კიდევ თეთრი და ქათქათა პერანგების სახელოები დაეკაპინებინათ და მათ წინ მდგომი ცეცხლის ალივით საშობი შპანის სისხლი დაეღვარათ, მერე კი მათი ლიდერები, ყოჩები და ატამანები გამხდარიყვნენ — „კანონიერი ქურდები!“ ასე წამოვიდა კლორთალის, ნახალოვკის, ლოტკინის, გუდარეხის ქუჩის და ციგანსკი პასიოლკის ბარაკებიდან გამოსულ ქურთ, სომეხ, ებრაელ, ბოშა ყიგანებთან — ნაჩესთან, ებრაელ მორისასთან, ჰასანასთან, ბჯე ასატრიანთან, ედიკ ტბილისკისთან, ციგან ჯეკოსთან ერთად თავად-აზნაურული გვარების განაბების მთელი ბრიაშკა — ლორთქიფანიძე, ჩიქოვანი, მიქელაძე, მდივანი, იოსელიანი, გელოვანი... მათ გადამწყვეტ წამს მოახერხეს, გაბედეს და დადეს მინაზე ფორტეპიანოს ნოტების რვეული, გარშემო აღრიალბულ, აგრესიულ, დამცინავ, დამშუულ სახეებს თვალი გაუსწორეს, მათ სტვენას, ყიყინას, შეურაცხყოფას და ფურთხებებს არ შეეგუენ, გამხდარ, თხელი, გადათეთრებულ თითებში დანები, სამართებლები, ტისაკები, ბებუთები, ბრიტვეები მოიგდეს, გასისხლეს და ჰაიდაა!.. პირველად, პირველივე დაპატიმრებისას, სწორედ მათ გაბედეს და შეარქვეს სიცოცხლეშივე მათი სამშობლოს, ოჯახებისა და მშობლების ჯალათს — სტალინს — დამამცირებელი სახელი „გუტალინი“, „გუტალინიშვილი“, დიდი „ქურთული“ უღვაშების ანალოგიით, აქაოდა, გუტალინით ქურთები ფეხსაცმელებს აპრიალბენ ქუჩაში. სწორედ მათ მიავებეს პირველად, სტალინის სისხლიან და განუკითხავ ანგარიშსწორებას არა შიში, თავის მართლება და სამსხვერპლოზე ზვარაკად გახაზირებული კრავის უსუსური მორჩილება, არამედ სიძულვილი, ზიზღი და დაცინვა. სწორედ მათ დასცეს პირველი ყიყინა სულ ახლახანს დაბოხებული ხმებით უკვე კარცერში ჩაყრილებმა: „გუტალინიშვი!.. სუკა კრასნაპირი, შრობ ტი ვ ზდოს!.. გუტალინი უბლიუდოკ შლიუხი კეკე!... აღარ ეშინოდათ!.. აღარაფრის აღარ ეშინოდათ!.. ქურხური შაულინის სკოლის ცხრა კარის გავლის მთავარი ჯილდოც სწორედ ეგ იყო — საკუთარი თავის რწმენა და შიშისგან გათავისუფლება. თვითონ გახდნენ საშიშები. პატარა, ნიგუნები გაზრდილმა, კეთილმა და საყვარელმა ბავშვებმა თავისი წილი ურჩხულები დაამარცხეს და მათი ადგილები თავად დაიკავეს. მათგან, ვინც ამ გზას ბოლომდე გაყვა და ვინც გამოვიდა, ყველა კაი დავლათიანი, თავზეხელაღებული და მარიფათიანი განგსტერებიც დადგნენ. როგორც ჩანს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული აზნაურული საბრძოლო გენი ფორტეპიანოზე, მე-20 საუკუნის ცივილიზებულმა იდეოლოგიებმა, კარაქიანმა პურმა და გახამებულმა თეთრმა პერანგებმა ბოლომდე მაინც ვერ ჩაახშო და როდესაც უკან დასახევი აღარ დარჩა, განკითხვის ფამს ქურხურ ომებში ახალი ძალით იბუთქა.



დასასრული

ისლა დარჩენოდათ ეფიქრათ, რომ ეს კაცი ტყვედ ჩავარდა. და ასეც იყო. ნლები მერე კი შინდაბრუნებული ოთარი ჰყვებოდა, თუ როგორ აებნა გზა შუალამისას და ქვემეხების გრიალში მალალი ლობით შემოსაზღვრულ მიტოვებულ კარ-მიდამოს როგორ მიაშურა; თავი ღრმა ჯაგანარში შეურგავს და მთელი ღამე ელოდა სროლის შეწყვეტას. დროდადრო სროლა მართლაც წყდებოდა და ქვემეხების ხმაური სხვა მხრიდან ისმოდა. ოთარმა ცოტა ხანს ნათვლიმა კიდეც. მერე კი, როცა გამოეღვიძა, უკვე სრული სინყარე სუფევდა. მზეში გაზაფხულის ნამიანი დილა ბრწყინავდა და მალალი ლობით შემოკავებულ კარ-მიდამოს შიგნით ვრცელი მარწყვის მდელო გადაშლილიყო. ძია ოთარიც ამ მდელოს შუაგულში იწვა, არადა ღამის წყვილადაღი ჯოჯოხეთის ბნელ კლოაკაში ეგონა თავი.

ეს მხოლოდ ნამიერი გამონათება იყო, მოგვიანებით კი თავის ასეულთან ერთად მჭიდრო ალყაში მოექცა და ტყვედ ჩავარდა. მას არაერთხელ მოუყოლია, როგორ გამოჰყავდათ სატუსალოდან და ასეირნებდნენ, როგორ უყრიდნენ ნაშიმილეე ტუსალებს გერმანელი ქალები და ბავშვები პურის ნატეხებს. ოთარი არასოდეს არ დახრილა და არ აუკრეფია ეს უბადრუკი ნატეხები, რადგან იცოდა, რომ ამ ქმედებას ავტომატის ჯერი მოჰყვებოდა. ასე უფლიდა წრეს და მერე ისევ სატუსალოში ბრუნდებოდა ეს არცთუ მთლად ბედს მიწოდებული კაცი.

მახსოვს ერთი დღე ოცდამეცხრამეტე სკოლაში. წვიმა, კოკისპირულად წვიმდა. ბავშვები საკლასო ოთახში ვისხედით და გავეყურებდით ზაფხულში ღია ფანჯრებიდან თავსხმა წვიმას. ფანჯრიდან ჩანდა ეგრეთ ნოდებელი „კომკავშირის ხეივანი“, საიდანაც ბოტანიკურ ბაღში იყო ჩასასვლელი და კიდეც უშველებელი ქანდაკება — „ქართვის დედა“. წვიმდა, წარღვნა იყო და სკოლის მთელი ეზო წყლით ივსებოდა. ეს ხომ ღია დერეფნებიანი და ღია აივნებიანი სკოლა იყო. წვიმა თითქმის საკლასო ოთახის ფანჯრებამდე ასხამდა, ბავშვებს კი გვიხაროდა, რომ ჩვენ თვალწინ ელვარებად სიცოცხლისმიერი, სტიქიური, მაგრამ ამავ დროს ბუნების ძალიან ლამაზი მოვლენა. მერე წვიმამ გადაიღო და წარიყალას მხარეს მკაფიო ცისარტყელა გამოისახა. სკოლის ეზო ფერადი გუბეებით გაივსო. სასონარკვეთილი მეზობე უშველებელ ცოცხს უსვამდა და ამაოდ ცდილობდა წყალი დაემრიტა. სკოლის სხვა მესვეურებიც ბჭობდნენ იმის თაობა-

ზე, თუ რა უნდა ექნათ. გაკვეთილები ჯერ არ იყო დამთავრებული, მაგრამ ბავშვები დათქმულზე ადრე გაგვიშვეს. და აი, სწორედ მაშინ რაღაც უცნაური ძალის კარნახით გადავჭერი ნაწვიმარი ქუჩა და ძია ოთარის სადარბაზოში შევედი. იქ უჩვეულო სინყარე იდგა, შუქ-ჩრდილები ძალიან უცნაურად წვებოდა, თითქოს წარსულის ხმა გამქრალიყო, და მხოლოდ იმსალამოსეული ჩაუამებელი, ბინდარევი შუქი მოძრაობდა კედლებზე და იატაკზე. და მე მაშინვე ავირბინე ნახევრადბნელ საფეხურებზე, ავედი მესამე თუ მეოთხე სართულზე, მინის ჭერს ავხედე და დავინახე, რომ იქ, წვიმის წვეთებით გაბრწყინებულ მინის ჭერზე ფერადი სხივი იბადებოდა — და მივხვდი, რომ ცოტა ხანში სადარბაზოში ძლიერი შუქი ჩამოიღვრებოდა, კვლავ აღდგებოდა დროის შორი ნათება და წარსულის ხმა. ვიდექი და ველოდი. და მართლაც ასე მოხდა.

ომის დამთავრების შემდეგ ტყვედყოფილები სხვებთან ერთად შინ დააბრუნეს. ბევრ მათგანს ელოდა შუა აზიამი გადასახლება, რაც, რა თქმა უნდა, ბედის მწარე ირონია გახლდათ. ძია ოთარი გადაარჩა. კაცო, დედამისი, ოპერის უკან, ელიზბარის სახლში ცხოვრობდა ბროსეს ქუჩაზე. როცა უთხრეს, ფრონტიდან ოთარი ჩამოვიდაო, სულმოუთქმელად გამოიქცა მახარადის ქუჩისკენ, სადარბაზოში აირბინა ფართო და ნახევრადბნელი საფეხურები და ნანატრი წუთის მოლოდინში ბინის ზღურბლს მიადგა. დედა-შვილის შეხვედრა უსიტყვო იყო.

სტუდენტობის წლებში მეგობრები რესტორან „სამადლოში“ მიმყავდა. ეს რესტორანი ბავშვობისდროინდელ ადგილად მიმარჩნდა. ბავშვები დიდთოვლობისას ამ რესტორანამდე ავდიოდით და მერე ამალეების ქუჩის ბოლოდან ციგებით თავქვე ვეშვებოდით. მახსოვს, „სამადლოდან“ მთვრალი მოქეიფეები ჩამოვივლიდნენ სანოლი ოთახის ფანჯრებთან და ძილში მათი სიმღერები ჩამესმოდა.

მოგვიანებით კი, როცა ამხანაგებთან ერთად მეც ჩამოვივლიდი ამ ქუჩას, ხსოვნაში ჩარჩენილ ყველა კარსა და ფანჯარას თვალს ვავლებდი და ხელით ვეხებოდი. ნაშუალამევეს ჩვენს ყოფილ ეზოშიც შევდიოდით. მახსოვს, ნაუცბათევი შიში ამიტანდა და ვფიქრობდი, ნუთუ ასე ჩქარა გავიდა დრო და ასე შორს დარჩა ეს ეზო-მეთქი. ეზო ზუსტად ისეთივე იყო, როგორც წლების წინ, მხოლოდ მკრთალი სიუცხოვის საფარველი ნაფარებოდა, თითქოს მხოლოდ ჩემს მახსოვრობას აღარ ეკუთვნ-

ანდრო ბუაჩიძე სადარბაზო

ოდა, თითქოს გაქვავებულ მუდმივობაში იყო გადასული და ყველასადმი განურჩევლობას ამჟღავნებდა. ქუჩებს ერთად ჩამოვივლიდით, ზარბოშპორეული ამხანაგები ერთმანეთს ესიტყვებოდნენ და ხმამალა იცინოდნენ და ვგრძობდით, რომ ისინი ჩემი ბავშვობის სივრცეში შემთხვევით მოხვედრილი უცხო სხეულები იყვნენ. მივეყვებოდი სოლოდაკის ძველისძველ ქუჩებს და ბოლოს ძია ოთარის სადარბაზოში შევაბიჯებდი, რამდენიმე წუთს ვჩერდებოდი და მიუხედავად იმისა, რომ ღამე იყო და მინის ჭერიდან დღის სინათლე არ იღვრებოდა, ვგრძობდით, როგორ იძვროდა დრო და გარდასული დროის დინება როგორ აღწევდა ჩემამდე.

ძია ოთარი ბოლოს ოთხმოცდაათიან წლებში ვინახულე. თბილისის ომი რამდენიმე დღის დანყებული იყო. რისკის ფასად ავედი მახარადის ქუჩაზე. მაშინ იქვე ვსაქმიანობდი, ლესელიძის მიდამოებში და ვიცოდი უზიფათოდ რა გზებით უნდა ავსულიყავი. სროლის ხმა ისმოდა, მაგრამ უფრო შორიდან, რუსთაველის პროსპექტიდან აღწევდა. ლერმონტოვის ქუჩას ავეყვი და მერე მახარადეზე გადავედი. ნებისმიერი ქუჩის კუთხიდან შეიძლება გახსნილიყო ცეცხლი. მოულოდნელი არაფერი იქნებოდა. წვალეებით მივალნივ დათქმულ სადარბაზომდე, შევედი და შესვლისთანავე ვიგრძენი, რომ იქ არავითარი შუქ-ჩრდილები აღარ ტოკავდა, არც სადარბაზოს კედლებზე და არც იატაკზე. სადარბაზოს მთელ სივრცეში აღარ იდგა მთრთოლვარე ბინდი, რომელიც ადრე სინათლესთან ერთად ზემოდან იღვრებოდა და საკვირველ ფლუიდეებს ბადებდა. ერთი გაფიქრება ისიც გავიფიქრე, სხვა სადარბაზოში ხომ არ შემოვდი-მეთქი, მაგრამ შეცდომა წარმოუდგენელი იყო, რადგან ახლომახლო სხვა სადარბაზო არ მოიძევებოდა. კიბეზე რომ ავდიოდი, ერთხელ კიდეც ავხედე მინის ჭერს, მაგრამ ის აღარსად ჩანდა. რამდენიმე საფეხური მაღლა, ფანჯრის რაფაზე, მოედანსა და საფეხურებზე გაფანტული მინის მსხვილი ნამსხვრევები შევნიშნე. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, ამიტომ კიდეც რამდენიმე საფეხური ავირბინე და მინის სქელი ნატეხები შემეჩხირა თვალში. უკვე აშკარად ჩანდა, რომ მინის ჭერი წვილის ნამსხვრევებად ქცეულიყო. აქა-იქ ვიხსენი ზოდებიც ეყარა. კიდეც ერთხელ ავხედე ჭერს და მის ნაცვლად ღია სივრცე და ცაში გაბმული მავთულებილა შემჩრა.

ძია ოთარმა კარი გააღო, არ დაუგვიანია. მისი ამაყი, მაღალი და ძლიერი ფიგ-

ურა აისევტა ჩემ თვალწინ, მხოლოდ ეგ იყო — სახეზე ასაკი დასტყობოდა. რჩანად ოთხმოცი წლის უცნაურად გამომეტყველება ძველებური ჰქონდა — ოდნავ დამცინავი. ასეთი სახე მაშინ უხდებოდა, როცა ვინმესგან აგრესიას ელოდა. არეული დრო იყო და შეიძლებოდა კარზე ვინმე ბოგანო ან გზაარეული მისდგომოდა. მას ხელში მძიმე, მასიური, ხისგან გამოთლილი ჯოხი ეჭირა. მე ვუთხარი, ვინც ვიყავი, რის შემდეგაც ოთახში შემიძღვა და სავარძელზე მიმითითა. ვისხედით და ვსაუბრობდით. როგორც უკვე ვთქვი, თბილისის ომის დღეები იყო. მაშინდელი პრეზიდენტი და ხელისუფლება მთავრობის სასახლის ბუნკერში იყვნენ თავშეფარებულები, გარეთ კი, რუსთაველის გამზირზე და ქალაქის სხვადასხვა ქუჩებში ორმხრივი სროლები გაისმოდა. როგორც გაირკვა, ძია ოთარის სადარბაზოს სახურავზეც სნაიპერები იყვნენ განლაგებულნი. ეტყობა, მათ სამიზნეს მთავრობის სასახლის შენობა წარმოადგენდა. „აქ არიან, სახურავზე“, — თქვა ძია ოთარმა, მერე დაამატა: „მთელი ღამე სროლის ხმა ისმოდა“. მე ვუთხარი, რომ სადარბაზოში მინის ზოდები, გამჭვირვალე სახურავის ნამსხვრევები ეყარა. „ჰო, ეგ ადრევე დაიმსხვრა. სადარბაზოში, როგორც გარეთ, ისე ასხამს წვიმა“, — თქვა ძია ოთარმა. მერე ცოლ-ქმარმა მცირე სუფრა გააწყო. საღამო ხანი იყო. აივანზე გავედი. ეს აივანი ბავშვობას მახსენებდა. ხშირად მესიზმრებოდა კიდეც, დიდი ჭალის ქვეშ როგორ ისხდნენ სახლელის სტუმრებთან ერთად, მერე კი, როცა უკვე ყველაფერი მთავრდებოდა, ხმამალა მოსაუბრე სტუმრები ნელა ჩადიოდნენ უშველებელი სადარბაზოს ფართო საფეხურებზე. გარეთ რომ გავიდოდნენ, უკვე გარედან ისმოდა მათი ხმა. მერე კი თანდათან იფანტებოდა ეს ხმები და სადარბაზოში ძველებური სინყარე ისადგურებდა. ვინ უსმენდა ხანგრძლივად ამ სინყარეს ჩემ გარდა? არა. მხოლოდ მე ვიყავი ის ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო სადარბაზოს შუაგულში ან საფეხურებზე მდგარიყო და დიდხანს ესმინა სირუმი. ეს მეტყველი სირუმი იყო და ამიტომაც არასოდეს არ მწყინდებოდა აქ დგომა და ამ სირუმისგან აღძრული შთაბეჭდილებების შთანქმეა. იმ დღესაც, ძია ოთარისგან რომ ნამოვედი, ფართო საფეხურები ჩამოვიარე და ცოტა ხანს კიდეც შევიჩრდი სადარბაზოში. წვიმდა და ვეზიმის წვეთები უმონწყალოდ ეცემოდა გაცვეთილ საფეხურებს. ვიდრე გარეთ გამოვიდოდი, უკანასკნელად გავხედე სადარბაზოს ბინდით შემღვრულ სივრცეს. თითქოს რაღაც შეირხა ჰაერში, ნამიერად განათდა და მერე გაქრა. იმ წამს თითქოს მთელმა ჩემმა ცხოვრებამ გაიარბინა ჩემს წარმოდგენაში და სადღაც რაღაც დამთავრდა. გარეთ გამოვედი და სრულიად ცარიელ ქუჩას თავქვე დავუყუევი. ძია ოთართან ეს ჩემი ბოლო სტუმრობა იყო.

გავიდა დრო იმ ჩვენი უკანასკნელი თითქმის უსიტყვო შეხვედრის შემდეგ. ქვეყანა მაშინ, როგორც იყო მოსალოდნელი, ორად გაიხლიჩა და დღემდე ორად არის გახლეჩილი. ასე მოხდა და, ვაითუ, მერეც ასე იყო. „სადღაა ერი“ — თქვა იმ შეხვედრისას ძია ოთარმა. თბილისის სამოქალაქო ომი ძია ოთარის ბოლო დღეებს და ჩემი სიჭაბუკის დასასრულს დაემთხვა. „სადღაა ერი“ — თქვა ძია ოთარმა და იყო საღამო, განუწყვეტელი ისმოდა ორმხრივი სროლა, და სროლის მერეც ასე გაგრძელდა დაუსრულებელი რღვევა ქვეყნის შიგნით.

და იმ დღის შემდეგ მესიზმრება, როგორ შევდივარ საღამოხანს სადარბაზოში, როგორ ჩამოდიხარ კიბეზე ძია ოთარი, როგორ ცვივა ზემოდან ფერადი მინის ნამსხვრევები. ამ მინის ნამსხვრევებით იფინება მთელი სადარბაზო. „კარგია, რომ მოხვედი“ — მეუბნება ძია ოთარი. ეს არის ჩვენი ერთადერთი შეხვედრა სადარბაზოში. „კარგია, რომ შეხვედი“ — ვეთანხმები მეც. ნამსხვრევები კი იბნევა და იბნევა და ორივე ვიძირებით ამ ნამსხვრევებში. ეს ჩვენი ტანჯვაგამოვლილი ილუზიების მსხვრევია, რომელიც ალბათ გარდაუვალი იყო და რომელიც დროის სიღრმიდან მოედინება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუშაობს ქალბატონი ხათუნა გოგია, რომელიც არაჩვეულებრივი თარგმანებით გვანებობს. უფროსი კვარტალში ერთხელ გამოდის ზუგდიდში და ასახავს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს. გარდა ამისა, მე და ჩემმა მეგობრებმა — გიორგი შონიამ და ტატო ჩანგელიამ — ჩამოვაყალიბეთ ზუგდიდის ლიტერატურული ფესტივალი „5“, რომელიც ორი წელია, წარმატებით ტარდება და არაერთ მნიშვნელოვან ავტორს მასპინძლობს. შარშან კი ფესტივალი საერთაშორისო გახდა — ვუმასპინძლეთ ლიტერატურული პოეტ სეიმონ ხანიჩი. ამ ზაფხულს ვგეგმავთ ქართველ ავტორებთან ერთად სხვა უცხოელი ავტორების ჩამოყვანას. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, დრო მაინც მრჩება. ოჯახს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. მინდა მისთვის კიდევ მეტი დრო მქონდეს. ერთხელ, როცა ელენიკო დავბანე და აბაზანიდან გამომყავდა, ძალიან სასაცილოდ მკითხა: ნიკა, შენ დედა ხარ თუ მამა?! გამიხარდა, ვიფიქრე, რომ რაღაცას ვაკეთებ ბავშვებისთვის, რომ ყველაფერი რიგზეა და სწორად ვანანილებ დროს. მათი უსაზღვრო სიყვარულით საბავშვო ლექსების წერაც დავინწყე. არ ვიცი, ალბათ ოდესმე გამოვცემ ჩემს საბავშვო პოეზიის კრებულს. ჩემი მეუღლეც წერს ლექსებს, ხშირად აქვეყნებს სოციალურ ქსელში. ასევე, ინგლისურ ენაზე თარგმნის სხვადასხვა ავტორის ტექსტებს. ჩემი უფროსი შვილი, გაბრიელი, ხატვით არის გატაცებული, თუმცა ისეთ ასაკშია, რომ ვერ იტყვი, საბოლოოდ რა გზას აირჩევს. მოკლედ, მთელი ოჯახი შეძლებისდაგვარად ხელოვნებაში ვსუფევთ. წერისთვის კი ღამე ვიცლი, ღამე წერისაა ჩემთვის.

— ორი პრემიის ლაურეატი ხართ. რას ნიშნავს თქვენთვის ლიტერატურულ კონკურსში მონაწილეობა და რამდენად მნიშვნელოვანია გამარჯვება?

— მოულოდნელი იყო ჩემთვის ორივე პრემიის მიღება. გარკვეულწილად, შესაძლოა, ეს იყოს სტიმული, მაგრამ პასუხისმგებლობაცაა. რაღაც დროით დამაკოპლექსა. ვფიქრობდი, რომ მომავალში უფრო კრიტიკულად დაზვერავდნენ ჩემს ველს, უფრო კრიტიკულად შემოიხედავდნენ, მაგრამ ალბათ ეს ჩვეულებრივი პროცესია და თან სდევს პრემიების მიღებით გამოწვეულ სიხარულს. შემდგომი სევედა ჩაივლის. მთავარია, ხიბლში არ ჩავარდე და დროზე მოეგო გონს. ეს ცოცხალი პროცესია, არა აქვს მნიშვნელობა მოიგებ, თუ წააგებ, წიგნის პოპულარობას უწყობს ხელს. ზოგადად, კონკურსები პირობითია. ჩემი აზრით, მთავარი შემფასებელი დროა. ისაა უსასტიკესი ჟიური და ყველაზე დიდ პრემიასაც ის იძლევა. დროს თუ გაუძლო ტექსტმა, სულ რომ არცერთი პრემია არ ჰქონდეს აღებული, მის ჩრდილს ვერ მისწვდება პრემიებით გაჯერებული ვერც ერთი წიგნი რაღაც პერიოდის მერე შესაძლოა მოკვდეს კიდევ, ასეთი ფაქტები უხვადაა როგორც ქართულ, ასევე მსოფლიო ლიტერატურაში.

— იცნობთ თქვენი კოლეგა კონკურსანტების წაწარმოებებს?

— ვიცნობ მხოლოდ ნინი ელიაშვილის, ილია ჭანტურიასა და ალექსანდრე ლორთქიფანიძის შემოქმედებას. სხვების წაწარმოებებსაც ვეცნობი. არ მინდა, მხოლოდ ამ ადამიანების შემოქმედება გამოვყო, მხოლოდ იმას ვიყვი, რომ სამივე განსხვავებული ხელწერის ავტორია და თავიანთ, ქართული ლიტერატურისთვის მნიშვნელოვან, ეპოქას ქმნიან.

— როგორ ფიქრობთ, ლიტერატურა სისხლში გაქვთ გამჯდარი? ან რა მდგომარეობაა, როცა ლიტერატურა სისხლში გაქვს?

— კითხვა რომ შემოგიბრუნოთ: როგორია სისხლში გამჯდარი ლიტერატურა? ან სისხლის მიმოქცევის დროს, როგორ ხვდებიან ერთმანეთს სხვადასხვა წაწარმოების გამომგები? ან შეიძლება თუ არა, ერთმა ადამიანმა ამდენი ლიტერატურული სახე დაიტიოს? მე ვამბობ, რომ შეიძლება. რაც უფრო ღრმად შეცურავ ლიტერატურაში, მით უფრო მსუბუქი ხდები სამყაროსთვის, მეტად მზად ხარ, ნებისმიერ განსაცდელს გაუმკლავდე და შენთვის ჩურჩულედე — მე ხომ ეს უკვე გადაამხდა, ამაზე ხომ ბევრჯერ მიტირია, ან პირქით — მიცინია. ფაქტობრივად, მოგ ზაური ხარ დაუსრულებელი თავგადასავლებით და მთავარი ხიბლი ისაა, რომ შეგწევს ძალა, სხვებიც დაიმგზავრო ამ თავგადასავალში, მათი დონორი გახდე... წარმოსახვის უნარი ლიტერატურამ ჩამომიყალიბა, წარმოსახვას კი შესწევს კატაპულტორებისა და დამინების ძალა, მხოლოდ გააჩნია, სად, რა დროს და რომელ დილაკს დააჭერ. როცა ლიტერატურა სისხლამდე აღწევს, ჩათვალე, რომ გაგიმართლა და საქმე მოსალოცად გაქვს, რადგან დღევანდელი საქართველოს სინამდვილის ფონზეც კი შეძელი, დღეები საინტერესო გაგეხადა.

— რა შემოქმედებითი გეგმები გაქვთ, ახალ კრებულზე ხომ არ მუშაობთ?

— სადებიუტო წიგნი შეიძლება გაპატიონ, რაღაცეებზე თვალი დახუჭონ, ილაპარაკონ მხოლოდ კარგი, ან — არაფერი. აი, მეორე წიგნი კი უმთავრესია, მეორეში უფრო ჩანს, როგორ ავტორთან გვაქვს საქმე. ლიტერატურულ პერიოდიკაში იბეჭდება ჩემი ახალი ლექსები, შეიძლება ითქვას, რომ, ფაქტობრივად, მეორე კრებულზეც მზად არის, მაგრამ არ ვჩქარობ წიგნის გამოცემას. ვმუშაობ მეგრულ მინიმუმზე, სურვილი მაქვს, რომ გამოვცე მეგრული მინიმუმების წიგნი, ვიმედოვნებ, გამოცემლობაც ამბობს მზარს და ეს კრებული ნახავს დღის შუქს. ვნახოთ, რა გამოვა. უამრავი გეგმა მაქვს, ყველაფერი წინ არის.

ესაუბრა თამარ ჟურნალი



გუგა გელაძე

ზღვარზე

ცნობიერების ლობოტომია გავიკეთე და შენი იოდისფერი მოგონებები ამომკვეთეს. რის გამო? არჩევანის დიქტატურაა: ან ენაზე გადასმული ნევროზი ან შაკიკის პერმანენტული არია. რომელს ირჩევ? იქნებ, სანთლისფერი ძეგლების დეპორტაციის ფონზე თვალნათლად „პატრიოტიზმს“ მდოგვის გემო რომ დაყვება? ენის რეცეპტორები ველარ გრძობენ ამ ქვეყნის მიწას. ფილტვებიდან ორკესტრი ამომაჭრეს და მაინც ვმღერე: ყრუთა ქვეყანაში.

შავი პრინცი

ლელა სამნიაშვილი

ხანჯლის აღმართვამდე გამკრთალი სისხლის ნაფლეთები ბიძაჩემის აქერცლილმანტიამოცმული ზურგიდან. მოკლა თუ არ მოკლა? — საკითხავი სწორედ ეს არის! ყველაფერი ახლა ისე ცხადია, როგორც ჩემი როლის შემსრულებლის გრიმჩამოღვენილი სახე პროჟექტორის შუქში და მხეცის მიერ ნაღვლის წვენი ამოვლებული, ხახასშემხმარი ლოცვის ფრაგმენტები ბაბუაწვერის ფურცლებივით იფანტებიან. ფრჩხილში ჩარჩენილი ეკალივით ვილიზიანებ მოგონებებს. რა უნდა ქნა? როდესაც შენი ქვეყანა საპყრობილეა, ხოლო ელსინორის სასახლიდან წარმორეცხილი სიდამპლის სუნით უკვე მკვდრებიც ცოცხლდებიან.

აი, მამაჩემის კვამლისფერი სილუეტი. აი, დედა, რომლის რძეც შხამად შემერგო (ნეტავი, აკვანში გავეგლისე!). და სულ ბოლოს, ჩირქიანი მუნუკივით გაბერილი არტერიები ერთობლივად დასკვებიან და ჯორის სიჯიუტით ნალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მანამდე კი ხანჯლის აღმართვამდე გაეღვებული სისხლის ქვირითებს ვაგემოვნებ. კბილებით ვხეთქავ. პირიდან კი რემარკების ფხები მცვივია...

დაბადების შეშქაპლობა

„მე ორსულად ვარ. ტვინში დაუბადებელი ბავშვი მიზის“. ჯეიმზ ჯოისი. „ულისე“

ახლა ხომ ასეთ მონოლოგს სქელი კარაქივით ჩაიდებენ პირში. ნებაყოფლობითაა არჩევანის თავისუფლება, მაგრამ რად გინდა? ყველაფერი უკვე მოხდა, ყველაფერი უკვე ითქვა: გინდ დაიბადე, გინდ დაბადებამდე მოკვდი. მაგრამ, ერთი ნუთით მაინც წარმოიდგინე: ჭიპლარახეული ჩვილის პირი — აბორტის მაკრატლისგემოიანი. მიდი და ჩაალბე მისი თვალის სხივები შემთბარ ყავაში. იქნებ, სითბო მაინც შეინოვოს ამ, ჭიანჭამი ვაშლივით მიგდებულ ქვეყანაში.

დავიციბი

ლია სტურუას

მინისძვრის შედეგად დაზარალებული სულის ინტერიერი. რა დროს ვალსია ხაოიანი შპალერის ფონზე? როდემდე ვსვა განშორების მწარე აბები ჭამის წინ და გამჭვირვალე ფოთოლცვენის შემდეგ... გგონია, ამით რამე შეიცვლება? რა დალუქავს ატომური დეციბელების გამძაფრებულ შეტევას! სვი შუშისფერი წყალი აგურივით გამაგრებულ პურთან ერთად. სხვა რაღა დაგრჩენია: მეტალოპლასტმასის განსანმენდელი, თევზისფერი აკვარიუმი და კედელზე უხეიროდ მიხატული ჩარჩო, საიდანაც დედის ავტობიოგრაფიული თვალები ბროლის ჭაღვივით კამკამებენ.

ესეც ხომ შენ ხარ!

(ანტი)მეტამორფოზა

ცათამბჯენების კოლექტიური ორგანის ფონზე ყავის ყოველ მწარე ყლუპთან ერთად ჰაერის აბებს ვიღებ და ბაბუაჩემის დალომბარდებულ იარაღს მივსტირი. სიკვდილის შეუძლებლობა? — გამეფიქრა. — რატომ უნდა ვიყოთ აქტუალურები? სარკეს გავხედე, ზურგი მაქცია. გასაპნული თოკი ხავერდოვანი ჰალსტუხივით წაიჭირა და სკამს ფეხი გა მო ა ც და ს... შემებრაღა და წვერის გასაპარსად გავვიდი...

ქვა

პირველად იყო ქვა და ქვამ შექმნა ადამიანი. სიტყვები კი კენჭებივით უნდა წუნონ — დღეში სამჯერ, ლოცვასავით ღრძილებზე აიკრა და მერე გადააფურთხო. ფურთხს კი შენი ვერეალიზებულობა და ხორხში ფხასავით გაჭედული ნაღვლიანი მოლოდინი ამოაყოლო. ამოიღე, ამოანთხიე კევივით გემოდაკარგული უსიუფეტო სიზმრები, CV-ებში გამოკეტილი ბიოგრაფიები და ამ წარწყვეტისგან სახლი აიშენე, შიგნით შეიკეტე და ჯერ კიდევ გემომერჩენილი სიტყვები წუნნი, კენჭებივით. სხვა რაღა დაგრჩენია.



ვასო გულეური

დასეული ჯინსი

გამოვიდა გარეთ კატა ბრიტანული ჯინსის. ჩაუცვია გახეხილი, დახეული ჯინსი.

სოროს წინ ზის დიდი ვირთხა, კატას უმზერს შურით, დახეული ჯინსებით რომ სადღაც გაეშურა.

ამბობს — ნეტავ, როდისმე თუ მეც გავხდები ღირსი, რომ ჩავიცვა ასეთივე დახეული ჯინსი?!

ბურახი

გადახუხა მუხლუხომ ხუთი კათხა ბურახი. მაცივარში მეუღლეს მისთვის გადაუნახავს. თურმე, გაგხდის ბურახის მოყვარულს და უნახავს...

უხარია მუხლუხოს, გაიძახის — უხ-უხო!

კოლო

ერთხელ ერთმა ციციქმა კოლომ დაიქადა: — ბევრს რომ ყვირის, იმ კრაზანას, ზოლებიანს, უნდა დაუფნაყო ცხვირი!

ასე უთქვამს — ჩემი კბენა არ გეგონოთ კოლოსიო... უნდა ვნახო ეგ მკეცხარა, კბენით უნდა გავასიო!

საილო

ყველა სპილოს შეჰყურებს, საზეიმოდ მორთულს. სამკაული უმშვენებს ყურებსა და ხორთუმს.

მძივს იკიდებს ეშვებზე ქალბატონი სპილო... საყურეა შეიდი და მძივი — ათი კილო.

პაპელას კაპა

თერძი ხოჭო ზის და კერავს, არ ჩერდება წუთით. გვერდით უდევს ათასფერი ძაფით სავსე ყუთი.

პეპელასთვის თეთრი კაბა შეკერა და მორთო, ეს — ზაფხულში, სანამ გარეთ ხვავრიელად მოთოვს.

შემოდგომით ჩასაცმელად ფერად კაბას კერავს. არაფერი არ სჯობია ამ სამოსის ცქერას.

ხოლო ზამთრის სეზონისთვის შეუკერა სულ სხვა — თბილი ქურქი, რომ პეპელა არ შეაკრთოს სუსხმა.

მატორი

გზა აებნა კოსმოსში პანანინა მეტეორს. დაეკარგა დედუკო, ვილას გამოედევნოს?

სად მიფრინავს, არ იცის, არავინ ჩანს ნაცნობი. აი, რა დაემართა სიცვლქით და ანცობით...

არაფერი იტკინოს ანდა არსად დაეცეს — დედა ასტეროიდი ვარსკვლავებში დაეძებს.

ბაყაყის დეოზა

დეოზა აქვს მწვანე ბაყაყს... ზის, როდინში ნიორს ნაყავს.

გადაკაფა ირგვლივ ლელი. ხუმრობაა? სტუმრებს ელის!

ახლოს ცხოვრობს, განა შორსა, ელოდება გომბეშოსა.

უყვარს ბევრი სმა და ჭამა, იმის კუჭში რა არ ჩავა!..

დუმფარის წვეწვინ ვინ არ დალევს... თუ ეყოფათ თავკომბალებს?

საჭიროა მომზადება — დეიდა კუც მობრძანდება!

ისლა დარჩა გასაგები — თუ მოდიან ვასაკები?

ფოტოგრაფი

ეპარება ჩიტებს ფისო... — ჰეი, ფისო, რას შერებ? იცოდე, ჩიტს თუ დაიჭერ, აღარ გეთამაშებით!

— ჩუ, ჩიტები არ დამიფრთხოთ! ვერა ხედავთ აპარატს? — ეგ რა არის? ფოტოს უღებ? — ფოტოს ვუღებ, აბა რა!

აღარც თავგებს აღარ ვიჭერ... განა ვამბობ საქებად? ვეპარები ახლა მხოლოდ ფოტოს გადასაღებად!

კატის კული

დაეკარგა კატას კული... განა ქული, განა კული — არ მოგესმათ — დიდი კული! სიგრძით — ასე, ოცდაათი სანტიმეტრი ანდა მეტი... ან ნაკლები... არასოდეს გაუზომავს სანტიმეტრით. თუმცა, ამას ვინლა ჩივის? რა აპრიხოს ახლა — თათი? კული ძალზე საჭიროა, სანტიმეტრი თუნდაც ათი!.. ეს ამბავი რომ გაიგო ფუნჯმა, რა ქნა, იცით? კატას აკვარელის საღებავით წრელი კული დაუხატა!

კამერი

ჩანოლილა ტლაპოში და იცოხნება კამერი. მოიცადე, სად გარბიხარ, შენ არაფერს არ გერჩის!

სანამ ლაფით გაითხვრება, მონველიან დილითვე — კამერის რძით ამზადებენ, შენ რომ მანონს მირთმევ.

კისალი

— სოროს პირას რომ ზიხარ, თავუნიავ, ვის ელი? ნამო ჩემთან, მარტო ვარ, მოვადულოთ კისელი!

— ტყუილად ნუ მოღრიცე ფისო, ჩემსკენ კისერი. მე თხილს ჩავაკნატუნებ, შენ დალიე კისელი!

ჰიპო-პოპო-პოტამი

თესავს მამა ბეჰემოთი, უკვე მზად აქვს ბოსტანი. ეხმარება პანანინა ჰიპო-პოპო-პოტამი.

რეცხავს დედა ბეჰემოთი ხილს, ბალიდან მოტანილს. ეხმარება პანანინა ჰიპო-პოპო-პოტამი.

რა ქნან, ბევრი ჭამა უნდათ, არ არიან ცოტანი — დედა ბეჰე, მამა ბეჰე და ჰიპო-პო-პოტამი!

ციკლიდან „ცხოველთა ქალაქი“

ზაზრა

არ დადის თავის ნებაზე — ზებრა გადადის “ზეზრაზე“!

ფახლავა

ლორი შევიდა კაფეში, ცამეტი გოჭი ახლავს. — თუ შეიძლება, ფახლავა! — ახლავე!

ავტობუსი

— ვისი არის ავტო? — ბუსი! აღარ დადის ავტობუსით.

ბილეთი

ვერ წვდებოდა სალაროს, ხალხი იყო მიღეთი... ბუმ აულო ბაჭიას ავტობუსის ბილეთი.

მარტორკა

მარტო ხნავს და მარტო თესავს, მარტო მკის და მარტო ფქვავს. მარტო აცხოვს და ჭამითაც პურს მარტო ჭამს მატორქა.

პირის პალტო

„ბანანაველის“ ფირმა მოინახულა ვირმა.

იყიდა ტყავის პალტო, თუმცა ღირდა ძალზე ძვირი. მაგრამ მას შემდეგ — ატყობთ? ამაყად დადის ვირი.

ესკალატორი

არ სჭირდება ბაჭიას სხვისი დარიგება, მეტროს ესკალატორზე მუდამ მარჯვნივ დგება.

ხარი და შუქნიშანი

ვერავინ გააგებინა, აღარ მოიქცეს ასე — როცა წითელი ანთია, მაშინ გადარბის გზაზე.



ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მხარალობით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004